# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 221 (5562)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


◎ ლუსტრაცია

## შევუბეროთ ქაერს?! 2





## სააკაშვილმა კარგად უწყის პოლიტიკაში ძალის ფასი 4

## როცა „მეფე“ ფხიზლობს... 6-7



## ღაღადისი სანგილოდან 8



## საქართველომ „გაზპრომს“ უარი უთხრა 10

## დემოკრატები სენატს გააკონტროლებენ 11

მეზობელი

2

## რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ აზერბაიჯანს გამოიყენებს

კიდევ ერთი პარტია?

3

## არც პოზიცია ეხაწვებათ, არც — ოპოზიცია

მხარდაჭერა

12

## გა-ძე-ვებული და გა-შვილ-ებული ახალგაზრდები

სხვა გაზეთიდან

12

## რუსულ-ქართული კონფლიქტი მანეჟზე

„ეს კანონი 1991 წელს იყო მისაღები. ეს რომ მომხდარიყო, საქართველოს ისტორიაში აღარ იქნებოდა „მოქალაქეთა კავშირი“ და „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამ კანონის მიღებით, მომავალშიც მრავალი უბედურების აცილება შეგვიძლია, თუმცა, 1991 წელს რომ მიეღოთ, შეიძლებოდა, თავიდან აგვეცილებინა შევარდნაძეცა და სააკაშვილიც“



ლუსტრაცია

# შევუშვეროთ ჰაერს?!

**ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტით, ოპოზიციამ პარლამენტს ჯერ კიდევ თებერვალში მიმართა, თუმცა, მათმა ბოიკოტმა კანონპროექტის განხილვას ხელი შეუშალა.**

ლუსტრაციაზე პარლამენტი შვიდი თვის შემდეგ ალაპარაკდნენ. კანონპროექტი ყოფილი აგენტებისა და საბჭოთა ნომენკლატურის თანამდებობებზე დანიშვნას გამორიცხავს. თანამდებობრივად შეიზღუდებიან: აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები, კანონმდებლები, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მოსამართლეები, თავდაცვის სამინისტროს მუშაკები, პარლამენტის აპარატი.



განსაზღვრულია იმ პირთა ნუსხა, ვისზედაც კანონის მოქმედება გავრცელდება. ანუ, ვინც 1921 წლიდან — 1991 წლამდე იყო: საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლები და სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები, საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ცეკა-ს წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები, აგრეთვე საქართველოს სსრ ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები.

„დემოკრატიული ფრონტის“ ინიციატივას ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტის თაობაზე, უმრავლესობა, ძირითადად, ემხრობა, თუმცა მოწინააღმდეგენიც არიან. გიგა ბოკერიას არც კანონი და არც მისი არც ერთი ძირითადი პრინციპი საეჭვოდ არ მიაჩნია, თუმცა, მისი აზრით, ზოგიერთი პროცედურა და წრე, რომელზედაც უნდა გავრცელდეს კანონი, მისი აზრით შესაცვლელია.

„დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენელი კახა კუკავა კმაყოფილია გიგა ბოკერიასთან შეხვედრით: „პირადად გიგა ბოკერია პრობლემას ვერ ხედავს იმ პირთა ნუსხის გამო, ვისზეც ეს კანონი უნდა გავრცელდეს, თუმცა, შეხვედრაზე ითქვა, რომ შესაძლოა უმრავლესობაშიც იყოს ზოგიერთი ჯგუფი, ვინც ამ წრის შევიწროებას მოითხოვს...

ჩამონათვალში პარტიული და კომკავშირული ნომენკლატურა იგულისხმება. „საკითხი ისე დავაყენეთ, საეჭვო არ უნდა ყოფილიყო კანონპროექტის გავრცელება „კაგებეს“ აგენტებზე და ეს არც გამხდარა საეჭვო. ხოლო იმოქმედებს თუ არა კანონი პარტიულ და კომკავშირულ და ნომენკლატურაზე, არ არის გადაწყვეტილი. უმრავლესობის ლიდერისა კარგად მესმის, რადგან ასეთ შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობის კარგა დიდი ნაწილი მოექცევა ამ კანონის მოქმედების ფარგლებში“, — ამბობს კუკავა.

კანონპროექტის ინიციატორს არა აქვს იდეაფიქსი, რომ კანონპროექტი ამ ფორმით წერტილისა და მძიმის შეუცვლელად მიიღონ, ამიტომ ოპტიმისტურადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ ახალ წლამდე კანონის მიღება რეალურია.

ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტზე ხშირად ამბობენ, დაგვიანებულია ამ აზრს კუკავაც ეთანხმება. „ეს კანონი 1991 წელს იყო მისაღები. ეს რომ მომხდარიყო, საქართველოს ისტორიაში აღარ იქნებოდა „მოქალაქეთა კავშირი“ და „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამ კანონის მიღებით, მომავალშიც მრავალი უბედურების აცილება შეგვიძლია, თუმცა, 1991 წელს რომ მიეღოთ, შეიძლებოდა, თავიდან აგვეცილებინა შევარდნაძეცა და სააკაშვილიც“.

კანონპროექტის ავტორებმა იციან, რომ ლუსტრირება დაგვიანებულია, რადგან „კაგებეს“ არქივების უდიდესი ნაწილი რუსეთშია გატანილი, ხოლო საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომელთა საინფორმაციო ბაზა არასრულია. მაგრამ, ინიციატორების აზრით, ინფორმაციის მოპოვების სხვა გზებიცაა.

თუ აგენტები, ან საბჭოთა ნომენკლატურა არჩევნებში მონაწილეობას დააპირებს, მათზე ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდება, ან საარჩევნო ბიულეტენში ჩაიწერება.

კანონპროექტის ავტორთა აზრით, ლუსტრაცია რიგით მოქალაქეებზე არ გავრცელდება და საზოგადოებრიობის ფართო ნაწილს არ მოიცავს.

ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ დაიწუნა. შეიცვალა თუ არა აზრი ნადირაძემ? კახა კუკავამ ირონიულად თქვა, ქალბატონ მაიასთან ბოლო დროს სერიოზულად აღარ მისაუბრიაო.

„კანონპროექტი დროულად უნდა მიეღოთ, — გვითხრა ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა. — ეს რომ მომხდარიყო, პოლიტიკაში ამდენი საკადრო შეცდომა არ გაიპარებოდა“.

მისი აზრით, პარტიულ ნომენკლატურაზე კანონი უნდა გავრცელდეს, რადგან მან მრავალი შეცდომა დაუშვა და ხალხი გააწამა. ამიტომ, პასუხი უნდა აგონო...

1991 წლის შემდეგ 15 წელი გავიდა. პრინციპმა: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, არა მგონია, ლუსტრაციის თვალსაზრისით რაიმე არსებითად შეცვალოს. 15 წლის წინათ, შესაძლოა, ამ კანონის მიღებას ხელისუფლებაში მართლაც, მკვეთრი საკადრო ცვლილებები მოჰყოლოდა, მაგრამ ახლა, როცა თუნდაც, ყოფილი აგენტების უმრავლესობა... გალმაა გასული, ან ისე დაჩანაკებულია, რომ შესაძლოა, თავისი სახელი და გვარიც აღარ ახსოვდეს, გინდ დანიშნე და გინდ — არა. აქვს კი აზრი ამ კანონის მიღებას?

დაბოლოს, უმრავლესობა ამ მეჩხრად შემორჩენილთა გამოხშირვასაც აპირებს. მაშინ ხომ სულაც ჰაერისთვის შეგვიბერავს?!

**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

## პრეზიდენტთან შეხვედრა სურს

— კოკოითის რეჟიმი ფაშისტურია და მას ხალხი ტერორში ჰყავს, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა დიმიტრი სანაკოევმა სასტუმრო „თორში“ გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

მანვე აღნიშნა, რომ ცხინვალში უკანონო შეიარაღებული ფორმირებები იმყოფებიან, რომლის წევრებიც პროვოკაციებს გეგმავენ.

— მსურს შევხვდე მიხეილ სააკაშვილს და ჩემი განზრახვებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ვესაუბრო, — აღნიშნა სანაკოევმა.

## დიმიტრი სანაკოევი დევნილებთან

„სამხრეთ ოსეთის“ თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი დიმიტრი სანაკოევი გუშინ თბილისში, ცხინვალიდან დევნილებს შეხვდა. შეხვედრა ბაგების ტერიტორიაზე მდებარე ტურბაზის შენობაში შედგა.

— ჩვენ მზად ვართ, ვისაუბროთ მშვიდობაზე, რადგან უნდა ვიცხოვროთ იქ, სადაც დავიბადეთ. ცხინვალი და მთლიანად ოსეთი ჩვენია, ქართველების და ოსების, — ამ სიტყვებით მიმართა დევნილებს სანაკოევმა.



ცხინვალიდან დევნილები შეხვედრით კმაყოფილები დარჩნენ. მათი ნაწილი გორიდან და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სხვა სოფლებიდანაც იყო ჩამოსული.

**ინტერპრესნიუსი**

## მსოფლიო მედია აქ მოდის?

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ბეჭდვისა და ინფორმაციის „სახელმწიფო“ დეპარტამენტი იუწყება, რომ 12 ნოემბერს დაგეგმილ რეფერენდუმსა და საპრეზიდენტო არჩევნებზე დასწრების სურვილი და აკრედიტაციაზე განაცხადი მასმედიის უამრავმა წარმომდგენელმა გამოთქვა.

აკრედიტაციის ნუსხაში არიან ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული, ჩეხური და რუსული მასმედიის წარმომდგენლები. მაგალითად „ბი-ბი-სი“, „ნიუ-იორკ თაიმსი“, სააგენტო „ფრანც პრესი“, „ეურო ნიუსი“ „ალ-ჯაზირა“, ჩეხეთის რადიო და ა.შ.

## თითს არავის დააკარებენ!

2007 წლის მარტიდან ახალი გაერთიანებული ფინანსური უწყება — შემოსავლების სამსახური ფუნქციონირებას დაიწყებს, ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა.

მინისტრის თქმით, პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონმდებლობა ძალაში 1 იანვრიდან შევა და ახალი სამსახურის ფორმირება სამ თვეში დასრულდება. საინფორმაციო ბაზების გაერთიანება ამჟამადაც მიმდინარეობს. საგულისხმოა, რომ გაერთიანება კადრების შემცირებას არ ითვალისწინებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

მეზობელი

## რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ აზერბაიჯანს გამოიყენებს

**ვლადიმერ პუტინისა და ილჰამ ალიევის შეხვედრის მთავარი თემა ბაქოსა და მოსკოვს შორის სტრატეგიული ურთიერთობების გაგრძელებაზე მსჯელობა იქნება. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, პუტინი ალიევს რუსეთთან თანამშრომლობის სანაცვლოდ რუსულ იარაღს, „რაო ეეს რასიას“ და „რუსკიი ალუმინის“ ინვესტიციებს შესთავაზებს. ამ დიდსულოვნებას კი ალიევმა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვით უნდა უპასუხოს. — წერს კომერსანტი.**

**ალნიშნული თემა რუსული მედიის მსჯელობის საგანი გახდა. ალიევი მოსკოვში ბრიუსელიდან ჩადის, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა საკუთარი პოზიცია ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით. ამასთან, კრემლის შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ 2007 წელს ბაქო შეიარაღებაზე 600 მილიონი დოლარიდან 1 მილიარდ დოლარამდე დახარჯვას გეგმავს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

სხვა გაზეთიდან

# ტერიტორიული მთლიანობის დამთმობი არავინაა

**საქართველოს წინააღმდეგ გატარებულმა სანქციებმა, რუსეთისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან მოსკოვს საქართველოს ეკონომიკაზე მცდარი შეხედულება აქვს, — მიიჩნევს ყოფილი რუსი ოლიგარქი, საქართველოს ეკონომიკური რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, კახა ბენდუქიძე გაზეთ „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას ბენდუქიძე აღნიშნავს, რომ საქართველოში განსაკუთრებული არაფერი ხდება. — როგორღაც გადავლახავთ ამ პერიოდს, რუსეთისთვის კი ეს ნამდვილად ცუდი იქნება, — აცხადებს ბენდუქიძე და დასძენს, რომ რუსეთის მთავრობას არ აქვს რეალური ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისიც „თავს იტყუებს.“

— ბუნებრივი გაზის გაძვირება საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი პროცენტი დაუჯდა. უნდოდათ ფულადი გზავნილების შეჩერებაც, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის უბრალოდ ზედმეტი თავის ტკივილია. ფული სხვა ქვეყნის ბანკებში გადაირიცხება და ამით დამთავრდება ყველაფერი, — თქვა სახელმწიფო მინისტრმა და აღნიშნა, რომ რუსეთიდან ფულადი გზავნილები საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენს, თუმცა მისივე თქმით, რუსეთის მთავრობა მიიჩნევს, რომ ეს მაჩვენებელი 20 პროცენტია

„კომერსანტის“ კითხვაზე, რა პრობლემები შეუქმნა საქართველოს ეკონომიკას რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტის შეჩერებამ ბენდუქიძე პასუხობს, რომ ამ ღონისძიებით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებოთ ნახევარი პროცენტით შემცირდა, რადგან საქართველოს მთლიან ექსპორტში ღვინის ექსპორტს 7 პროცენტი უკავია მოლდოვაში კი ეს მაჩვენებელი 30 პროცენტია.



ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ საქართველო გაისად ღვინის ექსპორტის შარშანდელი მაჩვენებლის დაბრუნებას შეძლებს. მისი თქმით, ევროპაში ღვინის ყველაზე დიდი ბაზარი ბრიტანეთსა და გერმანიაშია. — ერთად აღებული ორივე ქვეყნის ბაზარი 10 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, საიდანაც გვაქვს ამოცანა 100 მილიონი დოლარი მივიღოთ, რაც ფანტასტიკის სფეროს ნამდვილად არ წარმოადგენს, — დასძენს ბენდუქიძე.

მისი განმარტებით, ღვინის ემბარგოს შემდეგ ხელისუფლებაზე იყო ზეწოლის მცდელობები.

„მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ „იქნებ როგორმე..“ ჩვენ ვპასუხობდით — „რა დავთმოთ?“ მათი საცოდავი დივიდენდების საფასურად საქართველოს ტეროტორიული მთლიანობა? სახელმწიფო მინისტრის თქმით, რუსეთის მიერ გატარებულმა სანქციებმა საქართველოს მთავრობის გარშემო ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება გამოიწვია, თუმცა არჩევნებზე ამას გავლენა არ მოუხდენია.

ყოფილი რუსი ოლიგარქი საქართველოს ეკონომიკის უახლოეს მომავალზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ძალიან მალე საქართველოში შესაძლებელი იქნება გაზის რეალური ბაზრის შექმნა.

**— ირანული გაზის საქართველოში შემოტანით დაკმაყოფილდება ქვეყნის კომუნალური მოთხოვნილებები, ამის გარდა არსებობს შაჰ-დენიზის საბადოდან თბილისზე გამავალი მაგისტრალი, რომლის საშუალებითაც საქართველო შეძლებს ბუნებრივი გაზის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, — აცხადებს ბენდუქიძე.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

**საზოგადოებაში ხშირად ჩნდება კითხვები, თუ რაში სჭირდება უმრავლესობას პარლამენტში ისეთი ხალხი, რომელიც არც ქვეყანას არგია და გონებრივადაც სცოდავს. ნუთუ, მართლა პულტზე ხელის დაჭერაა, რაცაა?!**



## კიდევ ერთი პარტია ემატოს?

# არც პოზიცია ესახვებათ, არც – ოპოზიცია

**ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიებისა თუ მოძრაობების ნამდვილი დოღია. თუმცა, – „იდეებით დახუნძლული“ ამბიციებით გაფუყული პარტიების ლიდერები ცოტა ხანში არც არავის ახსოვს ხოლმე. ამის უპირველესი მიზეზი რეალობისა და საკუთარი შესაძლებლობების ერთობ განსხვავებული შეფასებაა. თუმცა, თავისას მაინც არ იშლიან...**

გუშინ კიდევ ერთი პოლიტიკური პარტიის – „ეროვნული ფორუმის“ საინიციატივო ჯგუფის წარდგენა გაიმართა. ისინი აცხადებენ, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახალი პარტიის დაფუძნება ერთადერთ მიზანს ისახავს – „გახდეს ხელისუფლების ძლიერი ალტერნატივა, რომელსაც ექნება პრეტენზია, საკუთარ ხელში აიღოს ქვეყნის მართვის სათავეები“. ასეთი ამბიცია ახალპარტიულებს შეიძლება ჰქონდეთ, რადგან პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება აქვთ, თანაც, არცთუ ურიგო.

„ეროვნული ფორუმის“ საინიციატივო ჯგუფი შვიდი წევრისგან შედგება: კახაბერ შარტავა, რევაზ შავიშვილი, გუბაზ სანიკიძე, ირაკლი მელაშვილი, ნიკოლოზ ორველაშვილი, ირაკლი გობეჯიშვილი და გოჩა ჯოჯუა. ბატონი გოჩა პარლამენტის გარეთ სერიოზული პოლიტიკური პარტიის ჩამოსაყალიბებლად, ბოლო ხანს, ერთობ აქტიურობდა. საინიციატივო ჯგუფს კახაბერ შარტავა ხელმძღვანელობს:

– გარკვეული წინსვლისა და აღმავლობის მიუხედავად, ხალხისთვის საჭირბოროტო მრავალი საკითხი არ მოგვარებულა. ოპოზიციურ სპექტრს არ ძალუძს რეალობასთან ბრძოლა. ალბათ, მათ თავიანთი რესურსი ამოეწურათ, – თქვა მან.

მომავალ ფორუმელებს არც ხელისუფლების ლიტონსიტყვაობა მოსდით თვალში და არც ე.წ. ოპოზიციის ვითომც ოპოზიციურობა შთააგონებთ. ამიტომაც შეიკრიბნენ და ბედვირის გადენასაც აპირებენ. უკვე ფიქრობენ, როგორ დახარჯონ მიზანმიმართულად მოზღვავებული ენერგია.

მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრიობის აქტიურობის რესურსი ჯერხანობით ამოწურულია და სახელმწიფოებრიობის მშენებლობას თავად იდებენ კისრად. რისთვისაც, საჭიროდ, პოლიტიკური პარტიის დაარსებას მიიჩნევენ, თანაც ისეთისას, თავისი გამოკვეთილი იდეალები და იდეები, მწყობრი სტრუქტურა და დისციპლინებული შინაგანაწესი რომ აქვს.

მათი ძირითადი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებაა. ამის განსახორციელებლად ხელისუფლებაში მოსვლისკენ ისწრაფვიან, რადგან ფიქრობენ, რომ სხვაგვარად მრავალი საჭირბოროტო საკითხის მოგვარება შეუძლებელია. მით უფრო, ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში. მასთან დიალოგი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეუძლებლად მიაჩნიათ. იციან, რომ საბოლოოო მიზნამდე გზა გრძელია, თანაც, ძნელად სავალი...

პირველ ეტაპზე ხალხს ქვეყნის განვითარების ალტერნატიულ გზას შესთავაზებენ. სახელდობრ როგორს, სავარაუდოდ ნოემბრის მიწურულს გავიგებთ, როცა პარტია ოფიციალურად დაფუძნდება და დამფუძნებელი ყრილობა გაიმართება. ფორუმელები ხელისუფლებას „დისპუტების დუელშიც“ იწვევენ.

– არ გვინდა, ჩვენი განაცხადითა და პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლით საზოგადოებრიობა კიდევ უფრო დავაბნიოთ და ურთიერთ დავაპირისპიროთ. გვინდა, ხალხს დავანახოთ სხვაობა ხელისუფლებასა და ჩვენს შორის, მათ ძმედებებსა და ჩვენ ალტერნატიულ გეგმებს შორის, – თქვა კახა შარტავამ.

ირაკლი მელაშვილი ერთი წლის წინათ შექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობის „სახალხო ფორუმის“ წევრიც იყო. იდეები მაშინაც მრავლად ჰქონდათ და მის განხორციელებასაც აპირებდნენ, მაგრამ საამისოდ ხომ ძალა იყო საჭირო? ამიტომაც გადაწყვიტეს პარტიის შექმნა. ასე, რომ „სახალხო ფორუმში“ შობილ იდეებს „ეროვნულ ფორუმში“ განახორციელებენ.

„შვიდკაცადან“ უმრავლესობა 15 წლის მანძილზე აკაკი ასათიანთან ერთად მუშაობდა. „დიდმა ტრადიციონალისტმა“ ეროვნულ ფორუმში გადასვლა არ ინება. ხმა დაირხა, ძველი მეგობრები ურთიერთს დაუპირისპირდნენო, მაგრამ ირაკლი მელაშვილმა თქვა:

– აკაკი ასათიანთან არანაირი დაპირისპირება არა გვაქვს. მეგობრებად ვრჩებით.

ბატონ ირაკლის ვკითხე, ასათიანი თქვენს რადიკალიზმს ხომ არ გაერიდა, ხელისუფლების შიში ხომ არა აქვს-მეთქი. მიპასუხა, ის ხელისუფლებასთან ჩვენზე მკვეთრად არის დაპირისპირებულიო. მან ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობაც შეაფასა:

– ხელისუფლებამ შეძლო ოპოზიციისთვის თავს მოეხვია ზოგი იდეოლოგიური ნორმა. არც ერთი ჩვენგანი არ ვაპირებთ ამ დოგმებს დავემორჩილოთ. ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას პოლიტიკური მეთოდებით დავიწყებთ. ეს ხელისუფლება ჩვენთვის სასურველ საქართველოს ვერ ააშენებს.

გუბაზ სანიკიძის თქმით, თანამოაზრეებს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ თვითმმართველობის არჩევნებმაც უბიძგა, როცა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა 80-მა პროცენტმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ამ ხალხს არც ნაცმოძრაობა მოსწონს და არც – ოპოზიცია.

– დაგროვდა ბევრი შინა პრობლემა და ისინი უნდა გადავწყვიტოთ. სხვა პარტიებთან ურთიერთობას, ჯერჯერობით, არ ვაპირებთ. გვინდა ძლიერი, ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული პარტია შევქმნათ, – თქვა სანიკიძემ.

ფორუმელების მტკიცებით, უკვე რამდენიმე ათასი თანამოაზრე ჰყავთ. „ეროვნული ფორუმის“ დამფუძნებელთა ყრილობა ნოემბრის მიწურულს იგეგმება. კახაბერ შარტავას პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ოფიციალურად წარადგენენ.

**ლელა ხვადაგიანი**

## ევრიკა!

# ქორქოლიანს კუდიც ჰქონია – სავარაუდოდ ბატონი მენაბდე!

**გი კენჭაძემ, კობა ბექაურმა, ბადრი ნანეტაშვილმა, გია ნუცუბიძემ, თემურ ჟორჟოლიანმა ნაციონალების რიგები სამარცხვინოდ დატოვეს, თანაც, როგორც ამბობენ, მათი ქმედებები ნაციონალების ნაბარტყ სხვა მაღალჩინოსნებსაც უკავშირდება. კულუარებში იმაზეც ჩურჩულებენ, რომ ამ ხუთეულს უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი შეემატება. გახმაურებულ მაქინაციებში მონაწილეობა, ნუცუბიძესთან და ჟორჟოლიანთან ერთად, შესაძლოა, პარლამენტარ ალექსანდრე მენაბდესაც დაბრალდეს.**



თემურ ჟორჟოლიანი ის წყნარი და შეუმჩნეველი დეპუტატია, რომელსაც არათუ ჟურნალისტები და საზოგადოებრიობა, კოლეგებიც კი არ იცნობენ. ბევრმა პარლამენტარმა მისი ვინაობა ტელეეთერით ნანახი ფოტოთი აღიდგინა. მათ შორის იყო ელენე თევდორაძეც.

– შეიძლება სირცხვილია ამის თქმა, მაგრამ ჟორჟოლიანს არ ვიცნობდი, ტელევიზიით ნანახი ფოტოთი მივხვდი, ვინც იყო. ვიცი, რომ განცხადება დაწერა წასვლაზე, თითქოს, საეკლესიო ცხოვრებას აპირებს.

ამ კვირის სამშაბათსა და ოთხშაბათს ჟორჟოლიანი პლენარულ სხდომებს ესწრებოდა, ალბათ, ფიქრობდა, რომ ნუცუბიძის გამო ატეხილი სკანდალიდან თავს დაიძვრენდა და მისი გვარი აღარ გახმიანდებოდა, მაგრამ...

ოპოზიციის თქმით, ცნობილია, რომ ტენდერებში იმარჯვებენ ფირმები, რომლებსაც ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნები, პარლამენტარები და მთავრობის წევრები ლობირებენ. შემდეგ ამ გამარჯვებულებს თანხების ნაცმოძრაობის საარჩევნო ფონდში „შეწირვას“ ავალდებულებენ. სავარაუდოდ, ასე გაურიგდნენ „ამაღლება-98“-საც, ფონდში თანხის ჩარიცხვის შემდეგ, ფირმას წილი განათლების სამინისტრომაც მოსთხოვა. ამის მოგვარებაში ჩაერთვნენ დეპუტატები ნუცუბიძე და ჟორჟოლიანი. ცნობილი იყო, რომ მათთან ერთად კიდევ ერთი დეპუტატი იყო, სავარაუდოდ, ეს ალექსანდრე მენაბდეა. ამ საქმესთან მის კავშირზე პარლამენტში არაფერს ამბობენ. უმრავლესობა ჟორჟოლიანზე კომენტარსაც ერიდება.

– ჩვენი ეჭვი, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც უმრავლესობას და პრეზიდენტს სურდათ წარმოეჩინათ, დადასტურდა. არც განათლების სამინისტრო გამოიყურება ამ სიბინძურეში ისე უბიწოდ, როგორც ლომაიას სურს. რაც უფრო დროულად ჩაიხედავს საქართველოს პრეზიდენტი ამ კორუფციულ საქმეში, მით უკეთესი იქნება ეს ნაცმოძრაობისთვისაც და მისთვისაც. ნაცმოძრაობა ვეღარ დაიძვრენს თავს. ის, რომ ტენდერებში გამარჯვებული ფირმები ნაცმოძრაობის ფონდში რიცხავენ თანხას, ერთობ მრავლისმეტყველია, – თქვა მანანა ნაჭყებიამ.

ერთი კვირის წინათ ელენე თევდორაძე გია ნუცუბიძეს ციხეში შეხვდა. მან განუცხადა, რომ ჩვენება არავისთვის მიუცია. ამას ადასტურებს ნუცუბიძის ადვოკატიც.

მემარჯვენე მანანა ნაჭყებიასთვის კი ნუცუბიძის დუმილი არაფერს ნიშნავს. იგი ახლო წარსულს იხსენებს, როცა სიტყვა „ამბობენ“, ამართლებდა:

– შევარდნაძეზეც, აბაშიძეზეც, მამალაძეზეც და სხვებზეც ხომ ამბობდნენ ბევრი ფული ჭამესო და ეს შემდეგ დადასტურდა კიდეც. ახლაც ამბობენ, რომ ფინანსური პოლიციის, სამინისტროების მაღალჩინოსნები, პრეზიდენტთან დაახლოებული პარლამენტარები კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობენო. რაც უფრო ადრე გაირკვევა ყველაფერი, მათთვისვე უკეთესია.

საზოგადოებაში ხშირად ჩნდება კითხვები, თუ რაში სჭირდება უმრავლესობას პარლამენტში ისეთი ხალხი, რომელიც არც ქვეყანას არგია და გონებრივადაც სცოდავს. ნუთუ, მართლა პულტზე ხელის დაჭერაა, რაცაა?! თუ ასე გაგრძელდა, საპარლამენტო ვადის ამოწურვამდე, უმრავლესობა, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე წევრს გამოემშვიდობება. სამომავლოდ კი ეს ახალგაზრდა გუნდი, ალბათ, გამოცდილებას შეიძენს და საარჩევნო სიების შედგენისას მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს.

**ნიკა ლელაშვილი**

## ინფორმაცია

### სერგეი ივანოვმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა



**რუსეთის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კიდევ ერთხელ აღიარა.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადების კომენტირებისას, რომელიც რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ თავდასხმას ეხებოდა, ივანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიულ შემადგენლობაში არიან“.**

**„გასული წლების განმავლობაში საქართველოს თავის ავტონომიებთან დიალოგის დასამყარებლად არაფერი გაუკეთებია. რუსეთი კი ამჟამად უნიკალური შუამავლის როლს კისრულობს და კონფლიქტების მოგვარებას ცდილობს“, – განაცხადა ივანოვმა.**

### ვალერი მელაძეს ქრთამის გადახდა მოსთხოვეს





**გართულებული ქართულ-რუსული ურთიერთობები რუსეთში მოღვაწე მომღერალს ვალერი მელაძესაც შეეხო. ადგილობრივმა სამართალდამცავებმა მომღერალს კუთვნილი სამშენებლო ფირმის დოკუმენტაცია და იმ თანამშრომელთა პასპორტები მოსთხოვეს, რომლებსაც ქართული გვარები აქვთ.**

**„კომსომოლსკაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მელაძე აცხადებს, რომ სამართალდამცავები ფირმაში მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც მომღერალმა მათ ქრთამის გადახდაზე უარი განუცხადა.**

**„მომთხოვეს გადამეხადა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ფირმის მუშაობისთვის ხელი არავის შეეშალა. ამაზე უარი ვთქვი. საბედნიეროდ, დოკუმენტაციაში საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს“, – აცხადებს მელაძე.**

**მისივე თქმით, თითქმის ყველა ქართული რესტორანი, რომელიც საქართველოსთან დაპირისპირებისთანავე დაიხურა, დღეს ისევ მუშაობს.**

**„ამით ვიღაცამ კარგად მოითბო ხელი. რესტორნის მეპატრონეებმა ჩინოვნიკებს ქრთამი გადაუხადეს და მუშაობის ნებართვაც მიიღეს“, – განაცხადა მუსიკოსმა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

- აფხაზეთსა და სამაჩაბლოს მხოლოდ მაშინ დავიბრუნებთ, როცა დღევანდელი პოლიტიკა შეიცვლება
- რუსეთი შეიძლება ფაშისტური ძალების გავლენის ქვეშ მოექცეს, რაც საფრთხეს მსოფლიოს შეუქმნის



№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

**ინფორმაცია**

## ვეღარ ამოვქვრებით

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საგარეო ვალის მომსახურების გეგმა შეიმუშავა. გეგმა პარიზის კლუბის ორივე შეთანხმებით მიღწეული ვალის გადავადების პირობებსა და ევროგაერთიანების ვალის– 2006-2007 წლებში დაჩქარებული ტემპით დაფარვას ითვალისწინებს.

გეგმის მიხედვით, საქართველო გააგრძელებს თურქმენეთის ვალის ნატურით–პროდუქციითა და მომსახურებით დაფარვის პრაქტიკას.

თურქმენეთის ვალი, სავარაუდოდ, 2006 წლის ბოლომდე დაიფარება.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, თურქმენეთის ვალი, 31 ოქტომბრის მდგომარეობით, 44 მილიონ 218 ათას დოლარს შეადგენს.

12 წლის განმავლობაში ამ ქვეყნისადმი დავალიანების მოცულობა 5-ჯერ შემცირდა.

## როდის გავისტუმრებთ?

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 31 ოქტომბრის მდგომარეობით, ორმხრივი კრედიტორი 16 სახელმწიფოს მიმართ საქართველოს დავალიანება 594 მილიონ 551 ათას დოლარს შეადგენს. კრედიტორი ქვეყნების მიმართ საქართველოს ვალი 3 მილიონ 161 ათასი აშშ დოლარით შემცირდა–31 აგვისტოს მდგომარეობით, შემდეგ ორმხრივი კრედიტორი 16 სახელმწიფოს მიმართ საქართველოს დავალიანება 597 მილიონ 712 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

საქართველოს საგარეო ვალების სიის სათავეში კვლავ რუსეთი რჩება და მის მიმართ დავალიანება 147 მილიონ 140 ათას დოლარს შეადგენს.

შემდეგ მოდის ავსტრია – 93 მილიონ 027 ათასი დოლარი; გერმანია – 73 მილიონ 970 ათასი დოლარი; თურქეთი – 54 მილიონ 290 ათასი დოლარი; იაპონია – 44 მილიონ 301 ათასი დოლარი; თურქმენეთი – 44 მილიონ 218 ათასი დოლარი; აშშ – 41 მილიონ 480 ათასი დოლარი; ყაზახეთი – 27 მილიონ 774 ათასი დოლარი; სომხეთი – 18 მილიონ 77 ათასი დოლარი; აზერბაიჯანი – 16 მილიონ 624 ათასი დოლარი; ქუვეიტი – 15 მილიონ 068 ათასი დოლარი; ირანი – 11 მილიონ 745 ათასი დოლარი; ჩინეთი – 3 მილიონ 058 ათასი დოლარი; ნიდერლანდები – 3 მილიონ 027 ათასი დოლარი, უზბეკეთი – 393 ათასი დოლარი; უკრაინა - 359 ათასი დოლარი; მთლიანად კი ერთი თვის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალი 16 მილიონ 12 ათასი აშშ დოლარით შემცირდა.

ჯი-ეიჩ-ენი

**უნებური დისკუტი**

*რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვის მიზეზებზე, მისი შენელების გზებსა და საშუალებებზე პოლიტიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.*

*ამას ცხადყოფს ჩვენი კორესპონდენტის ხათუნა ჩიგოგიძის საუბარი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ჯიმი ჯალიაშვილთან და პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან. რედაქცია იმედოვნებს, რომ მკითხველი გამოეხმაურება ამ პუბლიკაციებს – შეგვატყობინებს, რომელ მოსაზრებას უჭერს მხარს.*

# მეც მინდა მსოფლიო ჩემპიონი ვიყო კრივში...

– ყველა ქვეყანამ აკადემიურ დონემდე აიყვანა დიპლომატია და დიპლომატიური ენა. ეს ენა განსაკუთრებულ ეთიკას, სიღრმეს მოითხოვს. სხვაა სამიტინგო ენა. ამას კი გათვალისწინება სჭირდება. პოლიტიკოსის ყველა სიტყვა, ყოველი გამონათქვამი ფრთხილი და მოზომილი უნდა იყოს.

**– ბატონო ჯიმი, ე. ი. ჩვენს პოლიტიკოსებს მწვავე განცხადებები რომ არ გაეკეთებინათ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ასე არ დაიძაბებოდა?**

– დაძაბულობა გაცილებით ნაკლები იქნებოდა. პუტინსა და სააკაშვილს ერთმანეთთან ურთიერთობის სხვა ფორმა რომ გამოენახათ, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. გაიხსენეთ როგორ გამოიყვანეს რუსეთის ჯარი გერმანიიდან. ჰელმუტ კოლი მივიდა, საჩუქრებიც კი დაურიგა ჯარისკაცებს და ისე გააცილა სამშობლოში. ყველაფერი ნორმალურად, ჰუმანურად მოხდა. სამხედრო წესები თანამედროვე პოლიტიკაში ვერ გაიმარჯვებს. ჩვენი მეზობელი სომხეთიც გავიხსენოთ. ვინმეს უპირისპირდება? – ნორმალური ურთიერთობა აქვს ევროპასთანაც, ამერიკასთანაც და რუსეთთანაც. პატარა ქვეყანას მეტი სიფრთხილე და წინდახედულება მართებს დიდ ქვეყნებთან მიმართებაში. მეც მინდა მსოფლიოს ჩემპიონი ვიყო კრივში, მაგრამ არა ვარ, იმიტომ, რომ საამისო ძალა არ შემწევს...

**– როგორია თქვენი ვარაუდი: აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ახლო მომავალში შესაძლებელია?**

– აფხაზეთი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსეთთან ყოფნა სურს. ამას ვერ გადაათქმევინებს ვერც ევროპისა და ვერც ამერიკის ჩარევა.

ე. წ. სამხრეთ ოსეთში კი ძალიან კარგი დასაყრდენი, ერგნეთი გვქონდა და არ უნდა დაგვეკარგა. ერგნეთის საგუშაგოს დაკეტვით, რუსეთის საქმე გავაკეთეთ. ეს მხარე ეკონომიკურად რუსეთს მივუერთეთ.

ჩემი მოსაზრება ასეთია: ამ კონფლიქტების გადაჭრას წლები



დასჭირდება. აფხაზეთსა და სამაჩაბლოს მხოლოდ მაშინ დავიბრუნებთ, როცა დღევანდელი პოლიტიკა შეიცვლება. ამჟამად რუსეთიცა და საქართველოც იმავე პოლიტიკას ახორციელებს, რამაც ამ კონფლიქტების დაწყება გამოიწვია. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სერბეთის შემადგენლობაში კოსოვოს მიღება, როგორც მოდელი, მიუღებლად მიიჩნია აფხაზეთმაც და ოსეთმაც (თუმცა, სულ სხვაა კოსოვოს საკითხი და სულ სხვა პრობლემებს ვაწყდებით სამხრეთ კავკასიაში).

**– „რუსეთი დათვია, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს დათვი გააფთრდეს". ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

– რა თქმა უნდა, რუსეთს აქვს ყველა ის უპირატესობა, რითაც სახელმწიფო მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე სერიოზულ ფიგურად მიიჩნევა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ სსრკ-ს დაშლით დასუსტებული რუსეთი კარგა სწრაფი ტემპებით ვითარდება. მითის ტოლფასია ის განცხადებები, თითქოს, რუსეთის დაშლა-დანაწევრება იყოს მოსალოდნელი.

ეს ყოველივე საქართველომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. ვიმეორებ: მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან გათვლილი და სწორი პოლიტიკა გვჭირდება. გამონაკლისი არც რუსეთია.

# სააკაშვილმა კარგად უწყის პოლიტიკაში ძალის ფასი

**– ბატონო რამაზ, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ჩვენი ხელისუფლება სიტყვით უპირისპირდება რუსეთს, საქმით კი – პრორუსულია. ამის თქმის საბაბს მათ ჩვენი ენერგოობიექტების გასხვისება და, საერთოდ – ჩვენი ეკონომიკის რუსეთისთვის თითქმის სრული დაქვემდებარება აძლევს.**

– ობიექტების გაყიდვისა და ქვეყნის ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების ფაქტი საკამათო არ არის. მაგრამ ამის საფუძველზე იმის მტკიცება, რომ ხელისუფლება პრორუსულია, ცოტა ძნელია. მით უფრო, თუ ბოლო ხანებში მომხდარ მოვლენებს გავითვალისწინებთ. ჩემი აზრით, ხელისუფლება ცდილობს დაანახოს რუსეთს, რომ ის ხელს შეუწყობს რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკას, ოღონდ, ვერ შეეგუება მის მილიტარისტულ მისწრაფებებს, კერძოდ – სამშვიდობო ძალების ყოფნას კონფლიქტურ რეგიონებში, მათს მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ და ამ კონფლიქტების დაკონსერვებას... ე. ი. ხელისუფლება რაღაცაში უჭერს მხარს რუსეთს, რაღაცაში კი – ეწინააღმდეგება. ამიტომ, ამ საკითხის ერთმნიშვნელოვნად შეფასება შეუძლებელია.

**– მაგრამ, თუ ქვეყანას ეკონომიკური დამოუკიდებლობა არა აქვს, ის ხომ რეალურად დამოუკიდებელი ვერ იქნება?**

– როცა ქვეყანა ეკონომიკური არჩევანის წინაშე დგას, დამოკიდებულს ან ოკუპირებულს, რა თქმა უნდა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის დათმობა სჯობს. ეს რაუნდის მოგების საშუალებას იძლევა. ხვალ შეიძლება სულ სხვა ქვეყანა შემოვიდეს აქ (ეკონომიკური თვალსაზრისით) და ყველაფერი შეიცვალოს.

ისე, თუ რუსეთი ბლოკადას გააგრძელებს, ვერც მისი კაპიტალი



გაიხარებს ჩვენში. ვფიქრობ, რომ, თუ ჩვენი დიდი მეზობლის პოლიტიკა შეიცვლება საქართველოს მიმართ, ეკონომიკასაც მოევლება.

**– ბევრი საყვედური ისმის ჩვენი პოლიტიკოსების მისამართით: საზოგადოებრიობის ნაწილი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ოპონენტების შეურაცხმყოფელად მოხსენიება, საერთოდ, ემოციების აყოლა...**

– მე ამ საკითხზეც ჩემი თვალსაზრისი მაქვს: პოლიტიკოსებში ხშირად ვაწყდებით ამ თვისებას. ჩვენი პრეზიდენტის მაგალითი ავიღოთ. ის ხშირად აკეთებს ემოციურ განცხადებებს, მაგრამ ამ ემოციების მიღმა ცივი გონება და პრაგმატული გათვლები იმალება. სააკაშვილმა კარგად უწყის პოლიტიკაში ძალის ფასი. ვფიქრობ, რომ ის ამგვარი გამოსვლებით ძალის დემონსტრირებას ახდენს. მერწმუნეთ, პირად საუბრებში ის ნაკლებად მოიხსენიებს ოპონენტებს შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. თუ იგი მხოლოდ ემოციებსაა აყოლილი, მაშინ ხომ ეს ემოციები კერძო საუბრებში უფრო უნდა ჩანდეს?

**– ჩვენს დიდ მეზობელს დავუბრუნდეთ. დასაშვებია თუ არა, რომ პუტინის შემდეგ რუსეთის სათავეში გაცილებით უფრო აგრესიული და მტრული ძალა მოვიდეს?**

– ჩემი ვარაუდით, 50 პროცენტზე მეტი შანსია იმისა, რომ რუსეთს აგრესიული ძალა ჩაუდგეს სათავეში. პუტინი ფაშისტურად განწყობილ მოსახლეობას ტოვებს. მის შემდეგ ვინც მოვა (ან პუტინი მოიყვანს), ძალაუნებურად უნდა გაუწიოს ანგარიში, ანუ აგრესიული პოლიტიკა გაატაროს ქვეყნის შიგნითა თუ გარეთ. „გაზპრომსა" და „რუსნევსტზე" ორიენტირებულმა პუტინმა საგარეო პოლიტიკის საყრდენად ენერგომატარებლები გამოაცხადა. ამ სტრატეგიამდე რუსეთის საგარეო პოლიტიკის საყრდენი ტანკი იყო. შესაბამისად, თუ მანამდე რუსეთში მუსიკას გენერალიტეტი უკვეთავდა, მერე პრივილეგირებული კომერსანტები გახდნენ. შეეგუებიან გენერლები ისეთ დაქვეითებას? ცხადია, არა. ბუნებრივია, რომ ისინი იბრძვიან და იბრძოლებენ კიდეც თავისი მდგომარეობის აღსადგენად. ამის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ნაციონალისტური მისწრაფებების, შუღლის გაღვივებაა. ისიც გავიხსენოთ, რომ საქართველოსთვის ყველაზე მეტად აგრესიულნი ან სამხედროები ან მათთან დაკავშირებული პირები არიან. თუ პუტინმა დროზე ვერ მოასწრო თავისი პოლიტიკის გატარება, სათავეში სწორედ სამხედრო ძალაზე ორიენტირებული პოლიტიკური ჯგუფები მოვლენ. აგრესიული რუსეთიც ხომ ემზადება მომავალი არჩევნებისთვის? მოახერხებს თუ არა პუტინი დაუსხლტეს ამ ძალების გავლენას და რუსეთი ჭეშმარიტი დემოკრატიის გზაზე დააყენოს – ამას მომავალი გვიჩვენებს.

**– იქნებ, უფრო ფრთხილი, მოზომილი პოლიტიკის გატარება სჯობდა?**

– ამას წინათ ვუსმენდი სააკაშვილის გამოსვლას, სადაც ასეთი მოსაზრება გამოითქვა: 15 წლის მანძილზე ხომ ვექცეოდით რუსეთს ფრთხილად, ახლა ვცადოთ, ეგებ სხვა გზამ უფრო გაამართლოსო. თუ ამჩნევთ, ევროპამაც მეტად მოგვაქცია ყურადღება მას შემდეგ, რაც რუსეთმა ჩვენს მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო. მაინც, რატომ მიიღეს მათ საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტები? – დარწმუნდნენ, რომ რუსეთი შეიძლება ფაშისტური ძალების გავლენის ქვეშ მოექცეს, რაც საფრთხეს მსოფლიოს შეუქმნის. ამიტომაც დაგვიჭირეს მხარი.

**– ე. ი. ევროპის იმედი უნდა გვქონდეს? რამდენჯერ ჩავვარდნილვართ განსაცდელში, მაგრამ დანარჩენ მსოფლიოს ხმაც არ ამოუღია ჩვენს დასაცავად...**

– ეს სიმართლეა. ახლო წარსულშიც აფხაზეთი ისე დავკარგეთ, არავინ გამოგვქომაგებია. ჩვენი მთავარი საყრდენი არის ის, რომ ევროპის ინტერესებში შედის მშვიდობის შენარჩუნება კავკასიაში. მათ სურთ, რომ ენერგეტიკული დერეფანი დაცული იყოს. ნავთობსადენის გაყვანის შემდეგ ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა. იმედია, უცხოეთის მხარდაჭერა გვექნება. და არა იმიტომ, რომ ჩვენებური ხინკალი მოსწონთ. ვიმეორებ – ეს მათ ინტერესებში შედის.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული: თუ ის განაგრძობს აგრესიას, ევროპაც განაგრძობს ჩვენს მხარდაჭერას, თუ რუსეთი მოახერხებს აგრესიის დაცხრობას, ევროპაც ძველებურად გვირჩევს – თავად მოაწესრიგეთ ურთიერთობებიო.

**– ანუ ყველა გზა მაინც „რომში" მიდის?**

– ეს სამწუხარო რეალობაა და მას ვერსად გავექცევით...

• ოსებში არის კარგგავლენიანი ხალხი, ვინც განსხვავებულად ფიქრობს და აზროვნებს. ისინი არ უჭერენ მხარს კოკოითს და ფიქრობენ, რომ რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს იყენებს საქართველოზე ზემოქმედების მოსახდენად.



◉ არაკანონიერი არჩევნები

# მერე ავად რომ არ შემოგვიბრუნდეს

## გამარჯვებული მხოლოდ საქართველო იქნება!

*12 ნოემბრამდე დიდი დრო აღარაა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. უკვე ნათელია, რომ კოკოითს ალტერნატიული კანდიდატი ვლადიმერ სანაკოევი სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს. მაგრამ უმთავრესი ესაა, — რას უქადის არჩევნები საქართველოს? — ამ კითხვით მივმართეთ ექსპერტს, ბატონ მამუკა არეშიძეს.*



— ვფიქრობ, 12 ნოემბრის არჩევნებს მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვება და აგიხსნით, რატომაც: თუ ამ არჩევნებმა სისხლისღვრისა და შეტაკებების გარეშე ჩაიარა, ერთ პატარა რეგიონში 2 პრეზიდენტი იქნება. ჰოდა, ადრინდელ დაპირისპირებას — რუსები და ოსები ქართველების წინააღმდეგ, ოსებს შორის დაპირისპირებაც დაემატება. ანუ პრეზიდენტების მომხრეები დადგებიან პირისპირ. ასე რომ, ეს არჩევნები კოკოითის მდგომარეობას სერიოზულად შეარყევს.

**— ცნობილი გახდა, რომ ეუთო საერთოდ არ აპირებს ამ არჩევნებში თავისი დამკვირვებლების გამოგზავნას.**

— ასეც უნდა ყოფილიყო. იმ ტერიტორიას, სადაც არჩევნები უნდა გაიმართოს, საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს. ე.ი. ის არაკანონიერია, არ აქვს მნიშვნელობა კოკოითი ჩაატარებს მას თუ „ოსეთის ხსნის კომიტეტი" სანაკოევის ხელმძღვანელობით.

კოკოითსა და მის არჩევნებს მხარს უჭერს რუსეთი. იგი ერთგვარად „აგროვებს" რეფერენდუმის შედეგებს სეპარატისტულ რეგიონებში, რათა რაიმე გასამართლებელი საბუთი, არგუმენტი ჰქონდეს საერთაშორისო ასპარეზზე. მას სურს მიიღოს ასეთივე საბუთი ე.წ. სამხრეთ ოსეთიდანაც, რომ ხალხს რუსეთთან ერთად უნდა ცხოვრება. თუ კოკოითსა და მის გუნდს მხარს უჭერს რუსეთი, რატომ არ შეიძლება სანაკოევსა და მის თანამოაზრეებს მხარი დაუჭიროს საქართველომ?

**— არჩევნების დადებით მხარეზე ვთქვით. ახლა უარყოფითზეც ვთქვათ.**

— მასში მონაწილეობას მიიღებენ ისეთი ადამიანები, ვისაც არასოდეს მიუღია მონაწილეობა ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ არც ერთ არჩევნებში (მაგ. ახალგორის მოსახლეობა, სადაც თანაბარი ოდენობით ცხოვრობენ ოსები და ქართველებიძ. ამით ისინი, ძალაუნებურად აღიარებენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის არსებობას. ეს ფაქტი შეიძლება ჩვენმა მტერმა ცუდად გამოიყენოს. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ ყოველი ნაბიჯი უნდა გათვალოს ზუსტად, რომ მერე ეს ავად არ შემოგვიტრიალდეს.

**— ზემოთ ითქვა, ორპრეზიდენტობა განხეთქილებას თვით ოსებს შორისაც გამოიწვევსო.**

— თავისთავად ისე, რომ ოსები ორად იხლიჩებიან, ცუდი არ არის: საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია უთხრას საერთაშორისო საზოგადოებრიობას: არის კოკოითი, მაგრამ არის მეორე პრეზიდენტიც, რომელიც მზად არის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე მოლაპარაკებები აწარმოოს, თუმცა, აქაც არის ერთი სირთულე: ვიცით, რომ სამშვიდობო ძალების მოქმედებას შერეული საკონტროლო კომისია აკონტროლებს. შესაბამისად, ეს კომისია აკონტროლებს იმ თანხებს, რომელსაც იხდიან დონორი ქვეყნები ამ ზონაში ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. არჩევნების შემდეგ სადავო გახდება ამ კომისიაში ადგილს ვინ დაიჭერს, ვინ გააკონტროლებს დონორთა გადმორიცხულ თანხებს — ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი, თუ მეორისა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. არადა, მათი ერთად ყოფნა გამორიცხულია (კოკოითისა და სანაკოევისძ.

**— ნუთუ, ასე დარწმუნებული ხართ სანაკოევისა და „ხსნის კომიტეტის" გამარჯვებაში?**

— ორივე გამარჯვებულია. 4-ვე რაიონში კოკოითს სერიოზული გავლენა აქვს. სანაკოევის გამარჯვებისთვის კი მხოლოდ დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობაც საკმარისია, რომ არაფერი ვთქვათ ახალგორის რაიონზე. გვარის გამო მას მხარს დაუჭერენ როგორც ახალგორში, ასევე ჯავასა და ცხინვალში მცხოვრები ოსებიც. კოკოითსაც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, თანაც ის ხმებს გააყალბებს. ერთი სიტყვით, ორივე გაიმარჯვებს.

**— მაშ, ოსებში სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა.**

— ოსებში არის კარგგავლენიანი ხალხი, ვინც განსხვავებულად ფიქრობს და აზროვნებს. ისინი არ უჭერენ მხარს კოკოითს და ფიქრობენ, რომ რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს იყენებს საქართველოზე ზემოქმედების მოსახდენად. რუსეთს ხელს აძლევს ეს მდგომარეობა — არც ომი და არც მშვიდობა. სანაკოევისა და „ხსნის კომიტეტის" მთავარი ფუნქცია კი ის არის, რომ დაარწმუნოს ოსები საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობაში. ეს პროცესი უნდა იყოს შეუქცევადი: პროცესი ახსნის, დარწმუნების, დასაბუთებისა...

**— ე.ი. მომავალი არჩევნები იმედისმომცემია საქართველოსთვის?**

— ალტერნატიული არჩევნები მართლაც დადებითი მოვლენაა. თუმცა, ვიმეორებ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი წინასწარ უნდა გათვალოს და გაითვალისწინოს.

ესაუბრა
**ხათუნა ჩიგოგიძე**

# მსოფლიომ გაიგოს, რომ ეგრე არა ყოფილა საქმე

**ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობის ყურადღება კონფლიქტის რეგიონში მიმდინარე მოვლენებისკენ არის მიპყრობილი. ეგებ, მართლაც დაიწყოს მათს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები.**

**რედაქციაში გვეწვია ცხინვალელი პოეტი შოთა დარბუაშვილი, რომელმაც სამი წიგნი გამოსცა დევნილობაში.**



ცხინვალში ყველა იცნობს — ოსიცა და ქართველიც. 15 წლიდანაა პროფესიულ სცენაზე. სწორედ მან ჩამოაყალიბა ცნობილი ანსამბლი „ბონვარონი", ქართულად — „ცისკრის ვარსკვლავი", რომელმაც 1971-90 წლებში, ვიდრე კონფლიქტი დაიწყებოდა, მთელი საბჭოეთი მოიარა. ეს იყო პირველი როკ-ჯგუფი, რომლის რეპერტუარშიც ქართული, ოსური და უცხოური სიმღერები შედიოდა.

შოთასთან ერთად მღეროდნენ ახსარ ჯიგკაევი, ვადიმ ხარებოვი და გიორგი გუჩმაზოვი. „ეს ბიჭები ვლადიკავკაზში წავიდნენ" — გულდაწყვეტით ამბობს ბატონი შოთა. თვითონ კი ამჟამად გორში ცხოვრობს. სამი შვილის მამა და სამი შვილიშვილის პაპაა.

ცხინვალის მოვლენებზე კი ჯერ ეს გვითხრა: ადრეც უნდა დაწყებულიყო ეს ყველაფერი, რადგან ვიცოდი ოსი მოსახლეობის განწყობა. ცხინვალში კოკოითის რეჟიმით უკმაყოფილო ბევრია, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავს. დიმიტრი სანაკოევმა კი გაბედა.

ის ცხინვალიდან მახსოვს, თუმცა, ასაკით ჩემზე უმცროსია. მჯერა, რომ „ბონვარონიდან" მეც ვემახსოვრები...

არჩევნები ლეგიტიმურად რომც არ აღიარონ, დე ფაქტოდ მაინც აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაიგოს მთელმა მსოფლიომ და, თუნდაც, იმ რუსეთმა, რომელიც დღედაღამ გაიძახის, მოსახლეობის 99 პროცენტი რუსეთის მოქალაქეები არიან, რუსეთთან შეერთება სურთ და მათ აუცილებლად დავიცავთო. ცხადი გახდება, რომ ასე არ ყოფილა: სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების, თვით ოსების დიდ ნაწილსაც, თურმე, სწორედ საქართველოს შემადგენლობაში სდომებიათ ყოფნა, ქართველებთან ერთად ცხოვრება!

**— ბატონო შოთა, რას ეტყვით თქვენს ოს მეგობრებს?**

— ყველა ვხედავთ, რომ საქართველო აქტიურად დგამს ნაბიჯებს ევროკავშირისკენ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ... ერთ-ორ წელიწადში საქართველო აუცილებლად გაძლიერდება, თავისას მიაღწევს, აღადგენს საზღვრებს... ძმურად მივმართავ ოსებს, რომ თვითონაც გაიკვალონ გზა დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად, ჩვენს ერთიან სახელმწიფოში, ევროპისაკენ. ოსებმა უფრო პრაგმატულად უნდა იფიქრონ — გორთან საზღვარს საქართველო არ გაავლებს და ვერც რუსეთი შეძლებს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიების მიტაცებას — XXI საუკუნეში ეს უკვე აბსურდია, რომ შეძლებოდა, ამას კარგა ხანია იზამდა!

**— როგორი განწყობაა გორში მცხოვრებ დევნილებში?**

— საღად, რეალურად აფასებენ ვითარებას.

პოლიტიკურადაც ჩვენი ხალხი უფრო მომწიფდა, წინაც იხედება... რა თქმა უნდა, მშვიდობა სურს ყველას...

მაგრამ თუკი ამ მშვიდობისთვის საქართველომ სწორი გათვლები არ გააკეთა, მერე შეიძლება ყველაფერი ისევ ძალიან ცუდად შემოგვიბრუნდეს..

**— ძალიან ბევრი უარყოფითად უყურებს ახალგორის რაიონის ე.წ. სამხრეთ ოსეთზე „მიერთებას". თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მნიშვნელოვანია, როგორ პოზიციას დაიკავებენ თავად ახალგორელები, იმიტომ, რომ იქ უმეტესად ქართველობა სახლობს და იქაური ოსებიც უფრო პროქართულად არიან განწყობილნი.

მაგრამ ქართველებსა და ოსებს შორის მსოფლმხედველობითი განსხვავება მაინც არის, ოსები მაინც რუსულმა სკოლამ, რუსულმა აზროვნებამ გაზარდა. სულ მოსკოვისაკენ ყურებამ განსხვავებული ცნობიერება ჩამოუყალიბათ და ამ ფონზე რომ მათი წიაღიდან ვიღაც მაინც მოტრიალდა ჩვენსკენ, უკვე რაღაცას ნიშნავს...

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. სანაკოევი თუ გულწრფელია, მალევე გამოჩნდება. ისე კი, მგონია, რომ ეს პიროვნება საღად აზროვნებს და მშვენივრად ხედავს მსოფლიო რეალობას — მას უკეთესი უნდა თავისი ხალხისთვის. სწორედ ამაზე უნდა დაფიქრდნენ ოსები. ვფიქრობ, სანაკოევს ბევრი ოსი დაუჭერს მხარს.

**— თქვენ თუ მიიღებთ მონაწილეობას ამ არჩევნებში? რომელ საარჩევნო უბანში მისცემთ ხმას?**

— აუცილებლად! გორში მცხოვრებ დევნილებს, რამდენადაც ვიცით, ავტობუსებით წაგვიყვანენ და ერგნეთის საარჩევნო უბანში მივცემთ ხმას. ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ. დევნილებს ჩვენი მომავლის მიმართ გულგრილობა აღარ გვეპატიება.

ესაუბრა
**ლია ჭიღლაძე**

◉ ინფორმაცია

### ვალი გვემატება...

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ საქართველოს ვალი 1 მილარდ 077 მილიონ 4 ათას დოლარს შეადგენს. აგვისტოს შემდეგი თვეების მონაცემებით, საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ საქართველოს ვალი 8 მილიონ 99 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა.**

**როგორც „ჯი-ეიჩ-ენს" ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული დავალიანებიდან ყველაზე მეტი მსოფლიო ბანკზე მოდის და 742 მილიონ 791 ათას დოლარს შეადგენს;**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალის მოცულობაა 232 მილიონ 184 ათასი დოლარი;**

**სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი — 9 მილიონ 809 ათასი დოლარი;**

**ევროგაერთიანება — 92,220 ათასი დოლარი.**

### ეს რას გვიშველის

**სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტის მოცულობა 100 ათასი აშშ დოლარით შემცირდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 31 ოქტომბრის მდგომარეობით, სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტის მოცულობა 93,057 ათას დოლარს შეადგენს.**

**აქედან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი — 35,074 ათასი დოლარი; გერმანია — 57,983 ათასი დოლარი.**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო ოდენობა 1 მილიარდ 764 მილიონ 612 ათას დოლარს შეადგენს.**

ჯი-ეიჩ-ენი

### გლდანის ნაწილს გაზმომარაგება შეუწყდა

**გლდანის მოსახლეობის ნაწილს გუშინ გაზმომარაგება შეუწყდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისიდან" აცნობეს, ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდება გლდანის I, II, III და „ა" მიკრორაიონებს. ამის მიზეზი პოლიციის აკადემიასთან ახლოს პლასტმასის გაზსადენის დაზიანებაა.**

**კომპანიამ უკვე დაიწყო აღდგენითი სამუშაოები. ჯერჯერობით უცნობია, როდის განახლდება რაიონის გაზმომარაგება.**

ინტერპრესნიუსი




№ 221. ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

**პარლამენტში პოლიტიკოსის, ეკონომისტის და იურისტის მეტი არავინ უნდა იყოს. აბა, საკანონმდებლო ორგანოშია ბიზნესმენის, სპორტსმენის, მასწავლებლის და... ბაზრის დირექტორის ადგილი?**



№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

## ინფორმაცია

### თავს ამით ირჩენენ

გუშინ ზესტაფონში, გარემოს დაცვის დასავლეთ ცენტრალური ბიუროს თანამშრომლებმა ინდმეწარმე გოჩა თაბაგარი ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვებაში ამხილეს.

150 ტონა სილიკომანგანუმი თაბაგარს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში აღმოუჩინეს. ნედლეული ზესტაფონის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზეა მოპოვებული. სახელმწიფოზე მიყენებული ზარალი 20 ათასი ლარით განისაზღვრა.

სილიკომანგანუმის მოპოვება, ფეროშენადნობთა ქარხნის გარდა, კანონით ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აკრძალული აქვს.

### რუსთაველზე კაფეს შენობა დაანგრია

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური დედაქალაქში უკანონოდ განთავსებული ობიექტების დემონტაჟს განაგრძობს. ზედამხედველობის სამსახურმა თავისუფლების მოედანზე მდებარე კაფე „ია“-ს შენობა დაანგრია.

როგორც ობიექტის მფლობელები აცხადებენ, კაფეს კანონიერების დამადასტურებელი საბუთები ჰქონდათ, თუმცა ზედამხედველობის სამსახურმა ეს არ გაითვალისწინა.

ობიექტის დანგრევის გამო, ისინი მერიის შესაბამისი უწყების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ.

ინტერპრესნიუსი

## ვალები, ვალები...

# 2. „ჩანაცვლების“

**– ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ, როგორც წინა წერილში აღვნიშნე, არასწორი და არასახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარების შედეგად, მივიღეთ გაკოტრებული ენერგომწარმოებელი და სადისტრიბუციო კომპანიები. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მრავალი კითხვა ჩნდება, რომლებზეც პასუხი ხელისუფლებისგან გვინდა მოვისმინოთ, – ამბობს ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციისა და ენერგოეფექტურობის ფონდის თავმჯდომარე ვახტანგ ზარქუა.**

– რამდენიმე წლის წინათ გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში სამართავად ამერიკული კომპანია „პი-ეი კონსალტინგი“ შემოიყვანეს. ეს იყო ერთადერთი კომპანია, რომელიც საქართველოს მთავრობას ენერგეტიკის დარგში საკონსულტაციო მომსახურებას უწევდა, ანუ ამ სფეროში მონოპოლისტი გახლდათ. და აი, იგივე კომპანია... სამართავად იღებს გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას. თქვენი ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე მინდა შევაჩერო: **გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში „პი-ეი კონსალტინგის“ შესვლის მომენტისთვის მომხმარებლებისგან გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პროცენტი გაცილებით უფრო მაღალი გახლდათ, ვიდრე შემდგომ მისი მმართველობის დაწყებიდან საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო. კერძოდ, თუკი მანამდე გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პროცენტი 30-50 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, მათი შემოსვლის შემდეგ ეს მაჩვენებელი... 5 პროცენტამდე (?!) შემცირდა. ასეთი მდგომარეობა დაახლოებით ორ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.**

ახლა ასეთ კითხვას ვსვამ: **თუკი ამერიკული „პი-ეი კონსალტინგი“ გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში სამართავად შემოიყვანეს, რატომ არ გაიზარდა მომხმარებლისგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პროცენტი, არ გაუმჯობესდა მარკეტინგი და მენეჯმენტი, არ გამოსწორდა ფინანსური მდგომარეობა და, საბოლოო ანგარიშით, რატომ შეიქმნა იმაზე უარესი მდგომარეობა, ვიდრე მანამდე იყო?**



ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ **„პი-ეი კონსალტინგი“, ერთი მხრივ, მთავრობას რეკომენდაციებს აძლევდა, მეორე მხრივ კი, თავად იყო მათი შემსრულებელი (?!) ანუ ადმინისტრირების სადავეებიც მის ხელთ იყო!** ვფიქრობ, რომ ამგვარი ვითარების აბსურდულობა ყველასთვის ცხადია.

აღსანიშნავია ისიც, რომ **ვალების უმეტესი ნაწილი გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ, სწორედ რომ, „პი-ეი კონსალტინგის“ მართვის პერიოდში დააგროვა.**

შარშან კი, „პი-ეი კონსალტინგმა“ თბილისის საოლქო სასამართლოში შეიტანა განცხადება კომპანიის გაკოტრების საქმის წარმოების გადავადების შესახებ. ახლა მინდა რამდენადმე განსხვავებულად დავსვა კითხვა, რომელიც მანამდე მოგახსენეთ: **განა „პი-ეი კონსალტინგი“ იმიტომ შემოიყვანეს, რომ გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია გაეკოტრებინა?** არადა, **მანამდე, ვიდრე აღნიშნული განცხადება სასამართლოში შევიდოდა, საქართველოს „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონში“ შეიტანეს ცვლილება, რომელიც, ფაქტობრივად, მის მიზნებსა და პრინციპებს ამახინჯებს** და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს სხვებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს კუთვნილი ენერგოკომპანიებისთვის მიზნობრივად შემოიღეს გაკოტრების სპეციალური რეჟიმი, რომლის მიხედვით, სასამართლოში გაკოტრების განცხადების შეტანის მომენტიდან განმცხადებელ კომპანიას 18 თვის ვადა ეძლევა საიმისოდ, რათა წარადგინოს რეაბილიტაციის გეგმა!

**ეს არის უაღრესად გაწელილი ვადა, რაც სრულიად არ არის კრედიტორების ინტერესებში, იგი პირიქით, მათ საწინააღმდეგოდ „მუშაობს“, ვინაიდან ამ ხნის მანძილზე მათ ეკრძალებათ დავალიანების მქონე სადისტრიბუციო კომპანიის საბანკო ანგარიშების დაყადაღება, საკუთარი ზარალის ანაზღაურება მოვალის ქონების ხარჯზე და ა.შ. ეს კი, ფაქტობრივად, თავისებური „რკინის ფარდაა“, რომელიც, პირველ ყოვლისა, დავალიანების მქონე სუბიექტს იცავს კრედიტორებისგან. ყოველივე ეს „გაკოტრების შესახებ კანონში“ დამატებული 40[1] მუხლის წყალობით ხდებოდა და ამჟამადაც ხდება, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ფაქტობრივად, დაამახინჯა გაკოტრების კანონმდებლობა კრედიტორების ინტერესების საზიანოდ.**

თუმცა, აქვე ერთი პარადოქსული მომენტიც მინდა აღვნიშნო. როგორც ჩანს, იმ სავალალო 40[1] მუხლის ავტორებმა ყველაფერი ბოლომდე კარგად ვერ გათვალეს და ის უვარგისი, „თავის“ სასარგებლოდ შექმნილი კანონიც დაარღვიეს. კერძოდ, კანონში ნათქვამია, რომ აღნიშნული **18-თვიანი ვადა კომპანიას მხოლოდ ერთხელ ეძლევა და მეტი გადავადების უფლება აღარ აქვს. არადა, შესწორების ძალაში შესვლის შემდეგ ის 18 თვეც გავიდა, მაგრამ ის კომპანიები, რომლებმაც ამ დროით „ისარგებლეს“... კვლავაც გაკოტრების რეჟიმში არიან!** ცხადია, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩნდება კითხვა: მაშ რატომ დაარღვია ამა თუ იმ კომპანიამ კანონმდებლობა? ანდა სასამართლომ რის საფუძველზე გააგრძელა გაკოტრების რეჟიმის ვადა?

**ამასთან დაკავშირებით, მე მივმართე შეკითხვით სასამართლოსაც, ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროებსაც, მაგრამ პასუხი არც ერთი მათგანისგან არ მიმიღია!**

მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ **გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოებიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო... ქონებას ასხვისებს, ანუ მას სხვა მეპატრონეს (არა კრედიტორს!) უჩენს!**

## ასე როდემდე?

# როცა „მეფე“

**ახლა ყველა ლაპარაკობს, რომ რუსეთი, საქართველოზე ზეწოლის მიზნით, გაზს გაგვიძვირებს. გაზის გაძვირება კი რამდენიმე მიმართულებით იმოქმედებს ჩვენს ეკონომიკაზე: გაძვირდება ელექტროდენი, ტრანსპორტი და კვების პროდუქტები, მათ შორის პურიც. ერთი თვის წინათ ერთი პური 50 თეთრი ღირდა, ახლა 60 თეთრია, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გაზის გაძვირების შემთხვევაში 70-80 თეთრიც გახდება. რუსეთის პრეზიდენტი ღიად აცხადებს, რაკი საქართველოს სურვილია ევროპული ქვეყანა იყოს, ევროპულ ფასებსაც მიეჩვიეთო.**

ძნელია, მაგრამ, ალბათ, ამასაც მივეჩვევით. თუმცა ის მაინც ძალიან მიკვირს, რომ ზოგიერთი პარლამენტარი და, ჩემდა დიდად გასაკვირად, ფინანსთა მინისტრიც ამბობენ – გაზის გაძვირება ქვეყნის არც ეკონომიკაზე იმოქმედებს და არც მოსახლეობაზეო. აი, პარლამენტარებზე რომ ეთქვათ არ იმოქმედებსო, კიდევ დავიჯერებდი, თორემ საზოგადოების ძირითადი ნაწილისთვის რომ რუსეთის გადაწყვეტილება ძნელი გადასატანი იქნება, თავისთავად ცხადია.

გაძვირება ერთია, მაგრამ რუსული პროდუქციის იმპორტიც რომ შემცირდა, არც ეს მოვლენა გახლავთ ადვილი ასატანი, რადგან ექსპერტები ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ფასების კატასტროფულ გაზრდას წინასწარმეტყველებენ. წიწიბურა, სხვადასხვა ბურღულეული, რომელიც ძირითადად რუსეთიდან შემოდიოდა, აგრეთვე ბავშვთა კვების პროდუქტები, საგრძნობლად გაძვირდა, ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ აღარც იშოვება.

რა თქმა უნდა, ფასების გაზრდა, უპირველესად, საშუალო შეძლებისა და ღარიბ მოსახლეობის ჯიბეს დაარტყამს. თორემ პარლამენტარებს, 2000-ლარიანი ხელფასიც კი რომ ეცოტავებათ და ამიტომ ბიუჯეტის განხილვისას ერთი ომი ატეხეს, 500-500 ლარი დაგვიმატეთ, მინისტრის მოადგილეზე ნაკლები რითი ვართ, იმათ ჩვენზე მეტი რომ აქვთო, რა უჭირთ. ისე ეს ოჯახაშენებულები იმას რად არ კითხულობენ, პენსიონერები, 48 ლარი და ბევრ მათგანს ამაზე ნაკლებიც რომ აქვთ, როგორ ცხოვრობენ ან მომავალში როგორ იცხოვრებენ? მე ვინ მეკითხება, მაგრამ პარლამენტართა უმეტესობის ხელფასის საკითხი მართლაც გადასახედია, ამას თქმა რად უნდა: ხომ გამოქვეყნდა პრესაში პარლამენტართა გვარები, რომლებიც მხოლოდ პულტზე თითის დაჭერის მეტს არაფერს აკეთებენ და არც არავინ არაფერს ეკითხებათ. სამაგიეროდ უზრუნველყოფილი აქვთ არა მარტო აწმყო, არამედ მომავალიც. როცა პენსიის დრო დაუდგებათ, 500 ლარზე ნაკლები მაინც არ დაენიშნებათ. არც მანამდე აკლიათ ამქვეყნიური სიკეთე, ეს უცხოური მივლინებებიო, მანქანებიო და სხვა ამგვარი.

მე რომ მკითხოთ, პარლამენტში პოლიტიკოსის, ეკონომისტის და იურისტის მეტი არავინ უნდა იყოს. აბა, საკანონმდებლო ორგანოშია ბიზნესმენის, სპორტსმენის, მასწავლებლის და... ბაზრის დირექტორის ადგილი? ყველამ ხომ ვიცით, ვინც ბიზნესიდან მოვიდა პარლამენტში, ვითომ კანონი რომ დაეცვა, შვილს, ცოლს, ან სიდედრს გადაულოცა თავისი ბიზნესი. მე არ მჯერა, თქვენ? ხელისუფლებამაც იცის, მაგრამ თვალს ხუჭავს.

მით უმეტეს, როგორ შეიძლება მავანმა ფული გადაიხადოს, ანუ ფინანსური დახმარება გაუწიოს იმ პარტიას, რომლის წევრი თავად არის? და ამისთვის პარლამენტარი გახდეს? ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ასეთ ადამიანებს ქრთამის მიცემაც ეადვილებათ, რადგან არმად აქვთ ფული ნაშოვნი, საქმის გაკეთება კი ეძნელებათ, რადგან ცოდნასა და ინტელექტში მოიკოჭლებენ.

ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ პოლიტიკა უეკონომიკოდ არ არსებობს, არც ეკონომიკა პოლიტიკის გარეშეო, ეს იმას ნიშნავს, სხვა თუ არაფერი, რომ პარლამენტარს ერთის ცოდნაც მოეთხოვება და მეორესიც. მათი მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, ის არის, პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღონ, ისეთი კანონები შეიმუშაონ, რის მოთხოვნაც, ანუ რისი დაკვეთაც საზოგადოებისგან მიიღეს. ეს იმას ნიშნავს – ქვეყანასაც არგონ და ხალხსაც, რაც ძირითადად ცხოვრების დონის ამაღლებაში, უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნაში გამოიხატება. თორემ რა გამოდის, კანონებსაც და თუ დასჭირდათ, კონსტიტუციასაც თავიანთი სურვილის მიხედვით ირგებენ.



● უნდა დადგეს ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროების, ასევე სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს, ასევე სასამართლოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც კანონი დაარღვია



◎ ვალები, ვალები...

# კანონი

## შედეგი თუ არ მოიტანა, რისი მაქნისია ასეთი კანონი?

**თანაც გვარწმუნებენ, რომ ამა თუ იმ კომპანიის პრივატიზება კი არ ხდება, არამედ მხოლოდ მისი ქონების (?!), თორემ სახელმწიფოს თავისი წილი როგორც იყო, ისევე დარჩაო (?!).**

**ერთი გვიბრძანეთ, ბატონებო, ეგ როგორ? ქონების გარეშე, „წილი“ ხომ ფარატინა ქაღალდია და სხვა არაფერი!**

„გაკოტრების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლში აღნიშნულია, რომ **მოსამართლე ვალდებულია მეთვალყურეობა გაუწიოს იმას, რომ არ მოხდეს გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოს ქონების გასხვისება.** არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ ასეთ შემთხვევაში ქონება და საბანკო ანგარიშები ხელშეუხებელი უნდა იყოს, ხოლო თუ არა, მაშინ თავად გაკოტრების რეჟიმი ყოველგვარ აზრს კარგავს. **გაკოტრების რეჟიმის მიზანი ხომ ისაა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობა ან გაუმჯობესდეს, ანდა საბოლოოდ ბანკროტად გამოცხადდეს, ხოლო მისი ყველა სახეობის აქტივი კრედიტორებზე გადანაწილდეს.**

არადა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ამტკიცებენ, რომ მრავალ შემთხვევაში ქონება მათ კი არა, არამედ... თავად საწარმოებმა გაასხვისეს. **იქნებ, გაგვაგებინოთ, ბატონებო, ვინ მისცა გაკოტრების რეჟიმში მყოფ საწარმოებს ამის გაკეთების უფლება? მსგავს პირობებში აუცილებლად უნდა არსებობდეს საწარმოს მეპატრონის (ესე იგი სახელმწიფოს!) ნებართვა ქონების გასხვისების თაობაზე!**

ამასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაცია მოვითხოვე (რაც საჯაროა!), მაგრამ ვერ მივიღე — ვერც სასამართლოსგან, ვერც სამინისტროებისგან!

**არსებითად, გამოდის, რომ საქმე გვაქვს აშკარა კრიმინალთან, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ უნდა დადგეს ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროების, ასევე სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს, ასევე სასამართლოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც კანონი დაარღვია.**

ცნობილია, რომ გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია დაახლოებით 82 მილიონ ლარად გაიყიდა. კითხვაზე, თუ სად უნდა შევიდეს ეს თანხა, ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ — კომპანიაში ჩაირიცხებაო (?) არადა, ეკონომიკური რეფორმების სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა, რომ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გაყიდვიდან შემოსული თანხა... ისევ ენერგოსექტორის რეაბილიტაციას მოხმარდებაო.

**მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოებიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო... ქონებას ასხვისებს, ანუ მას სხვა მეპატრონეს (არა კრედიტორს!) უხეფს! თანაც გვარწმუნებენ, რომ ამა თუ იმ კომპანიის პრივატიზება კი არ ხდება, არამედ მხოლოდ მისი ქონების (?!), თორემ სახელმწიფოს თავისი წილი როგორც იყო, ისევე დარჩაო (?!).**

**დამეთანხმებით, სრულიად გაუგებარია: მაინც სად „წავა“ ეს ფული? უკვე გაკოტრებულ კომპანიაში, რომელიც, ფაქტობრივად, მარტო ქაღალდზე არსებობს? თუ სახელმწიფო ბიუჯეტში? ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ფული მართლაც უკვე გაყიდული წარმოების საშუალებებს მოკლებული და გაკოტრებული გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ანგარიშზე ჩაირიცხება, ის ენერგოსექტორის რეაბილიტაციას როგორღა მოხმარდება? მაშინ, კრედიტორებს რაღა? ამაზე, რატომღაც, არავინ ლაპარაკობს.**

მოკლედ, ასეთი ვითარებაა ამჟამად ქვეყნის ენერგოსექტორში, რაშიც, როგორც აღვნიშნე, სამწუხაროდ, ხელისუფლების სამივე შტოა დამნაშავე, რაც, არსებითად, უფრო კრედიტორების წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს ჰგავს, ეს კი, საბოლოო ანგარიშით, უარყოფითად აისახება მთელ საზოგადოებრიობაზე.

და კიდევ ერთი. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის ენერგოსექტორში დაგროვილი ვალების წარმოქმნის მიზეზებს და სათანადო დასკვნებს გამოიტანს. არადა, კანონში შეტანილი ცვლილება სულაც არ არის გათვლილი კრედიტორების (ენერგოკომპანიების) სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

პირიქით, იგი **ააშკარავებს ხელისუფლების სურვილს სამთავრობო კომისიით ჩაანაცვლოს.** ამის თქმის საფუძველს თუნდაც ის მაძლევს, რომ მას უფლება აქვს, შეაჩეროს სასამართლოს მიერ გახსნილი გაკოტრების საქმე და, ფაქტობრივად, მის მიერ სესხის (იქნებ მაღალპროცენტიანისაც!) გამოტანის უფლება დაუშვას (?!). დამეთანხმებით, ეს გარემოება ეჭვს ბადებს, ვინაიდან გარკვეულ ვითარებაში, არაკეთილსინდისიერ ჯგუფს ხელისუფლებაში კერძო ინტერესების ლობირების საშუალება ეძლევა.

კანონპროექტი ასევე უშვებს ვალის აღიარების კომისიის მიერ დადასტურების ან ბათილად ცნობის შესაძლებლობას, რაც მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. შესაძლოა ოპონენტებმა გვითხრან, არავის წაურთმევია სასამართლოსთვის ზემოხსენებული ფუნქციებიო, — ამბობს ვახტანგ ზარქუა, — მაგრამ კომისიის სახით შუალედური სახელისუფლებო რგოლის შემოყვანა და მისთვის ვალის დადასტურების ან ბათილად ცნობის, ან სხვა მსგავსი ფუნქციის კანონით მინიჭება უკვე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სასამართლოზე კრედიტორის საზიანოდ. მაშასადამე, კომისია გვევლინება ზედმეტ შუალედურ რგოლად, რომელმაც კანონპროექტით მინიჭებული უფლებებით შეიძლება ჩაანაცვლოს სასამართლო ან გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მასზე კრედიტორების საზიანოდ.

კანონპროექტი ზერელედ არის მომზადებული, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ადგილი აქვს მთელი რიგი საკითხის გამეორებას.

მიმაჩნია, რომ დავალიანებათა დაგროვებაში სახელმწიფოს მიუძღვის ბრალი. ამიტომ, სამართლიანობის პრინციპისა და კერძო საკუთრების დაცვის, აგრეთვე კერძო საკუთრების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია, სწორედ სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა კერძო კრედიტორის საწარმოების მიმართ დავალიანებათა სრულად გასტუმრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგება ენერგეტიკული და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზების სერიოზული გადასინჯვის საკითხი.

**ახალი სამთავრობო კომისია, ფაქტობრივად, განმსჯელი იქნება და ინტერესთა კონფლიქტში, „მომგვარებლის“ როლს შეასრულებს, რაც სასამართლო ხელისუფლების საკანონმდებლოთი შეცვლის მცდელობაა. რამდენად სწორია ასეთი მოქმედება და რამდენად სამართლიანი იქნება ამ ვითარებაში მიღებული გადაწყვეტილება?**

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია

### იყვირეთ რამდენიც გინდათ

**აფხაზური დიასპორა ევროკავშირის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სახელზე მიმართვას ამზადებს.**

„აფსნი პრესის“ ინფორმაციით, აფხაზები მოუწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებრიობას, სცნონ აფხაზეთის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

დიასპორის ინიციატივას სოლიდარობას უცხადებს სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი სერგეი ბაღაფში.

### ვის უნდა ყალბი პასპორტი

**საქართველოში ოფიციალური დოკუმენტების გამყალბებელთა ჯგუფები მოქმედებს. მათ შორის აღმოჩნდა ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სპეციალისტი დევლეთ ონიანი, რომელზეც ამ დროისთვის ძებნაა გამოცხადებული.**

გუშინ ამ საკითხზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის უფროსმა ლევან დარბაიძემ ერთობლივი პრესკონფერენცია იუსტიციის სამინისტროში გამართეს.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, მიმდინარე წლის 30 იანვრიდან პირველ ნოემბრამდე 246 ყალბი დოკუმენტია ამოღებული. მათ შორის 100-მდე ფაქტი გამოვლენილია ბოლო ორი თვის განმავლობაში.

ყალბი დოკუმენტების ფასი 50-დან 2000 ლარამდე მერყეობს. არსებობს ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

**ინტერპრესნიუსი**

№ 221. ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ ასე როდემდე?

# ფხიზლობს...

მისასალმებელია, რომ ბიუჯეტი იზრდება, მაგრამ მე, ჩვეულებრივ მოკვდავს, მაინტერესებს — რის ხარჯზე? რაო, ეკონომიკა გაძლიერდა, საწარმოები ამუშავდა, ხალხი დასაქმდა? თუ საგარეო ვალები ჩამოვიცილეთ? ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ ვალის აღება დაიწყო, ვალის მოცულობა ყოველწლიურად 150 მილიონი აშშ დოლარით იზრდება, თუ ისევ სხვადასხვა შენობები გავყიდეთ (ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაყიდია!)? ან საპროცენტო გარიგებების შედეგად დაგროვდა კაპიტალი? გასაყიდი რომ არაფერი დაგვრჩება, ბიუჯეტს მაინც გავზრდით? ან ვინ გადაიხდის ამდენ ვალს, ჩვენი შვილები, შვილიშვილები, თუ თაობა, რომელიც ახლა დაიბადება? ვიფიქროთ ამაზეც.

ეკონომიკა რომ გაძლიერებულიყო, საკუთარი პროდუქცია გამოგვეშვა, მაშინ ჩვენი შიდა ბაზარი მთლიანად იმპორტზე ორიენტირებული არ იქნებოდა და ბურღულისა და ფქვილის დეფიციტი ჩვენზე ასე არ იმოქმედებდა, არც ხახვი და კარტოფილი, კიტრი და პამიდორი ტომატ-პასტა და საწებელიც გარედან არ შემოვიდოდა და ჩვენი ხალხი თავად, როგორმე უკეთესად დაამზადებდა. სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კარგი შემთხვევაა და დადებითად ფასდება ბიუჯეტის გაზრდა, მეტი შესაძლებლობა გეძლევა, ხალხს დაეხმარო... მაგრამ თუ ამ გაზრდილ ბიუჯეტშიც კი უმუშევრობის შემცირებასა და დასაქმებაზე ერთი ლარიც თუ არ არის გათვალისწინებული, ამიხსენით, ეკონომიკა წინ წავა? პროფესიული გადამზადებაზე 30 მილიონი ყოფილა გამოყოფილი, მაგრამ გულხე ხელი დავიდოთ და ვთქვათ სიმართლე? როგორ მიმდინარეობს ეს გადამზადება? ვაკანსიები რეალურად არ არსებობს, ფირმათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს (რა თქმა უნდა, ყველას არა!) შეცდომაში შეჰყავთ ხელისუფლება... გამოყოფილი ფული კი იხარჯება, მაგრამ რეალურად ახალგაზრდა სპეციალისტი — ინჟინერი, ექიმი, იურისტი... ვერ საქმდება, მას სთავაზობენ — ქვისოსტატის, დამლაგებლის, სილამაზის სალონის მუშაკის, გაზეთების გამავრცელებლის, მრეცხავის ვაკანსიებს.

ახალგაზრდა, რომელმაც ვინაობა და სამუშაო ადგილი არ გაამხილა, საუბარზე დამეთანხმა:

სპეციალობით ზოგადი პროფილის ექიმი ვარ, შვიდი წელი ვსწავლობდი, დიპლომი კი მივიღე, მაგრამ სამუშაო — ვერსად ვიშოვე, ხელმოკლეობის გამო, ვერც რეზიდენტურა დავამთავრე, ცოლი, ორი შვილი და პენსიონერი მშობლები მყავს. გამიხარდა, დასაქმების პროგრამას რომ გავეცანი, ვიფიქრე, ახლა კი მეშველება-მეთქი და უმალ გავეშურე. რამდენიმე დღე ვიარე, ექიმის ვაკანსია არსად იყო, ის იყო, შინ დაბრუნებას და ხელის ჩაქნევას ვაპირებდი, ნაცნობი შემხვდა, ისიც სამუშაოს ეძებდა ჩემსავით, მან მასწავლა, როგორ მოვქცეულიყავი, რომ სამი თვე 450 ლარი მაინც არ დამეკარგა. მეც ასე მოვიქეცი. ამოვირჩიე ერთი საწარმო, ისიც ქალაქგარეთ, არასახარბიელო და სათანადო საბუთით, რომელიც აქ მომცეს, დასახელებულ საწარმოს ვესტუმრე. უფროსი მეუზნება, შვილო, მეცოდები, მაგრამ რა ვქნა, შენთვის კი არა, ჩვენც თითქმის არაფერი გვაქვს, ხომ ხედავ — რას აკეთებენ. მაშინ მოთხოვნა რატომ გაგზავნეთ თავისუფალ ვაკანსიაზე-მეთქი, ვცადე შეპასუხება, რა მექნა, მთხოვეს, სულ ცოტა 20 კაცი დაასაქმეთ, თორემ უსიამოვნება შეგემთხვევათო, ამიტომ გავაგზავნე. ახალგაზრდა კაცი ხარ, სულ ისე რომ არ დარჩე, მე ხელს მოგიწერ, ვითომ მიგიღე, საბუთს მოგცემ, შემდეგ თვეში ერთხელ მაინც მოდი და 3 თვეში 450 ლარს მაინც აიღებო.

რა თქმა უნდა, დავთანხმდი, სხვა რა გზა მქონდა, მაგრამ სამი თვე რომ გავა, ისევ უხელფასოდ დავრჩები, მერე რაღა გავაკეთო, არ ვიცი, — თქვა.

ღმერთმა დაიფაროს, ყველგან ასე რომ იყოს, თითო-ოროლა ალბათ სადმე მაინც დასაქმდა მუდმივ ადგილზე, მაგრამ ბევრი რომ მოტყუებული დარჩა? ხომ გული უტყდება ახალგაზრდობას, მერე ვიტყვით, საიდან ამდენი ნარკომანი, ამდენი უსაქმურიო.

ჩანაფიქრი, ღმერთმანი, ურიგო არ არის, მაგრამ ალბათ მისი შესრულების მექანიზმია დასახვეწი, სხვანაირად არაფერი გვეშველება, გამოვა ისე, რომ ჩვენს ქვეყანას მარტო მეეზოვე, პარიკმახერი და დამხმარე მუშა ესაჭიროება, სპეციალისტების ჩამოყვანა კი უცხოეთიდან მოგვიწევს (რა სათქმელია და ბორის ბაიჭაძის, მესხისა და მეტრეველის სამშობლოში ფეხბურთის მწვრთნელად ვერავინ მოიძებნა, უცხოეთიდან ჩამოსული მწვრთნელის ბრიგადას კი თურმე ჩვენი ბიუჯეტიდან წელიწადში 4 მილიონი აშშ დოლარი მიაქვთ ხელფასის სახით). ეს ისე, სხვათა შორის.

პენსიებისა და ჯანდაცვის სფერო ავიღოთ. ურიგო თანხა არ არის გამოყოფილი, 600 მილიონი ლარია ამ მიზნით გათვალისწინებული, მაგრამ თუ ამ თანხიდან სოფელ ზანათში ბოსელში მცხოვრებ შვიდშვილიანი ოჯახისთვის 1 ლარის გამოყოფაც კი არ შეიძლება, მაშინ ნამდვილად გასარკვევია, რეალურად ვის ხმარდება ეს თანხა (ამ ოჯახის არაადამიანურ ყოფას საზოგადოებრივმა ტელევიზიამ ამ დღეებში ვრცელი გადაცემა მიუძღვნა).

ასე რომ, სამუშაო და საფიქრალი პარლამენტარებსაც და მთავრობის ხალხსაც, თუ რასაკვირველია ამის სურვილი და მონდომება ექნებათ, თავზე საყრელი აქვთ.

**დიდი ხნის წინათ წავიკითხავს, ლაშქრობიდან მომავალ ერეკლე მეფეს გზაზე ცხვრის ფარა შემოხვდომია. ცხვარი ბალახს ძოვდა, მწყემსს კი ეძინა. მეფე ძლიერ გაკვირვებული დარჩენილა, მწყემსი რომ მძინარე დაუნახავს, მწყემსს კი უპასუხია, მე კი ჩამთვლიმა, მაგრამ ვიცი, ჩემი მეფე ფხიზლობსო. დიახ, რაც ეპატიება ჩვეულებრივ მოკვდავს, არ ეპატიება ხელისუფლებას. ჩვენი, საზოგადოების სურვილია „ჩვენი მეფე“ მუდამ ფხიზლობდეს.**

**ნაზი იმნაიშვილი**

● ინგილო ქართველი ხალხი სულს ღაფავს, ვკარგავთ ენას, მამულს, სარწმუნოებას, რაც დღემდე ენით აუწერელი ტანჯვა-წამებისა და გაჭირვების ფასად შემოვინახეთ.





◎ ღვაწლი

# მარტვილობა და აღზევება პიროვნებისა

## რა „შეკვეთებს“ იძლეოდა ირაკლი მოწერელია?

**ბედნიერება, ვფიქრობ, ასეთ დეფინიციასაც იგუებს: ბედნიერება ღვთით ბოძებული ბედისა და ერის მისიის სინთეზია.**

ამგვარი სინთეზის მატარებელია ირაკლი მოწერელია, რომელიც ერს მსახურებდა და მსახურებს როგორც თავისუფალი ანუ, უფლის საკუთარ თავში გამცნობიერებელი პიროვნება.

რაოდენ პარადოქსულად და, გნებავთ, ალოგიკურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, აპოლიტიკური მეცნიერებიდან სამეცნიერო ხარისხით პოლიტიკურ ასპარეზზე გამწესებული ბატონი ირაკლი წლების გამავლობაში პირველკაცობდა მარტვილის რაიონში და მისი იქ მოღვაწეობის დასაწყისიცა და დასასრულიც ჭყონდიდელის სულიერ მისიასთან ასოცირებული პიროვნების ღვაწლმოსილება გახლავთ. მას, უკიდეგანოდ განათლებულს, არანაირად არ გასჭირვებია თვით კომუნისტური რეჟიმისათვის მიუღებელი, რადიკალურად გამაუცხოებელი მძლავრი ნაბიჯების გადადგმა, რათა ღვთის მიერ ჭყონდიდელის სიდიადით კოდირებული და აღბეჭდილი მარტვილისთვის და სრულიად ქართველთათვის, სწორუპოვარი ღირებულებების რეანიმირება მოეხდინა, ჩვენი ერის უკვდავების ერთი უდიდესი წყაროთაგანი — მარტვილის ტაძარი — განეწმინდა ულვთოთა და უზნეოთა მიერ გარსმოხვეული კეთროვნებისა და უკეთურებისაგან, ხალხი ეკლესიისაკენ, მართლმადიდებლობისაკენ მიედრიკა. რაც შეეხება იმჟამინდელი რეჟიმისათვის დამახასიათებელი სამეურნეო პრობლემების მკაცრი ვერტიკალის კონტექსტში მართვასა და გადაწყვეტას, ეს საქმე მისთვის რანაირად უნდა ყოფილიყო. დაუძლეველი, როცა ზედმიწევნით პატიოსნად თავადაც მარტვილობდა და ხალხსაც ძირფესვიანად აზიარებდა თანაგრძნობის, თანატანჯვის, თანასიყვარულისა და მარტვილობის უანალოგო ღირებულებებს, ამ უკანასკნელთაგან იძულებით, ძალადობით დისტანცირებულებსა და გაუცხოებულებს აბრუნებდა ამ ღირებულებებთან.

შეეძლო კი სხვაგვარად ცხოვრება და შემოქმედება ბატონ ირაკლის, რომლის გენეტიკური არსი და ფუნქცია არის ერის მსახურება? ან რას შეიძლება ნიშნავდეს მისთვის ცნება „შემოქმედება“, თუ არა გარსშემოვლებას, მაგრამ სხვა ინსტანციაში, — როცა ამას იმსახურებს, მაგრამ არანაირად მსახურად არ უყურებ შენიანს, მოყვასს.

ირაკლი მოწერელიას ბედნიერება, ზემოთ აღნიშნული დეფინიციით, არასდროს მოჰკლებია, მაგრამ მას არც არასდროს



დაჰკლებია (მაშინაც და დღესაც ზურგსუკან ჩასაფრებულნი, მისი პიროვნების სულიერი და, სულაც ფიზიკური შარმის გამო შურღვარძლიანნი, მაგრამ მათ გასაგონად, წარსულთა, წარმავალთა, თანამედროვეთა თუ მედროვეთა გასაგონად, გონების სახმობად უნდა ვთქვა, რომ 65 წლის ბატონი ირაკლი არის ის რჩეულთაგანი, რომელმაც მარტვილის რაიონში, გაგანია კომუნისტური რეჟიმის დროს, თავის სიყრმის მეგობარსა და ცნობილ პოეტს ჯემალ ჩახავას პოეტური ეპისტოლე „შეუკვეთა“ მარტვილის ტაძარზე, ჭყონდიდელზე (გავიხსენოთ, რომ იმხანად რაიონი გეგეჭკორად (!ძ იყო სახელდებულიძ. ცხადია, ბედნიერებაა, როცა ასეთი პიროვნებები არსებობენ, უბედურება მათს დეფიციტშია.

ისტორიულ განზომილებათა ხელოვნურ-რევოლუციურ რღვევას რენესანსი არავისთვის მოუტანია და წინგამხედვარებმა უნდა გავიცნობიეროთ, რომ მსგავს ფენომენებს თუ უბედურება არ მოაქვთ, ესღა შეგვრჩება ბედნიერებად. ცოტაა, ღმერთმანი!

... მაინც, ასეთი რა „შეუკვეთა“ ირაკლი მოწერელიამ ჯემალ ჩახავას? — აჰა, ჩემო ძვირფასებო, ეს ლექსიც, რომელსაც ავტორის დასტურით გთავაზობთ და რომელიც, მისივე სურვილით (მაშინ ეს შეუძლებელი იყო), ეძღვნება ბატონ ირაკლის:

### მარტვილი

ასე ლამაზად, ასე მარტივად
როგორ მოგნათლეს ნეტავ
მარტვილად.
როგორ მოგხატეს,
როგორ ეცადნენ,
რომ აგიყვანეს ასე ზეცამდე.
ხარობს და ფეთქავს შენი
სხეული,
საუკუნეთგან არ ხარ ძლეული.
ხარ აფრენილი, როგორც
ოცნება,
შენი ყოველი ქვა იკოცნება.
ისევ ახლდები, აღარ გვეცლები,
დაგვჭიკჭიკებენ თავზე
მერცხლები.
სიზმარს მოჰგავხარ, აუ,
როდინდელს,
აქ დავითს ვხედავთ,
ვხედავთ ჭყონდიდელს.
ცისკენ ილტვოდა შენი მიზანი,
გაჩუქურთმებდა თვით ოპიზარი.
დრო ვერ შეგეხო ნამზევ
გოლიათს,
სხვა სიტურფე გაქვს,
სხვა ჰარმონია.
ავსებული ხარ ნათელ-მირონით,
გუგუნებს შენი სანაპირონი.
ისევ ირთვები და იხატები
შენი ფრესკებით, შენი ხატებით.
ასე ლამაზად, ასე მარტივად
როგორ მოგნათლეს ნეტავ
მარტვილად.

***ბატონ ირაკლის ვუსურვებ, რომ საქართველოს, მის არც ერთ კუთხეს არასდროს გამოლეოდეს მისებრი „შეკვეთების“ ნიჭის მქონე პიროვნებები, არ ყოფილიყოს მათი დეფიციტი და მაშინ ჩვენი სამშობლო უსათუოდ გარდაისახება სახელმწიფოდ.***

**გერმანე ფაცაცია**

◎ ქართველები ქართველებისგან შველას ითხოვენ

# ღაღადისი საინგილოდან

- **ჩვენს ახალგაზრდებს აზერბაიჯან-სომხეთის ომში წინა ხაზზე ერეკებოდნენ.**
- **უკვე რამდენიმე ასეული ქართული ოჯახი აიყარა.**
- **ადგილობრივი ჩინოვნიკების წაქეზებით ჩამოსულნი ეზო-კარში გვივარდებიან.**
- **ბავშვებისთვის ქართული სახელების დარქმევას, გვარების მიცემას გვიკრძალავენ.**

ვცხოვრობთ საქართველოს ყოფილ, ამჟამად კი აზერბაიჯანის კუთვნილ ტერიტორიაზე. საინგილოში, რომელიც შედგება კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებისაგან, სულ 50000 გამაჰმადიანებული ინგილო ქართველი ვართ, კახის რაიონში კი 25 000 ინგილოს შენარჩუნებული გვაქვს ქრისტიანული სარწმუნოება. 1990 წლამდე თითქოს არა გვიჭირდა რა, მაგრამ ნახსენები დროიდან აზერბაიჯანელი ჩინოვნიკები სულ თავზედს გვაწყევლინებენ, გაუსაძლის პირობებში გვამყოფებენ. არც ერთ ქართველს სათოფეზეც არ აკარებენ აზერბაიჯანის ხელისუფლებაში რაიმე თანამდებობას რომ მოგვხედოს, გვიპატრონოს და ვართ ასე — დაბალ, ყოვლად უუფლებო ლობედ. მრავალი ინგილო ჭაბუკი ცილისმწამებლურად დაუკავებიათ და დაუსჯიათ კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ახალგაზრდებს აზერბაიჯან-სომხეთის ომში წინა ხაზზე ერეკებოდნენ. მხოლოდ აზერბაიჯანელი ეროვნების პირთათვის არის სამსახური, მხოლოდ მათ აქვთ უფლება, გახსნან და ამუშაონ კომერციული სტრუქტურები...

ბოლო ხანს კი ჩინოვნიკები ისე უზომოდ გათავხედდნენ, რომ ახალშობილთათვის ქართული სახელების დარქმევასა და გვარების მიცემას გვიკრძალავენ (ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებშიძ.

სადისტური, მზაკვრული განზრახვა აქვთ: ქართველებმა ამდენ უსამართლობას, ტანჯვა-ვაებას ვერ გავუძლოთ, მამა-პაპისეული ძირძველი ქართული მიწებიდან ავიყაროთ და თავად დასახლდნენ ამ ედემში. რამდენიმე ასეული ოჯახი უკვე წავიდა, ზოგი რუსეთში, ზოგი — საქართველოში და ზოგიც — გაურკვეველი მიმართულებით.

ჩვენ ჯერჯერობით ვითმენთ ამ ტანჯვა-წამებას. ძალიან გვიჭირს მამა-პაპის სისხლის ფასად შენარჩუნებული ქართული მიწა-წყლის მიტოვება. ვითმენთ, მაგრამ როდემდე?!.

ეს კუთხე მართლაც ედემის ბაღი, სამოთხეა თავისი ბუნებით, წყლებით. ბაქოდან კახში ჩამოდიან ფულიანები, სხვადასხვა ხრიკით იჭრებიან ჩვენს ეზოებში, იშენებენ სახლებს, მაღაზიებს და ასე გვავიწროებენ. ალბათ, მალე სახლებიდანაც გამოგვრეკავენ.

კახის რაიონში 1990 წლიდან არ მუშაობს კომუნისტების მიერ აშენებული 500-ადგილიანი კლუბი. შიგ არც ერთი სკამი აღარ არის, შენობა შესაკეთებელია. ადრე საქართველოდან პერიოდულად ჩამოდიოდნენ მეცნიერები, მწერლები და კლუბში გვიკითხავდნენ ლექციებს ისტორიულ თემებზე; მსახიობებიც გვსტუმრობდნენ და წარმოდგენებს გვიმართავდნენ. 1990 წლიდან ამასაც მოკლებულნი ვართ და, თუ ასე გაგრძელდება, დავკარგავთ ჩვენს საინგილოს, ისტორიულ ქართულ მიწაზე გაქრება ქართული ენა და სარწმუნოება.

ინგილო ქართველები ვმონაწილეობდით აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტებში. ზოგი — დაიღუპა, ზოგიც — უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მოთმინების ფიალა აივსო! მოგვხედეთ! მოძულებულნი ხომ არა გყავართ თქვენი სისხლი და ხორცი? დაგვიანება საინგილოში ყოველივე ქართულის სიკვდილის ტოლფასია. არადა, მონდომება თქვით, თორემ, განა, ბევრს ვითხოვთ რასმე?

1990 წლიდან საინგილოს მიმართულებით აღარ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. დაინიშნოს ორი ავტობუსი მაინც. ეგებ, შეღავათიანად გვამგზავროთ. აზერბაიჯანში, საქართველოსთან შედარებით, საწვავი იაფია და ავტობუსების შენახვა არ გაჭირდება. სკოლებისთვის გვინდა ახალი ქართული წიგნები. ძველი პროგრამებით ინგილო აბიტურიენტი ვერ ხვდება უმაღლეს სასწავლებელში. აზერბაიჯანის ხელისუფლებას ეს სულაც არ ენაღვლება. აუცილებელია პედაგოგების გაგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე საქართველოში. ეს ჩვენი, ქართველების საფიქრალია მამა-პაპისეული ქართული მიწა-წყლის, ენისა და სარწმუნოების შესანარჩუნებლად.

ჩამოვიყვანეთ მშობიარე ინგილო ქალებს თბილისში და მოვათავსებთ — ჩვეულებრივ ან საპატრიარქოს სამშობიაროში, რათა ნორმალურად ამშობიარონ ჩვენმა გამოცდილმა ექიმებმა. საინგილოში კი ქალების მშობიარობისათვის საარაკო თანხას გვძალავენ და...

1990 წლიდან საინგილოში გაუქმდა კოლმეურნეობები. მანამდე მოგვყავდა უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა ჯიშის თამბაქო. საჭიროა სამივე რაიონის დაფინანსება, რათა იჯარით ავიღოთ მიწა, დავრგათ 50-50 ჰექტარზე თამბა-



ქო (სულ — 150 ჰექტარიძ, საიდანაც 400-დან 1000 ტონამდე ხმელ, მზა თამბაქოს მივიღებთ. თამბაქოს კანონიერად ჩავიტანთ თბილისში და ჩავაბარებთ თამბაქოს ფაბრიკებში იმ თანხის მესამედად, რაც მათ უჯდებათ. ე. ი. სამჯერ იაფად. თან, შედარებით — მაღალი ხარისხისას. ამით თბილისის თამბაქოს ფაბრიკებიცა და საქართველოს ბიუჯეტიც იხეირებს. ხოლო საინგილოს სამივე რაიონში მოსახლეობის, დაახლოებით, 80 პროცენტი დასაქმდება და 2-3 წელიწადში ფეხზეც დავდგებით.

რაც საქართველოში კერძო ფასიანი ინსტიტუტები დაარსდა, ინგილოებს ლიმიტს აღარ გვაძლევენ. ფასიან უმაღლესებში სწავლის საშუალება არა გვაქვს. ამიტომ, იძულებულნი ვართ, შვილებს აზერბაიჯანში ვასწავლოთ. ეს კი გადევნა და ქართველობის დაკარგვაა.

თუ დაგვაფინანსა ვინმემ, უნდა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რომელიც გააკონტროლებს ფინანსების დახარჯვასა და ნებისმიერი საქმიანობის შედეგიანობას გააანალიზებს.

ჩვენს ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას დავარქმევთ — „ძველმოქმედებისათვის“, რათა თანხები დანიშნულებისამებრ დაიხარჯოს და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას არ შევრცხვეთ.

2005 წლის მიწურულს საქართველოს პატრიარქი ილია მეორე მიიწვიეს ბაქოში. იქ რომ ოფიციალური შეხვედრები დამთავრდა, უწმინდესმა საინგილოში ჩამოსვლა მოითხოვა. აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლები დათანხმდნენ, მაგრამ თან უშიშროების თანამშრომლები გამოაყოლეს. მკაცრი რეჟიმით მოინახულა პატრიარქმა საინგილო, დაათვალიერა ეკლესიები, შეხვდა ქართველებს, მოქმედ ეკლესიაში აღავლინა წირვა-ლოცვა, რასაც წირვა-ლოცვას მოწყურებული მრავალი ინგილო ქართველი დაესწრო; მოინათლნენ ბავშვები და მოზარდები. გაიმართა კონცერტი, პატრიარქი განცვიფრებული დაგვემშვიდობა. შემდეგ გავიგეთ, რომ უნეტარესი თბილისში სამჯერ გამოვიდა საპატრიარქოს რადიოთი და ქართველ ერს გააცნო საინგილოს მდგომარეობა. მაგრამ მისი, ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

ინგილო ქართველი ხალხი სულს ღაფავს, ვკარგავთ ენას, მამულს, სარწმუნოებას, რაც დღემდე ენით აუწერელი ტანჯვა-წამებისა და გაჭირვების ფასად შემოვინახეთ.

გვიანობის დრო აღარ არის! დაგვეხმარეთ, სული მოგვათქმევინეთ, რათა გავუმკლავდეთ ძალმომრეობას.

**საინგილოს ქართველი მოსახლეობის სახელით**

**მიხეილ ყულოშვილი, მოსე ოთარაშვილი, ანდრო მამაჯანაშვილი.**

**საინგილოს გადარჩენის ხელშემწყობი საზოგადოების „ჰერეთის“ ანგარიში გახსნილია ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე „ქართულ ბანკში“. ანგარიშის ნომერია 0003234604, ხოლო სავალუტო №04417110.**

ზეციერიც ვერ დააბრალებს უზრუნველობას თენგიზ სანაძეს. ვერც ხის დაურგველობას დააყვედრის ვინმე. არაერთი თაობა აღუზრდია, გაუყვანია დიდ გზაზე. წაქცეულისთვისაც შეუშველებია ხელი



## აფორიაქებული განწყობით

# ...სადაც არასოდეს დაუგვიანია

**საოცარი რამ მოხდა.**

**სამართლისა და განათლების სისტემებისთვის უჩვეულო.**

**პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა „წვრილმანი ხულიგნობის“ ბრალდებით.**

**ექვსმეტანილი იყო ათიოდე კაცი.**

**მეცნიერებათა კანდიდატები.**

**დოქტორები.**

**აკადემიის წევრები.**

**წევრ-კორესპონდენტები.**

**სიაში თენგიზ სანაძეც იყო.**

მეცნაურა.

მეხსიერებაში უცებ წამოიქოჩრნენ სტუდენტობის წლები.

მაშინ წესი იყო ასეთი:

ყველაფერი უნდა სცოდნოდათ ჟურნალისტებს.

მეორე თუ მესამე კურსზე სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის სალექციო კურსიც გვეკითხებოდა.

მთელი ერთი სემესტრი.

საგანი ნამდვილად მოსაწყენი იყო.

ლექტორიც არ ექნა ღმერთს. არ მიეცა ორატორის ნიჭი.

ლექციებზე მაინც პატიოსნად დავდიოდით.

ცხადია, სტიპენდიის დაკარგვის შიშით.

ეროვნული უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ხდებოდა ეს.

ფიზიკოსები, ქიმიკოსები მრავლობდნენ იქ.

ერთი ახალგაზრდაც იყო.

პედაგოგი.

მანამდე არაფერი მქონდა მასზე გაგონილი.

არც ავი, არც კარგი.

სტუდენტები მეცოდებოდნენ მისი. განსაკუთრებით გამოცდებზე. აულებელ სიმაგრედ მყავდა წარმოდგენილი. გარეგნობა ჰქონდა ასეთი.

შავტუხა.

შავი წარბებიც მკაცრ იერს აძლევდნენ ისედაც ჩაქურუფებულ სახეს. მძიმე ნაბიჯებით დადიოდა. ზორბა და ჩაკირული სხეული არ აძლევდა ცქაფად მოძრაობის ნებას.

თავი უკვე ჟურნალისტად მომქონდა. ხელიდან როგორ გავუშვებდი მისი ვინაობის დადგენის შესაძლებლობას.

გვარი გავიგე.

სახელიც, თუმცა არასოდეს დამჭირვებია არც ერთი, არც მეორე..

არსად.

არაფერში.

სწავლა დავამთავრეთ, მივიღეთ დიპლომები ისე, რომ მასთან დაახლოების საშუალება არ მომცემია, სურვილიც არ გამჩენია ამდაგვარი..

წავედი ჩემი გზით.

ხანდახან მაინც მოვკრავდი თვალს სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში დარჩენილი მეგობრების მოსანახულებლად შესული.

კერპად მეჩვენებოდა მერეც, უჟმური ხასიათის პატრონად. ამიტომაც ვარიდებდი თავს, თუმცა დარწმუნებული ვარ, მაინცდამაინც არც თვითონ ღნებოდა ჩემი გაცნობის დაუოკებელი სურვილით.

დროთა განმავლობაში პროფესიულმა ჩვევებმა მძლიეს. ზოგი რამ სხვებთან საუბრებში მოვიძიე.

შემთხვევით.

სხვათა შორის.

ახლა აგერ ეროვნულ უნივერსიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევ „წვრილმან ხულიგანთა“ სიაში ვნახე მეხსიერების რომელიღაც კუნჭულში შემორჩენილი სახელი და გვარი.

სტუდენტობისდროინდელი შთაბეჭდილებები გავუზიარე ჯემალ მებონიას, „გახულიგნებული პროფესორების“ ერთ-ერთ თავკაცთაგანს.

აფორიაქდა ეს კოლხური ტემპერამენტით სავსე კაცი.

გაკვირდა.

რამ გაფიქრებინაო ასეთი რამ.

ხანგრძლივ საუბარში თებერვლის მიწურვილისთვის სახურავიდან ჩამოვარდნილი მყიფე ყინულივით დამიფშვნა ორმოცი თუ ორმოცდახუთი წლის უკან ჩემს წარმოდგენაში კარგად ჩამოქნილი სახე.

ხშირად ბავშვივით მიამიტიაო, ხაზგასმულად დაამატა თანაც.

უჩვეულო სითბოთი იგონებდა უფროსი მეგობრის ცხოვრებისეულ გზას ფიზიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, კრიტიკულ მომენტში დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ ეროვნული უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შერჩეული, საქმისთვის განწირული თუ შეწირული, თავადაც ნიჭიერი ფიზიკოსი და უნარიანი ორგანიზატორი.

მთელი შეგნებული ცხოვრება ურყევად მჯეროდა. დღესაც ასე მწამს:

მხოლოდ წმინდა, სუფთა სულის პატრონთათვის არის დამახასიათებელი გულუბრყვილობა მოწიფულობის ჟამს.

ძველ თანამშრომლებს უთქვამთ არაერთხელ:

ანეკდოტივით ყვებოდნენ მეგობრები ერთ ამბავს.

თავსგადახდენილს.

ნამდვილს.

პროფილაქტიკაში შესულა ავტომანქანის დაზიანებული ნაწილის შესაკეთებლად.

გაწამებულა ხელოსანი, თავი და



შესახედავად არისო გოროზი ეს სრულიად ლიბერალი კაცი.

კატეგორიულად იუარა. სერიოზულად მიმტკიცებდა, რა ლიბერალი, მკაცრიც ვარო შეფასების დროს, სულ სამიანებით სავსე საგამოცდო უწყისიც არაერთხელ ჩამიბარებიაო დეკანატისთვის.

პირველკურსელებზე საუბრის დროს მაინც შეეტყო რაღაც, წამოსცდა კიდეც. მათთან არისო ძნელი განსაკუთრებული მომთხოვნელობის გამოჩენა, ისიც პირველ სემესტრში, პირველი გამოცდების დროს.

მართლაც ფეხის აღგმასავით არის პირველი გამოცდა. თავიდანვე წაქცევით დაშინებული ბალღი მიწაზე მყარად დადგომას ვერ ახერხებს დიდხანს.

ცოტანი ხვდებიან ამას.

ისიც იშვიათად.

ნიშანდობლივია ესეც.

შინაგანად სულ ექიშპებიან ერთმანეთს აღმზრდელი, მეცნიერი და პიროვნება.

ვერ თავსდებიან.

რომელიღაც ერთი მეორეზე მძლავრობს.

იშვიათობაა სრული თანხვედრა.

თენგიზ სანაძე ბედნიერი გამონაკლისია. მშვენივრად ერწყმიან ერთმანეთს მასში მეცნიერი და პიროვნება.

ერთი ეგ არის: არ დაჰყოლია ყრმობიდან მაგიდაზე ხელების ბრახუნის უნარი, დიქტატორული მანერები.

ფაკულტეტის დეკანი იყო ერთხანს. გაწამდა თურმე კაცი. მეგობრები იგონებენ ამას. გულის შემაღონებელი იყოო მისთვის ის რამდენიმე წელიწადი.

ეს არ არის ხასიათის შეძენილი ნიშანი.

**ბედისწერაა.**

**მეცნიერის ბედი.**

**მეცნიერული კვლევა არ არის მიზანი.**

**სასჯელია ძიება.**

**ღვთის მიერ ადამის მოდგმისთვის გამოტანილი განაჩენი.**

**გარდუვალი.**

**უთუოდ აღსასრულებელი.**

**გააჩნია, როდის და როგორ.**

თენგიზ სანაძე ექსპერიმენტატორია, გამომგონებელი, ნავარაუდევთან მისასვლელი გზების მომძიებელი.

მიკვლეულიც ბევრი აქვს.

დაუჯერებელია, მაგრამ არაერთი მათგანი საკუთარი ხელებით დამზადებული ხელსაწყოებითაც.

ბოლო ვერ გაუგია „დაავადებული“ აგრეგატისთვის. აკადემიკოსს უმარჯვნია, სწორ გზაზე დაუყენებია ოსტატი.

ნაჯაფარი.

მრავლის მნახველი.

ვინ ხარო, უკითხავს იმასაც.

მომკვდარა სიცილით პროფესორის შემცნობი.

არ ყოფილა მთლად უბირი, სცოდნია უნივერსიტეტში დატრიალებული ცოდვის ამბები. გაკვირვებულა, რატომ ვერ ეტევითო თქვენ-თქვენ ტყავებში, ასი ლარისთვის როგორ იხოცავთო თავს ეს დროული კაცები. შეუთავაზებია კიდეც, გადმოდი ჩვენთან და შენი ცოდნის პატრონი თვეში კი არა, დღეში არ დასჯერდებიო ას ლარს.

ხელისუფალთაგან ბევრზე ღირსეული ყოფილა, ცოდნის დაფასების უნარიც არ კლებია იმ დალოცვილს.

ერთი რამ არ ეცოდინებოდა ნამდვილად:

სტუდენტობისას ნიჭიერ ყმაწვილად რომ იყო მიჩნეული.

ასპირანტურაში პერსპექტიულ მკვლევარად თვლიდნენ.

მერე დაფიქრებულ მეცნიერად იქცა.

მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის ბედოვლათობა რომ არა, თენგიზ სანაძის წყალობით ყველა ვერ დაელაპარაკებოდაო საქართველოს „შენობით“.

ეს უკვე ვახტანგ ტუსკიას აზრია, ერთ-ერთი შერისხული უნივერსიტეტელის.

ბედის ნებიერი არ ყოფილა თენგიზ სანაძე, თუმცა ღვთის წყალობაც არ მოკლებია საჭიროებისას. მოზომილად გადააბიჯა შვიდ ათეულს. ვიცი, გაკვირდება ბევრი. რა ჰქონდაო დასაკარგი ამ ხნისას?

არც არაფერი.

საოცარმა უზიროებამ, ერის თავად ნაკურთხი უნივერსიტეტის რომელიღაც კოლეჯის დარად დამცრობის მსურველთა საეჭვო მონადინებამ დააკარგვინა წონასწორობა მშვიდს, მუდამ აუჩქარებელს.

ყოველთვის გაწონასწორებულს.

სულ ორჯერ გვყავსო ნანახი შესამჩნევად გაბრაზებული, აცხადებენ თანამშრომლები.

კონკურსს როგორ გაივლიდაო ასეთი ხანმოთეული აკადემიკოსი. ამასაც იკითხავს ვიღაც.

თვითონ არ ინება ამის დაზუსტება.

შეთანხმების გარეშე უნდა გავხსნა ფრჩხილები.

აშკარად ვრისკავ.

ქვეცნობიერად ვგრძნობ: მაპატიებს.

ამიტომაც ვბედავ.

სამოცდათხუთმეტის მოახლოება სხვებზე ადრე იგრძნო. ჯანის სისუსტეს არ შეუწუხებია. საქმემ შეახსენა თავი. ადამიანურმა მოვალეობამ, სხვათა წინაშე პასუხისმგებლობამ შეაწუხა ყოველგვარი პათეტიკის გარეშე.

ამბობენ, ვისაც სიცოცხლეში ერთი ხე მაინც არ დაურგავს, ცხოვრება ფუჭად აქვსო გატარებული.

ზეციერიც ვერ დააბრალებს უზრუნველობას თენგიზ სანაძეს. ვერც ხის დაურგველობას დააყვედრის ვინმე. არაერთი თაობა აღუზრდია, გაუყვანია დიდ გზაზე. წაქცეულისთვისაც შეუშველებია ხელი.

ახლა სულ სხვა რამ იდო სასწორზე. ადრინდელზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საწალმართოვინმე ღირსეული იყო კათედრის გამგედ მოსაძებნი. ასეთების სიმწირე არ იყო თბილისშიც, მაგრამ კავშირების სიფართოვე სძალავდა ყველაფერს. უბრალო რამ არ იგულისხმებოდა კავშირებში.

ჩვეულებრივზე ბევრად მეტი.

უთუოდ გასათვალისწინებელი.

გადამწყვეტი.

შეგულებულიც ჰყავდა — შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში მოღვაწე ალექსანდრე შენგელაია.

ფართო დიაპაზონის, მრავალჯერადი კავშირების მქონე, უცხოეთშიც დაფასებული პროფესიონალი.

ასე და ამგვარად, თავისთავად გადავიდა პირადი ზოგადში.

საერთოში, ეროვნულში, რომლისთვისაც გვერდის ავლა ანუ მიყურისძირება უეჭველად სცილდება ღირებულის ზღვარს.

პოლიტიკასაც შევხებივართ საუბრებში.

ზოგადად, გაკვრით.

კონკრეტული მხოლოდ ეროვნული უნივერსიტეტის სატკივარი იყო, რასაც საკუთარივით განიცდის მუდამ.

ყველაფერი გარედან შემოგდებულიაო, თქვა ერთხელ მშვიდად, მაგრამ დაბეჯითებით.

თითქოს არ დაიჯერა მომხდარის ენდემურობა, ადგილობრივი წარმოშობა.

ვერ გაიმეტა თვისტომი იოლად.

მაინც ეტკინა საკუთარი სისხლხორცის უკუღმა ნაფიქრალი.

სადღაც სხვაგან სცადა მიზეზის მოძებნა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ დასთმო, ვერ მიაფუჩეჩა სათქმელი.

ჩვენს გარდა არსად გაუტარებიათ ამგვარი რეფორმები, არა მგონია შედეგი იყოსო სასურველად ღირებული.

აუჩქარებელ საუბარში მოაგონდა რაღაც. გაუნათდა სახე. მაინც გადარჩენილები ვართო ჯერჯერობით.

სადღაც, ვიღაცას გადაუფიქრებია მეორე კორპუსიდან ფიზიკის, ქიმიის კაბინეტების, ლაბორატორიების გატანა, სხვადასხვა შენობაში გადანაწილება.

წლობით აწყობილის დაშლას ამ ორი მეცნიერების ქართული ფესვების ამოძირკვად თვლის. პროცესის შეჩერება კიდევ წყალში ჩავარდნილი ცურვის უცოდინარისთვის გადაგდებულ თოკად ეჩვენება, თუ ისიც ძალიან აძონძილი არ გამოდგა ბოლოს.

**კინაღამ გამომრჩა.**

**რამდენჯერმე მოვკარი ყური: ყველგან შეუძლიაო დაგვიანება, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზეც კი.**

**ერთადერთი თურმე ლექციაა, სადაც თენგიზ სანაძეს არასოდეს დაუგვიანია.**

**არც ერთი წუთი.**

**რობერტ ძერია**

## ინფორმაცია

### ამ ჭირს ვინ უშველის

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივა ჯორჯია“, „ზიანის შემცირების ქსელთან“ ერთად, საქართველოში 2007-2009 წლებისთვის ნარკომანიის მკურნალობისა და რისკის მინიმიზაციის სფეროში კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას იწყებენ.**

**ამ მიზნით, გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შექმნილი წიგნის „ინვესტიცია ჯანმრთელ მომავალში“ პრეზენტაცია გაიმართა.**

**წიგნის შექმნაზე რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობდა, მათ შორის, სამკურნალო ცენტრ „ურანტის“ ხელმძღვანელობაც.**

**როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ სიხარულიძემ განაცხადა, სახელმძღვანელოს მიხედვით, საქართველოს დიდ ქალაქებში იგეგმება სპეციალური სერვის-ცენტრების შექმნა, რომლებიც ნარკომანიით დაავადებულ პირებს მოემსახურება.**

**წლის განმავლობაში, ამ პროექტის ფარგლებში, 29 790 ადამიანი გაივლის მკურნალობას, დამატებითი ცენტრების საშუალებით კი შესაძლებელი გახდება 15 ათასი პირის ნებაყოფლობითი გამოკვლევა.**

**ინტერპრესნიუსი**

### კრიმინალთა ქართველი „მაყურებელი“ დააკავეს



**ეკატერინბურგში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს, რომელიც სვერდლოვის ოლქის დამნაშავეთა სამყაროს ე.წ. „მაყურებლად“ იწოდებოდა.**

**დაკავებული, ვინმე გია, 33 წლისაა და როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, იგი რუსეთში „მოლვაწე“ ცნობილი „კანონიერი ქურდების“ მარჯვენა ხელი იყო. გიას დახასიათებისას სამართალდამცავები მიუთითებენ, რომ იგი კრიმინალური იდეოლოგიის კავკასიური მიმართულების მატარებელი იყო.**

**— მისი დაკავება და საერთოდ, ქართველ კრიმინალთა წმენდა საქართველოსთან შექმნილ დაპირისპირებას არ უკავშირდება. რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს ნახევარს სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები შეადგენენ, — აცხადებენ რუსეთის შს მთავარი სამმართველოს პრესსამსახურში.**

**ХО-ЭИЖ-ЭНО**

№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

# უცხოური პრესიდან



● რუსეთის მხარეს არაერთგზის გამოუთქვამს სურვილი, დაუფლებოდა ტრანსკავკასიის სატრანზიტო გაზსადენს, რომლითაც რუსეთიდან ბუნებრივი გაზის გადატუმბვა ხდება სომხეთში, საქართველოს ტერიტორიის გავლით

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველომ „გაზპრომს“ უარი უთხრა



**ოფიციალურმა თბილისმა კატეგორიული უარი განუცხადა „გაზპრომს“, რომელიც ქართულ მხარეს სთავაზობდა მისაღებ ტარიფებს რუსულ გაზზე, თუ იგი მას დაუთმობდა თავის აქტივებს. ამას თბილისში „პოლიტიკური შანტაჟი“ უწოდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. როგორც მან განაცხადა საქართველოს მთავრობის სხდომაზე, ხელისუფლება განაგრძობს მოლაპარაკებას გაზის კომერციული ფასების შესახებ. „მოლაპარაკებას ვაწარმოებთ არა მარტო რუსეთთან, არამედ სხვა მეზობელ ქვეყნებთანაც. კიდევ ერთხელ მსურს გავიმეორო, რომ ჩვენი ხელისუფლე-**




**ბა არ აჰყვება შანტაჟს“, — თქვა პრემიერმა.**

როგორც ცნობილია, „გაზპრომის“ კომპანიის ხელმძღვანელმა ალექსანდრე მედვედევმა განაცხადა, რომ კომპანია 2007 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მიწოდებული ყოველი 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზისთვის მოითხოვს 110 დოლარს, თუ თბილისი რუსეთის მხარეს შესთავაზებს მიმზიდველ აქტივებს ქართულ ენერგეტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გაზპრომი“ ბუნებრივი გაზის ფასის მომატებას 230 დოლარამდე აპირებს. მედვედევის თქმით, წინანდელი პირობებით (110 დოლარადძ გაზს მხოლოდ სომხეთი მიიღებს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის მხარეს არაერთგზის გამოუთქვამს სურვილი, დაუფლებოდა ტრანსკავკასიის სატრანზიტო გაზსადენს, რომლითაც რუსეთიდან ბუნებრივი გაზის გადატუმბვა ხდება სომხეთში, საქართველოს ტერიტორიის გავლით. მაგრამ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ჟურნალისტთა კითხვას, აპირებს თუ არა მისი ქვეყანა მილსადენის გადაცემას „გაზპრომისთვის“, ერთმნიშვნელოვნად უპასუხა: „ეს არასდროს მოხდება“.

ამავე დროს, ამ დღეებში იწყება ზემოაღნიშნული გაზსადენის რეაბილიტაცია იმ სახსრების მეშვეობით, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა გამოყო Millennium Challenge (ათასწლეულის გამოწვევათაძ პროგრამის ფარგლებში. ვაშინგტონი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა რუსეთისთვის გაზსადენის გადაცემას. ამ მაგისტრალური მილსადენის ექვს ყველაზე მეტად დაზიანებულ უბანს შეაკეთებენ აზერბაიჯანის „ხაზარდენიზნეფტეგაზთიკინტის“ და ქართული GEO Engineering კომპანიები, რომლებთანაც 2006 წლის 3 ნოემბერს დაიდო შესაბამისად 8,4 და 1,4 მილიონი დოლარის კონტრაქტები. როგორც Millennium Challenge Georgia კომპანიაში მიაჩნიათ, ზემოაღნიშნული მონაკვეთების შეკეთება მნიშვნელოვნად შეამცირებს გაზსადენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ რისკს, კერძოდ, გაზაფხულის წყალმოვარდნის პერიოდში. გაზსადენის სრული რეაბილიტაცია უახლოეს ორ წელიწადში უნდა დასრულდეს. მთლიანად კი, საქართველოს ენერგოსექტორის რეაბილიტაციის პროექტის განსახორციელებლად Millennium Challenge Georgia კომპანია გეგმავს 49,5 მილიონი დოლარის გამოყოფას, რომლიდანაც 44,5 მილიონი უნდა მოხმარდეს საქართველოს მონაკვეთზე ტრანსკავკასიური გაზსადენის რეაბილიტაციას, კიდევ 5 მილიონი კი — საქართველოს მთავრობის დახმარებას ენერგოსექტორში რეფორმათა განხორციელების საქმეში. როგორც Millennium Challenge Georgia კომპანიაში გვითხრეს, **მაგისტრალური გაზსადენის მდგომარეობა, რომელიც მოიცავს ჯერ კიდევ 70-იანი წლების დამლევს და 80-იანი წლების დამდეგს „ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის“ დერეფანში გაყვანილ ორ პარალელურ მილსადენს, იმდენად გაუარესდა, რომ არსებულ პირობებში გაზის მიწოდების უშიშროების უზრუნველყოფა შეუძლებელია, ხოლო სარემონტო სამუშაოთა გადადების შემთხვევაში, საქართველო შეიძლება გადააწყდეს სისტემის კატასტროფულ კოლაფსს და ქვეყანა გაზის გარეშეც კი შეიძლება დარჩეს.**

REGNUM

## თბილისს რუსეთთან ომის შეეშინდა

**საქართველოს ეშინია რუსეთის მხრიდან სამხედრო თავდასხმისა, განაცხადა საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.**

აი, თურმე როგორ ხდება: ჯერ იყო და საქართველოს თავდაცვის მინისტრი საჯაროდ აცხადებდა, რომ ახალ წელს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში შეხვდებოდა, რომ საქართველოს არ ეშინოდა რუსეთთან ომის, და უფრო მეტიც, რუსეთი ამ შეტაკებაში დამარცხებისთვის იქნებოდა განწირული. ახლა კი, მეორე მინისტრი აღნიშნავს, რომ ეშინია რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედების დაწყების. „თავდასხმის საფრთხე არსებობს და სწორედ ამიტომაც ვიმყოფები პარიზში და ვაპირებ ევროპის სხვა დედაქალაქებშიც ჩასვლას, რათა ჩვენ ყველამ ერთად განვუმარტოთ რუსეთს, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა სისულელეა და ყოვლად დაუშვებელია“, — დასძინა ბეჟუაშვილმა.



საქართველოს ხელისუფლების ამ მორიგ პასაჟს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ რუსი სამხედროები. „რუსეთი არ აპირებს ომის დაწყებას საქართველოსთან, რადგან შეგნებული გვაქვს, რომ ეს იქნება ქართველი ხალხის წინააღმდეგ რუსი ხალხის ომი, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა იური ბალუევსკიმ. — თუ ბატონ ოქრუაშვილს ხელები ექავება, დაე, მან ჯერ გაიაზროს ყოველივე იმის შედეგი, რაც შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ იგი გააჩაღებს ომს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს და რუსეთის მოქალაქეების, აგრეთვე სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ამ რეგიონებში სტაბილურობის ერთადერთი გარანტი არიან“. „პროვოკაციისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ, მომიტევეთ და, თავსგასული პოლიტიკოსს“, — თქვა შემდეგ გენერალმა და დასძინა, რომ, სანამ გვიან არ არის, კარგი იქნება თუ „ამ ბატონს“ შეამოწმებენ სამყაროს აღქმის ადეკვატურობაზე და გაარკვევენ შერაცხადია იგი, თუ არა.

აქმართლაც უპრიანია ვილაპარაკოთ აღქმის ადეკვატურობაზე. რუსეთის 58-ე არმია თავისი სიმძლავრით და რაოდენობით მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს მთელ შეიარაღებულ ძალებს. ჰოდა, ბატონმა ბეჟუაშვილმაც სასწრაფოდ მიაშურა ევროპის დედაქალაქებს, რათა ყველას უამბოს იმ ნეგატიური როლის შესახებ, რომელსაც მოსკოვი ასრულებს „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით“.

არადა, კონფლიქტები გაღვივებული არაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ, არამედ, მათი სათავეები თვით ოფიციალურ თბილისში უნდა ვეძებოთ. **ყველამ იცის, რომ ოსებს არ დაუწყიათ ომი საქართველოს წინააღმდეგ, არ გამოუყენებიათ მათ ხელთ არსებული ყველა სახეობის მძიმე შეიარაღება და სარაკეტო დანადგარები. ყველაფერი პირიქით მოხდა. არც აფხაზი ჯარისკაცები დათარეშობდნენ განუკითხავად საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, და არც ამ თვითაღიარებული რესპუბლიკების თავდაცვის მინისტრებს დაუგეგმავთ საზეიმო ბანკეტების გამართვა თბილისში.**

„ჩას“ (ლატვია)

## ბენდუქიძეს „მედესანტეობა“ დასწამეს



**„გაზპრომი“ 2007 წლის 1 იანვრიდან შეუწყვეტს საქართველოს კომპანიებს ბუნებრივი გაზის მიწოდებას იმ შემთხვევაში, თუ არ დაიდება კონტრაქტი გაზის შესყიდვის შესახებ. ამ ახალმა ამბავმა თბილისში პოლიტიკური დებატების ახალი ტალღა ააგორა.**

პარლამენტის „დემოკრატიული ფრონტის“ ოპოზიციურმა ფრაქციამ განაცხადა, რომ აპირებს დაიწყოს მინისტრთა კაბინეტის მეთაურის ზურაბ ნოღაიდელისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოტანის პროცედურა, რადგან ქვეყანა კვლავ აღმოჩნდა უმწვავესი ენერგეტიკული კრიზისის წინაშე. პრემიერ-მინისტრი, რომელიც ქვეყნის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელთან ნიკოლოზ გილაურთან ერთად დაიბარეს პარლამენტში, ცდილობდა თავის დაცვას: „ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას არა მარტო რუსეთთან, არამედ სხვა მეზობლებთანაც. მაგრამ კიდევ ერთხელ მსურს გავიმეორო, რომ ჩვენი ხელისუფლება არ აჰყვება შანტაჟს“.



„გაზპრომის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე მედვედევმა კი თავის მხრივ, განაცხადა, რომ საქართველოს შემთხვევაშიც სავსებით შესაძლებელია განმეორდეს უკრაინასთან დაკავშირებული ისტორია. მედვედევის თქმით, არ არის საჭირო ამ საკითხის პოლიტიზება: „უკვე დიდი ხნის წინათ გავუგზავნეთ ქართველ მომხმარებლებს ინფორმაცია გაზის ფასების გადასინჯვის შესახებ“.

თბილისში კი პოლიტიკური ვნებათაღელვა გამწვავდა. თანაც, დაპირისპირება რამდენიმე მიმართულებით ხდება. მთავრობის მოხელეები ტრადიციულად ადანაშაულებენ რუსეთს პოლიტიკურ ზემოქმედებაში, ოპოზიცია კი ოფიციალური ხელისუფლების მიმართ გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ მას არ ძალუძს პრობლემის მოგვარება. ამის პარალელურად, დისკუსიის მონაწილეები არც ერთმანეთს ინდობენ: ისინი აცხადებენ, რომ ზოგიერთი აპირებს მოსკოვს ჩაუგდოს ხელში მაგისტრალური გაზსადენი, რომლითაც რუსული გაზით მარაგდება მოსკოვის ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორი ამიერკავკასიაში — სომხეთი.

„გაზპრომი“ ახლა საქართველოში გაზის მიწოდების მონოპოლისტია. მომავალი წლისთვის საქართველოს დასჭირდება დაახლოებით 2 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი. გასულ კვირას საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა საზოგადოებრიობა დაამშვიდეს იმით, რომ გრძელდება მოლაპარაკება „გაზპრომთან“ და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაადგენენ საბოლოო ფასს. პარალელურად საქართველო აწარმოებს მოლაპარაკებას ირანთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან, მაგრამ „გაზპრომის“ სრული განდევნა საქართველოდან ვერ ხერხდება და ქვეყანაც იძულებულია ითანამშრომლოს ამ კომპანიასთან.

ბატონმა მედვედევმა საქართველოს შესთავაზა, რომ ვალები ნაწილობრივ გაესტუმრებინა „აქტივებით“, თუმცა, არ დაუზუსტებია, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა. თბილისში ყველა დარწმუნებულია, რომ რუსეთს სურს ხელში ჩაიგდოს მაგისტრალური გაზსადენი. ოპოზიციის აზრით, მოსკოვისთვის გაზსადენის გადაცემა ღალატის ტოლფასი იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში საქართველო საბოლოოდ გახდება ენერგეტიკული თვალსაზრისით დამოკიდებული ჩრდილოელ მეზობელზე.

დეპუტატმა „დემოკრატიული ფრონტისგან“ დავით ბერძენიშვილმა კი, საერთოდ მოითხოვა, რომ საქართველომ რუსეთისგან გამოისყიდოს ის ენერგეტიკული ობიექტები, რომლებიც მოსკოვს გადასცეს ამ ბოლო წლების განმავლობაში. „სამწუხაროდ, ფული ციდან არ ცვივა“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და იქვე დასძინა, რომ მაგისტრალურ გაზსადენს არავითარ შემთხვევაში არ გადასცემენ რუსეთს.

„გაზპრომისთვის“ მილის მიყიდვის ლობირებაში მთავარი „ექვმიტანილია“ ყოფილი რუსი ოლიგარქი კახა ბენდუქიძე, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მინისტრია ეკონომიკურ საკითხებში. „საქართველოს მთავრობაში „გაზპრომს“ ჰყავს ბიზნეს-პარტნიორი და პოლიტიკური დესანტი კახა ბენდუქიძის სახით“, — თქვა დავით ბერძენიშვილმა. „სწორედ ბენდუქიძე არ გამორიცხავდა გაზსადენის გაყიდვის შესაძლებლობას, — აღნიშნა დეპუტატმა. — ჩვენი მთავრობა არ იქცევა სწორად. ჩვენ ვერ შევძლებთ მთლიანად ვთქვათ უარი რუსულ გაზზე, როგორც ამას ნოღაიდელი აცხადებს. მაგრამ უნდა შევამციროთ მისი წილი ალტერნატიულ მოწოდებათა ხარჯზე, პარალელურად კი, ვევაჭროთ რუსეთს ფასების შემცირებაზე“. ბერძენიშვილის აზრით, პრეზიდენტი სააკაშვილი დაელოდება, თუ როგორ გადაიტანს ამ ზამთარს საქართველო, რის შემდეგაც მთავრობის რომელიღაც ბრალეულ წევრს თანამდებობიდან გადააყენებს.

კახა ბენდუქიძემ ოპოზიციის მიერ გამოთქმულ ბრალდებებს „უსინდისობა“ უწოდა. „საქართველოს მთავრობა არ დათანხმდება „გაზპრომთან“ არანაირ გარიგებებს აქტივების შესახებ, — თქვა მან. — სად არის იმის გარანტია, რომ რუსეთთან დადებული შეთანხმებები ეფექტიანად შესრულდება. და საერთოდ, არ ღირს რაიმეს კეთება შანტაჟის პირობებში“.

ВРЕМЯ

№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

• „იკრძალება ისეთი ძეგლების დადგმა, რომლებიც აღვივებენ შუღლს და ხოტ-ბა-დიდებას ასხამენ ესტონეთის ოკუ-პანტ-სახელმწიფოებს“



# ესტონეთის პარლამენტი ძეგლების ომს აცხრობს

**ესტონეთის პარლამენტი იწყებს „მეომართა სამარხების დაცვის შესახებ“ და „უვარგის ნაგებობათა ნგრევის შესახებ“ კანონების განხილვას.**

პირველი კანონის ფორმულირება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „იკრძალება ისეთი ძეგლების დადგმა, რომლებიც აღვივებენ შუღლს და ხოტბა-დიდებას ასხამენ ესტონეთის ოკუპანტ-სახელმწიფოებს“, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კანონიერ საფუძველზე დაიწყონ ფაშისტებისგან ტალინის განმათავისუფლებელი-მეომრის ძეგლის დემონტაჟი.

მეორე კანონის თანახმად კი ძეგლის მიმდებარე სკვერიდან სასაფლაოებზე უნდა გადაასვენონ საბჭოთა მეომრების ნეშტი. ამრიგად, ამ ორივე კანონმა უნდა მოუღოს ბოლო ესტონეთის დედაქალაქში საბჭოთა მეომრის ძეგლის, აგრეთვე ქვეყანაში სხვა ანალოგიური მონუმენტების აღების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის კამათს.

ძეგლის ირგვლივ კონფლიქტი ტალინში გამწვავდა 20 მაისის შემდეგ, როცა ერონულ-რადიკალურმა ორგანიზაციებმა მის მახლობლად გამართეს უსანქციო მიტინგი მონუმენტის აღების მოთხოვნით. მომდევნო დღეებში ჯარისკაცის ბრინჯაოს ფიგურა ორჯერ შებილწეს ვანდალებმა. ძეგლის დაცვა იკისრეს ტალინის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა რიგებიდან სტიქიურად ორგანიზებული რაზმის „ღამის გუშაგის“ მოხალისეებმა.

სანამ არ არსებობს ფედერალური კანონი, ძეგლის ბედს წყვეტს ქალაქის ხელისუფლება, რომელშიც უმეტესობა შეადგენენ ცენტრისტები, და ისინი არ თანხმდებიან არც ძეგლის დემონტაჟს და არც მის მიმდებარე სკვერში საბჭოთა მეომრების საძმო საფლავის გათხრას.

კანონების პროექტები პარლამენტში შეიტანეს რეფორმათა პარტიის, მამულის კავშირის, Res Publbca-ს და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციების წევრებმა. ცენტრისტულმა პარტიამ და სახალხო კავშირმა, რომლებიც მმართველ კოალიციაში შედიან, კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს.

ამრიგად, კანონპროექტებმა შეიტანეს განხეთქილება მთავრობაშიც: იუსტიციის, თავდაცვის და გარემოს დაცვის მინისტრებმა, რომლებიც რეფორმათა პარტიას მიეკუთვნებიან, საკანონმდებლო აქტებს მხარი დაუჭირეს, მაშინ როცა შინაგან საქმეთა, კულტურის, რეგიონების საქმეთა, აგრეთვე ეკონომიკისა და კომუნიკაციათა მინისტრებმა – ცენტრისტული პარტიის და სახალხო კავშირის წარმომადგენლებმა – გაილაშქრეს ამ კანონების მიღების წინააღმდეგ.

კანონების მიღების შემთხვევაში, სიტუაციის შეცვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ საქმეში ჩაერევა რესპუბლიკის პრეზიდენტი. მას შეუძლია დაამტკიცოს ეს კანონები, ან დასახვეწად დააბრუნოს ისინი.



# დემოკრატები სენატს გააკონტროლებენ

**ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინებიან, რომ ადგილი სენატში, რომლის ბედიც წყდებოდა ვირჯინიის შტატის არჩევნებში, წილად ხვდა დემოკრატთა წარმომადგენელს ჯიმ უებს.**

ოფიციალური შედეგები ჯერ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ეს ინფორმაცია თუ დადასტურდება, დემოკრატთა პარტიას მიეცემა შესაძლებლობა, რომ დაუწესოს კონტროლი არა მარტო წარმომადგენელთა პალატას, არამედ სენატსაც.




კონგრესზე კონტროლის დაწესებით, დემოკრატებს მიეცემათ გადამწყვეტი ხმის უფლება შეთანხმებათა რატიფიკაციის, საპარლამენტო მოსმენათა მოწვევის და შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის პროტეჟეს დამტკიცების დროს – მაგალითად, უზენაესი სასამართლოს კანდიდატები.

ამჟამინდელი სენატორი ვირჯინიის შტატისაგან რესპუბლიკელი ჯორჯ ალენი უებს შვიდი ათასზე მეტი ხმით ჩამორჩება.

შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელთა დამარცხების შემდეგ, თანამდებობიდან გადადგა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი. ეს ჯორჯ ბუშმა განაცხადა არჩევნების შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, როცა უკვე ცნობილი იყო, რომ მისმა პარტიამ დაკარგა უმრავლესობა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში.

პრეზიდენტმა ბუშმა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა შესთავაზა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ დირექტორს რობერტ გეიტსს.

ბუშმა აღიარა, რომ ერაყის საკითხმა მოახდინა გავლენა კონგრესში შუალედური არჩევნების შედეგზე. არჩევნებმა, ბუშის აზრით, ბევრი რამ შეცვალა, თუმცა, ამ კამპანიას არ შეუცვლია ვაშინგტონის გადაწყვეტილება – მტკიცედ ებრძოლოს მოწინააღმდეგეს. როგორც პრეზიდენტმა თქვა, ერაყის პოლიტიკა და მისი ადმინისტრაცია ვერ მოქმედებენ საკმარისად კარგად და სწრაფად, და რამსფელდიც თანახმაა, რომ ამ პრობლემას საჭიროა „ახლებურად შევხედოთ“.

შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელთა დამარცხების მიუხედავად, ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ისინი ითანამშრომლებენ დემოკრატებთან.

კონგრესში შუალედური არჩევნების გარდა, 36 შტატში გუბერნატორებსაც ირჩევდნენ. დემოკრატებმა შეძლეს გუბერნატორის სავარძლის მოპოვება ექვს შტატში, მაგრამ კალიფორნია კვლავ ერთგულობს რესპუბლიკელ არნოლდ შვარცენეგერს.

კალიფორნიის გარდა, გუბერნატორის სავარძლები რესპუბლიკელებმა ტეხასსა და ფლორიდაშიც შეინარჩუნეს. ეს ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული შტატებია, რომლებიც, როგორც წესი, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ პრეზიდენტის არჩევნების შედეგზე.




# საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო მუშაობას იწყებს

**მსოფლიოში პირველი მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ოფიციალურად იწყებს მუშაობას ჰააგაში.**

იგი შეიქმნა სამხედრო დანაშაულობათა გამოძიების მიზნით, და სასამართლოს დღის წესრიგში პირველ საკითხად იქნება შეტანილი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული სახალხო ლაშქრის ერთ-ერთი ლიდერის თომას ლუბანგის საქმის წინასწარი მოსმენა.

ლუბანგს ბრალად ედება ის, რომ იგი სამხედრო სამსახურში იწვევდა ბავშვებს, რომლებსაც იყენებდა კონგოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე სისხლისმღვრელ ომში.

იმ ადამიანებმა, რომლებმაც გააჩაღეს კონფლიქტი კონგოში, თავი ადგილობრივი ტომების თავისუფლებისათვის მებრძოლებად გაასაღეს, მაგრამ სისხლისღვრის მთავარი მიზეზია ის, რომ ამ რეგიონში ოქროსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე კონტროლისათვის მიმდინარეობს დაუნდობელი შეიარაღებული ბრძოლა კრიმინალთა ბანდებს შორის.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ უნდა აღმოფხვრას „ერთჯერადი“ სასამართლოების სისტემა, რომლებიც განიხილავენ საქმეებს სამხედრო დანაშაულობათა შესახებ, მათ შორის იმ სპეციალური ტრიბუნალების საქმეებსაც, რომლებიც შექმნილია ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებისა და რუანდაში გენოციდის გამოძიების მიზნით.

მაგრამ, ახალი ორგანოს შექმნის იდეას მსოფლიო გაერთიანების ყველა წევრი როდი ეთანხმება. ამას კრიტიკით ეკიდებოდა შეერთებული შტატები, რომელიც შიშობდა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, სხვა საქმეებთან ერთად, განიხილავს იმ ამერიკელი ჯარისკაცების საქმეებსაც, რომლებიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, და რომ ასეთ სისხლის სამართლის დევნას ექნებოდა პოლიტიკური სარჩული.

და მაინც, ამ ბოლო ხანებში ვაშინგტონს არ გაუწევია წინააღმდეგობა, როცა გაეროს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს კომპეტენციაში გადაეცა საქმე სუდანში ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ.

სამართალქომაგთა საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch მიესალმება ახალი სასამართლო ორგანოს მუშაობის დაწყებას, თუმცა აღნიშნავს, რომ თომას ლუბანგის საქმე ვერ ასახავს კონგოში დატრიალებული ტრაგედიის მთელ სიღრმეს.

კონგოს იტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში ამბოხებულთა სხვადასხვა დაჯგუფების თარეშის შედეგად დაიღუპა დაახლოებით 60 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები, ამტკიცებენ სამართალდამცავები.

ყოველივე ეს, ისევე როგორც კონგოელი სახელმწიფო მოხელეების, აგრეთვე მეზობელი რუანდის და უგანდის წარმომადგენელთა მოქმედება (ისინი უწყობდნენ ხელს სასტიკ დანაშაულობათა ჩადენას) უნდა განიხილოს სასამართლომ.


## განცხადება

**სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი და გაერთიანებული ქართული ბანკი პირველად საქართველოში გთავაზობთ ერთობლივ პროექტს – პაციენტს ყველა სახის სადიაგნოსტიკო და სტაციონარული მომსახურება (ნეიროქირურგიული, ზოგადქირურგიული და გინეკოლოგიური ოპერაციები) გაეწევა ბანკის მიერ გაცემული უპროცენტო კრედიტის საფუძველზე.**

**დაინტერესებულ პირებს (პაციენტებს) აღნიშნულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ ინსტიტუტის ადმინისტრაციას.**

**მისამართი: თევდორე მღვდლის ქ. 13.**
**ტელ: 94-02-89; 899 54-60-32.**



**შპს „ველი“ აცხადებს კონკურს მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით.**

**კონკურსზე გამოტანილი იქნება.**

1. ანგარი 13500 ლარი;
2. ორტესებრი კოჭი 120 გრ/მ 2700 ლარი;
3. მსხვილი საკედლე ბლოკი 40ც 1800 ლარი;
4. გადახურვის ფილა 20 ც 750 ლარი;
5. ზექირკვლის ბლოკი 15 ც 563 ლარი;
6. აზბესტოცემენტის მილი 25 ც 787 ლარი;
7. ბეტონის ჭა 10 ც 300 ლარი;
8. რკინის კარი (4X4ძ 3 ც. 2250 ლარი.

მყიდველი ვალდებულია განახორციელოს რეალიზებული ქონების დემონტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება განცხადებების მიღების შეწყვეტის შემდგომ სამუშაო დღეს 12 საათზე **მისამართზე: ქვემო ალექსეევკის დასახლება შპს „ველი“.**

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტელ. 899 13-47-65.**
**შპს „ველი“**



## განცხადება

2006 წლის 17 ნოემბერს 2 სთ-ზე ჩატარდება სს „გამონის“ აქციონერთა საერთო კრება. **დღის წესრიგი:** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

**სს „გამონის“ სამეთვალყურეო საბჭო, 9.XI. 2006 წ.**


№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი. 2006 წელი.

- „მოქალაქეები თანაბარი უნდა იყვნენ კანონის წინაშე იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გვარს ატარებენ“
- უფაში ცირკის აფიშებიდან, იქ კი ახლა გასტროლებზეა პროგრამა: „ხუთი კონტინენტი“, გაქრა პროგრამის ხელმძღვანელისა და რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის გია ერაძის გვარი.



**მეზობლებთან**

## „გა-ძე-ვებული“ და „გა-შვილ-ებული“ ახალგაზრდები

**პეტერბურგელმა სტუდენტებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს „საქართველოს საკითხში“. ორმა საშამ — ვაჟმა შურშევმა და ქალიშვილმა გორმონჯაპოვამ, აგრეთვე დაშა მაკუხინამ, მარინა პოტიოხინამ, გრიშა პაშუკევიჩმა, მაშა ნეფედოვამ საადმირალოს რაიონის მმარ მიაკითხეს პასპორტების შეცვლის განცხადებებით.**



მშობლიურ, მამაპაპურ გვარებს ექსივემ პოსტფიქსები „შვილი“ და „ძე“ დაუმატა და ამგვარად „გაიქართველა“ თავი. ახალგაზრდების თქმით, გადაწყვიტეს სოლიდარობის გამოხატვა ხალხთან, რომელსაც დღეს ავიწროებენ რუსეთში: „მოქალაქეები თანაბარი უნდა იყვნენ კანონის წინაშე იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გვარს ატარებენ“.

ახალი გვარების პრობლემის გადაჭრა ყველამ სწრაფად შესძლო, რამდენადაც ისინი ქალაქში არიან ჩაწერილი. პეტერბურგის გარეთ, ლენინგრადის ოლქში ჩაწერილმა არაერთმა სტუდენტმა გამოთქვა კიდევ პიტერელ თანატოლებთან შეერთების სურვილი.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი საქციელით შევძლებთ ხელისუფლებაზე ზემოქმედებას“, განუცხადებია მმარის კარის წინ შურშევს, რომელიც მალე დოკუმენტების მიხედვით საშა შურშიაშვილი გახდება. მომავალმა დაშა მაკუხინიძემ კი შეკრებილთ აცნობა, რომ დედამისმა, რომლის აზრით კაცი ყოველნაირი ხერხით უნდა იცავდეს საკუთარ მოქალაქეობრივ პოზიციას, გზა დაულოცა მმარში წამოსვლის წინ.

საგულისხმოა, რომ „გადაგვარების მოსურნეთა“ ყველა მშობელი დათანხმებულა პრინციპის გულისთვის ოჯახური ღირსების შეწირვაზე, ხოლო მმართან მისული მილიცია ლოიალურად მოკიდებია „სამოქალაქო გმირობის“ ჩასადენად მზადმყოფ „შერეკილებს“. ოფიცერს საშა შურშევისათვის ხელიც კი ჩამოურთმევია. ახლოს ორი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იდგნენ თურმე და ალტაცებით ხმაურობდნენ. იქვე 22 კაცმა გადაწყვიტა „პროტესტანტებში“ გარევა „გაქართველების“ წადილით.

მმარელი თანამშრომელი ქალები მოხალისე ქართველებს გაოცებით შესცქეროდნენ, თუმცა შოკირებული როდი ყოფილან: აქ პატივისცემის ღირს ნაბიჯს ახსნა მაინც აქვს სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით...

აქცია ყოველ „მეამბოხეს“ 600 რუბლი (37,5 ლარიძ დაუჯდა — ახალი პასპორტისა და დაბადების მოწმობის საფასური...

**რუსეთული პრესის მიხედვით მოამზადა**
**თამაზ ებანოიძემ**

**ისტორია გვასწავლის**

## თბილისის უნივერსიტეტი და კავკასიის ხალხები

**1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ქართველი ერის ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა — თბილისში პირველად ქართული უმაღლესი სასწავლებელი, უნივერსიტეტი გაიხსნა. ამ საშვილიშვილო საქმეში ჩაბმული იყვნენ ცნობილი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ანდრია ბენაშვილი და იოსებ ყიფშიძე.**

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, თბილისში უნივერსიტეტის გახსნით დაინტერესებული ყოფილან აგრეთვე ჩვენი მეზობელი ოსებიც. არც თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დარჩენილა მათ წინაშე ვალში და სულ მალე უნივერსიტეტში შემოიღეს ოსური და აფხაზური ენების სწავლა. ამასთან დაკავშირებით გავეცნოთ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის 13 აპრილის სხდომის ჩანაწერს:

**„განსახილველი საგანი: ჩრდილო ოსეთის სამოსწავლო საბჭოსაგან მილოცვა ქართულ უნივერსიტეტს და შეკითხვა, რა ენაზე იკითხება ლექციები უნივერსიტეტში და მიიღებიან თუ არა ოსები?**

**განაჩენი:** (ანუ პასუხი — **დ. ც.ძ გაეგზავნოს მადლობა და ეცნობოს, რომ ლექციები ქართულად იკითხება, ხოლო მიღებით ყველანი მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“.**

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მორიგ სხდომაზე 1918 წლის ვარდობისთვის 2 რიცხვში, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „კავკასიის სხვადასხვა მთიელთა ენების შესწავლის შესახებ“. მომხსენებლის აზრით, ასეთ შესწავლას გარდა დიდი მეცნიერული მნიშვნელობისა, და სხვათა შორის, ქართული ენის მეცნიერულად შესწავლისა, აქვს აგრეთვე ჩვენთვის, ქართველებისთვის პოლიტიკური მნიშვნელობაც. საბჭომ დაადგინა: **მიღებულ იქნეს ზომები მთიელთა ენების შესასწავლად. მომავალ ენკენისთვიდანვე** (ე. ი. სექტემბრიდან — **დ. ც.ძ. დაიწყოს ოსური ენის სწავლება და ამ საქმის ხელმძღვანელობა მიენდოს პროფესორის მოადგილეს გიორგი ახვლედიანს (აგრეთვე აფხაზური ენისა, მოწვეული იქნას პეტრე ჭარაიაძ. შემდეგ თანდათანობით, სამეცნიერო ძალთა და საშუალებათა მიხედვით მოეწყოს დალესტნისა და საჩაჩნოს** (დღევანდელი ჩეჩნეთის — **დ. ც.ძ ენების შესწავლაც.**

თუ როგორ ცდილობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საკუთრივ აფხაზური ენის სწავლების დანერგვას, კარგად ჩანს, ქვევით ჩვენს მიერ მოტანილი საარქივო დოკუმენტებიდან. 1924 წლის 14 მარტის პროფესორთა საბჭოს სხდომის დადგენილებაში ვკითხულობთ: **„დამტკიცდეს აფხაზური ენის ლექტორის თანამდებობა და ამ თანამდებობაზე მოვალეობის აღმსრულებლად მოწვეულ იქნას გულია.** (იგულისხმება ცნობილი აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — დიმიტრი გულია — **დ. ც.ძ.** რატომღაც ეს დადგენილება არ განხორციელდა. ბოლოს და ბოლოს აფხაზური ენის სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგულარულად დაიწყო 1926 წლის მარტიდან, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ აფხაზური ენის ლექტორად სიმონ ჯანაშია დაამტკიცა. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ იმავე პროფესორთა საბჭოს 1922 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სიმონ ჯანაშია უნივერსიტეტში დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

მართლაც, რომ ანგარიშგასაწევი და ყურადსაღები დოკუმენტებია, დღევანდელი თვალთახედვითაც. მათში ნათლად ჩანს ჩვენი დიდი მეისტორიის ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება მეზობელი ხალხების ოსების, აფხაზების, დაღესტნელებისა და ჩეჩნების მიმართ. დიდ მეცნიერს მათი ენების შესწავლა სათანადო დონეზე საშურ საქმედ მიაჩნდა.

დღესაც, აი ამ თვალთახედვით უნდა გადავხედოთ კავკასიის ხალხთა ურთიერთობას და არა იმ მეთოდებით, რომლებიც მავანისა და მავანის წყალობით, ანგრევენ საუკუნეების წინათ შედუღაბებულ მტკიცე ურთიერთობას და კავშირს ქართველებსა და დანარჩენ კავკასიის ხალხებს შორის. ამის კარგ და ნათელ მაგალითს, ხომ ჩვენი დიდი წინაპრები გვაძლევდნენ.

**დურმიშხან ცინცაძე**

**სხვა გაზეთებიდან**

## ეს ცირკია და მეტი არაფერი

### რუსულ-ქართული კონფლიქტი მანეჟზე

**უფაში ცირკის აფიშებიდან, იქ კი ახლა გასტროლებზეა პროგრამა: „ხუთი კონტინენტი“, გაქრა პროგრამის ხელმძღვანელისა და რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის გია ერაძის გვარი. მომთვინიერებელი, ეკატერინბურგის გასტროლებიდან რომ ჩავიდა, უფაში კანონგარეში აღმოჩნდა. ადგილობრივი სამართალდამცავებისთვის მსახიობი მხოლოდ და მხოლოდ „არალეგალური მიგრანტია“, რომელსაც ბაშკირეთის დედაქალაქში ყოფნის უფლება არ გააჩნია.**

საქართველოს დამსახურებული არტისტი გია ერაძე უკანასკნელად უფის ცირკში 2004 წლის აგვისტოში გამოდიოდა. მაშინ დასის აქ ყოფნის არავითარი პრობლემა არ ჩანდა. ერაძემ საცირკო ხელოვნებაში ახალი ჟანრი მოიფიქრა — კოსტიუმირებული შოუ ეგზოტიკური ცხოველებით და ლაზერული სპეცეფექტებით, რაც ძალზე განსხვავდება კლასიკური ცირკისგან. მის პროგრამაში მუშაობს ხუთი კონტინენტის 160 ცხოველი. ესაა ფარშევანგები, ვარხვები, მაჩვზღარბები, კენგურუ, სირაქლემები, დათვები, მელიები, პონები, გველები. მრავალფეროვანი ნომრებისთვის შეიკერა 500 კოსტიუმი, რომელთა დამუშავებაში არტისტს მისი მეგობარი — პაროდისტი ალექსანდრე პესკოვი — დაეხმარა. მხოლოდ ბალეტში გიასთან მოქმედებს 15 კაცი.



ერაძე საქართველოს მოქალაქეა, თუმცა ის რამდენიმე წელია, გასტროლებზეა რუსეთში სამუშაო ვიზით. „თბილისში მე ოთხოთახიანი ბინა მაქვს ქალაქის ცენტრში. იქ ცხოვრობენ ჩემი ნათესავები — მშობლები, ჩემი ძმა, იქ წინაპრების საფლავებია, მაგრამ როდესაც მე შინ ჩავდივარ, სამი დღის შემდეგ უკვე ვგრძნობ, რომ გული მოგზაურობისკენ მეწევა, — გვიამბობს ბატონი ერაძე, — უგასტროლებოდ სიცოცხლე არ შემიძლია“. მომთვინიერებელი გვარწმუნებს, რომ ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი იმუშაოს რუსეთში, რადგან ბევრი ოთხფეხა მსახიობის იქიდან გაყვანა არ შეიძლება. „ატრაქციონის „ხუთი კონტინენტი“ ყოველი დღე ორი წლით წინასწარაა გათვლილი“, — ამბობს არტისტი. და აი, მან გადაწყვიტა უფაში თავისი განახლებული პროგრამის ჩატანა...

მაგრამ უფის ცირკში თვით პრემიერის წინ აფიშებიდან და პროგრამებიდან გაქრა მისი გვარი. არტისტს და მის დასს რეგისტრაციაზე უარი უთხრეს, თუმცა, წინა ასეთი გასტროლების დროს ქალაქ ეკატერინბურგში — მსგავსი უარი მიგრაციის სამსახურის მხრივ არ ყოფილა. წინა თვეში ქართველი მსახიობი იყო მაგნიტოგორსკში, ჩელიაბინსკში, ტოლიატში. საზოგადოება მომთვინიერებელს აღტაცებით ხვდებოდა, ადგილობრივ ხელისუფალთ კი არც გახსენებიათ ქართულ-რუსული დაპირისპირების შესახებ. უფელი მიგრაციონელებს კი, როგორც ჩანს, პრეზიდენტის სიტყვები „სულელ ადამიანებზე, მზად რომ არიან შუბლი გაიხეთქონ“ თავიანთ ანგარიშზე არ მიუღიათ ან აქამდე მათამდე არ მიუღწევია, ჟირაფზე ერთი ანეკდოტისა არ იყოს. ახლა საფრთხეშია არა მარტო წარმოდგენები უფის ცირკში, არამედ ცხოველების სიცოცხლეც, რომლებიც მსახიობის გასახლების შემთხვევაში დაიღუპებიან. თავად გიას სიტუაციის შეფასება არცთუ ეხალისება... „მე, 15 წელია, რუსეთში ვმუშაობ, დამსახურებული არტისტი ვარ, — ამბობს ის, — ახლა ჩვენს ქვეყნებს შორის შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ მირჩევნია, ხმამაღლა არ წარმოვთქვა ჩემი გვარი. ასეთი რამ პირველად დამემართა“.

**ოლღა სვეტლოვა.**
**„მოსკოვსკი კომსომოლეცი“**
**3.X.2006 წ.**

**ორწყობილა**

*სანამ ყოჩაღობს უმრავლესობა,*
*აღარ ველოდოთ უარესობას?..*

**ძირუ ლელია**

**რაც ყურს, თვალს არ გამოეპარა**

## შუ-ბის მო-უ-ღრე-ზი-ა...

**რა ვართ მაინც ეს ქართველები! მივდექით ამ ჩრდილოეთის მხარეს და ლამისაა ნიშნოვანი გავხადოთ: ჯერ იყო და, დალოცვილ მზეს ჩრდილოეთიდან დავუწყეთ ამოყვანა და მერე ძლივს დავიყაბულეთ, რომ ძველ, ჩვეულ მარშრუტს დაბრუნებოდა. ახლაა და, ერთი ქალაქის კეთილმოწყობის დიდი ჩინოსანის (თუ გნებავთ, მერიელის) სრულიად გამჭვირვალე ღიმილით გაკეთებული განცხადების მიხედვით, ჯერაც „გაუხსნელი“ წმინდა გიორგის შუბი თურმე, ჩრდილოეთისკენ განგებ მივაშვერინეთ (რათა რუსეთმა გაიგოს და შიშით აკანკალდეს)...**

არადა, გავიარე თავისუფლების მოედანზე და თვალუწვდენი სიმაღლის კვარცხლბეკზე („თვით ალექსანდრეს სვეტი იმას ვერ შეედრება“ძ ცხენით შემომდგარ წმინდანს კისრის ატკივებამდე რომ ვუცქირე, ვერცრა მსგავსი ვერ შევამჩნიე: მშვიდობიანად აქვს შუბი ძირს, მიწისკენ დახრილი და გახსნის შემდეგ თუ აღმართავს და ვინმეს მოუღერებს, ეგ არ ვიცი...

ალბათ, მოგვიწევს მიმართულებებსა და მხარეებში გასარკვევად ფასიანი კურსების გახსნა...

**თამაზ ებანოიძე**


№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

- მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზურს ორი ორთაბრძოლის ჯამში გამარჯვებული მოიპოვებს
- დღეს ძველი მეგობრები — ნინო სალუქვაძე და ირადა აშუმოვა შეეჯიბრებიან ერთმანეთს

◎ რაგბი

## ქუდზე კაცი – საქართველოს საქომაგოდ

**ხვალ, 11 ნოემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მატჩში პორტუგალიელებს უმასპინძლებს. თამაში 19 საათზე დაიწყება.**



შეგახსენებთ, რომ ორივე ქვეყნის ოვალური ბურთის ოსტატებმა ევროპის A და B ჯგუფში მეორე ადგილები დაიკავეს და 2007 წლის მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპის (საფრანგეთი) საგზურის მფლობელის ვინაობას ორრაუნდიან ბრძოლაში გაარკვევენ. განმეორებითი შეხვედრა 25 ნოემბერს ლისაბონში გაიმართება. 11 ნოემბერს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი პაექრობაა. ეს რიცხვი სიმბოლურადაც გვესახება. რადგან ზუსტად რვა თვის წინათ — 11 მარტს ევროპის ერთა თასის გათამაშებაზე პორტუგალიელებს 40:0 (!) მოვუგეთ. მართალია, სტუმრებმა მას შემდეგ არაერთ წარმატებას მიაღწიეს (მარტო ის რად ღირს, რომ 28 ოქტომბერს შინ რუსებს სძლიეს და ზედმეტი დავიდარაბა აგვაცილეს ჩრდილოელ მეზობლებთან), თუმცა, არც ბორჯღალოსნები მსხდარან გულხელდაკრეფილი. ისინი ახლაც მონდომებით ემზადებიან გადამწყვეტი მატჩისთვის და, ვიმედოვნებთ, წარმატებითაც გაგვახარებენ.

მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზურს ორი ორთაბრძოლის ჯამში გამარჯვებული მოიპოვებს. დამარცხებულს საფრანგეთში მოხვედრის შანსი მაინც რჩება, ოღონდ ძნელი გზა უნდა გაიაროს. გაზაფხულზე სანუგეშო ტურნირში ორჯერ შეხვდება აფრიკაში ხელმოცარულს — მაროკოს ან ნამიბიას. წარმატების შემთხვევაში, ასევე, ორჯერ დაუპირისპირდება ამერიკის მეოთხე გუნდს — ურუგვაის. იმედია, ბორჯღალოსნები საქმეს აქამდე არ მიიყვანენ...

ხვალ ეროვნული სტადიონის მწვანე საფარზე შეიძლება ვიხილოთ შემდეგი პორტუგალიელი მორაგბეები: ჟოაკიმ პერეირა, ქრისტიან შპაჩუკი, რუი კორდეირუ, ჟოაო კორეია, ჟუან სევერინო, მარსელ დორეი, გონსალო უვა, ხავიერ ფრაგატეირო, ვასკო უვა, პაულუ სანტუში, პაულო მურინელო, დიოგო კოუტინიო, ჟოზე პინტუ, ლუიშ პისარა, დუარტე კარდოზუ პინტუ, გონსალუ მალეირო, დიოგო მატეუში, მიგელ პორტელა, გუსტავო დუარტე, ანტონიო აგილარი, ფრედერიკო სოუზა, პედრო კარვალიუ, პედრო ლეალი.

* * *

**გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირისა და მისი მეგობრების შეხვედრა. სტუმარმასპინძლებმა გაიხსენეს 1996 წლის 20 ოქტომბრის მატჩი საქართველოს და რუსეთის ნაკრებ გუნდებს შორის. იმ ორთაბრძოლაში ჩვენმა მორაგბეებმა 29:20 გაიმარჯვეს. მას შემდეგ ბორჯღალოსნებმა კიდევ რვაჯერ სძლიეს მეტოქეს და ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. სწორედ, იმ ათი წლისწინანდელი წარმატებიდან იწყება ქართული რაგბის აღზევების ეპოქა. დროის ამ მონაკვეთში ჩვენმა ათლეტებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე, სამი წლის წინათ კი მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზეც მოსინჯეს ძალები. ახლაც ახლოს არიან მიზანთან.**

საქართველოს რაგბის კავშირის თავმჯდომარემ მერაბ ანთაძემ 1996 წლის 20 ოქტომბრის გმირებსა და მათ მწვრთნელებს — გურამ მოდებაძეს და დავით კილასონიას, ასევე, რაგბის კავშირის სპონსორებისა და პარტნიორების — დეველოპერული კომპანია „სევენ სქაის“, საჰაერო ნავიგაციის „ბითი-ეი სლიძ როუდ ბანკის“, სოციალური კვლევებისა და მარკეტინგის ინსტიტუტის (IPM), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC), კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგის“, სამკერვალო ფაბრიკა „ჯეოსპორტის“, სააქციო საზოგადოება „წყალი მარგებელის“, ტურისტული კომპანია „ნიუ თრეველის“, „ბაზისბანკის“, მიხეილ მესხისა და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონების წარმომადგენლებს სამახსოვროდ სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

◎ ორბიტაზე

### თათრეთის პრემიერ-მინისტრი — რალის მონაწილე

**„უდაბნოს გამოწვევა“ — ასე ჰქვია არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში დაწყებულ საერთაშორისო რალის, რომელშიც თათრეთის პრემიერ-მინისტრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რუსტამ მინიხანოვი მონაწილეობს.**



როგორც რუსული გუნდის „კამაზ-მასტერის“ კაპიტანი სიმონ იაკუბოვი იტყობინება, მათი პირველი ეკიპაჟის „კამაზ-4911“, რომლის პილოტიც მინიხანოვია, ძირითადი მეტოქეები კერძო „მერსედესი“, ბრიტანელი კრის კარგელის მეთაურობით და „მოსკვა-ზილის“ გუნდია.

მსოფლიო თასის დასკვნითი ეტაპი რალი-რეიდებში, რომლის საერთო მანძილი 2443 კილომეტრია, 923-კილომეტრიანი სპეც-უბნით, ფინიშთან 10 ნოემბერს მივა დუბაიში. ეს მთავარი გამოცდა იქნება პრესტიჟული რალის „დაკარის“ წინ. ის კი სტარტს იანვარში აიღებს.

### შარლოტას დედობა არ ეჩქარება

**უელსელი მორაგბის გევინ ჰენსონის სატრფო, ცნობილი მომღერალი შარლოტა ჩერჩი უარყოფს ცნობას მისი ფეხმძიმობის შესახებ.**

ბრიტანულმა პრესამ ქვეყანა შეძრა მისი „საინტერესო მდგომარეობის“ შესახებ, რაც იმაზეა დაფუძნებული, რომ ბოლო ხანებში შარლოტა მოსუქდა და ალკოჰოლსაც აღარ ეტანება.

ჩერჩი ძალზე გაბრაზდა ასეთი ხმების გამო. „ მე გავსუქდი? მსგავსი არაფერია. არც ფეხმძიმედ ვარ. ჯერ ძალზე ახალგაზრდა ვარ ამისთვის. ბავშვების გაჩენის დრო ჯერ კიდევ მაქვს“.

უელსისა და ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრებების მატჩს რომ ადევნებდა თვალს, სადაც ბრწყინვალედ თამაშობდა შარლოტას შეყვარებული, მან განაცხადა: „გევინი დიდებული ბიჭია. ჩვენ კარგად შევეწყეთ ერთმანეთს. ისე რომ, როდისმე ბავშვიც გვეყოლება. დარწმუნებული ვარ, რომ ჰენსონი მშვენიერი მამა იქნება“.



◎ ხელბურთი

## ხუთი გუნდის მონაწილეობით

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა XVII ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც დღეს დაიწყება, ხუთი გუნდი ჩაებმება: „მამული“, „ქარიშხალა“, „თბილისი“, „იმედი“ და სტუ-„შევარდენი“, რომელიც წლეულს სტუ-თელავის სახელით იასპარეზებს.**



ჩემპიონატი მიმოსვლითი სისტემით (შინ და გარეთ) გაიმართება, რადგან ყველა კლუბს თავისი დარბაზი აქვს. აქვე გაუწყებთ პირველი წლის კალენდარს:

**10 ნოემბერი.** სტუ-თელავი-„მამული“, „თბილისი“-„იმედი“,

**11 ნოემბერი.** „მამული“-„ქარიშხალა“, „იმედი“-სტუ-თელავი.

**16 ნოემბერი.** „ქარიშხალა-„თბილისი“, „იმედი„-„მამული“,

**17 ნოემბერი.** „ქარიშხალა“-„იმედი“, „თბილისი“-სტუ-თელავი.

**23 ნოემბერი.** „მამული“-„თბილისი“, სტუ-თელავი-„ქარიშხალა“.

**24 ნოემბერი.** „მამული“-სტუ-თელავი, „იმედი“-„თბილისი“.

**მატჩები 14 და 16 საათზე დაიწყება.**

◎ ტყვიის სროლა

## ღოჯს მეგობრობა ღუჯლის

**ოლიმპიური ჩემპიონის — ნინო სალუქვაძის სასროლეთში გუშინწინ დაიწყო და დღეს დამთავრდება ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ტურნირი — „საქართველოს ღია ფასი“, რომელშიც მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანელი ჩუბინებიც მონაწილეობენ, მათ შორის გახლავთ მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი და ათენის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ირადა აშუმოვა.**

ასპარეზობის პირველ დღეს პნევმატური პისტოლეტებით ცეცხლის ხაზზე ჭაბუკები დადგნენ. 18 მონაწილეს შორის ყველაზე უკეთესი შედეგი აზერბაიჯანელ რუსლან ლიუნოვს აღმოაჩნდა და ოქროს მედალიც მას ხვდა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ბექა გოგინაშვილი და ბესიკ სირაძე გავიდნენ.

დღეს ძველი მეგობრები — ნინო სალუქვაძე და ირადა აშუმოვაც შეეჯიბრებიან ერთმენეთს.

◎ ფეხბურთი



## ევროპის სტადიონებზე

**მოგეხსენებათ, საფეხუბრთო სამყაროში მკვდარი სეზონი არ არსებობს — როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო კალენდარი მნიშვნელოვანი მოვლენებითაა გადატვირთული. გამონაკლისს არც ეს დღეები წარმოადგენს.**

რუსეთის ჩემპიონატის XXVIII ტური უილბლო აღმოჩნდა წამყვანი მოსკოვური ტრიოსათვის — მათგან მხოლოდ „სპარტაკმა“ მოახერხა ქულის მოპოვება რამენსკოეს „სატურნთან“ გასვლით შეხვედრაში — 1:1. რაც შეეხება გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ცსკა-ს და „ლოკომოტივს“, ისინი შესაბამისად „კრილია სოვეტოვთან“ — 0:2 და „ტომთან“ — 1:3 დამარცხდნენ. ასე რომ, ფინიშამდე ორი ტურით ადრე სატურნირო ცხრილის სათავეში ასეთი მდგომარეობაა: ცსკა — 55, „სპარტაკი“ — 52, „ლოკომოტივი“ — 47 ქულა.

გერმანიის ბუნდესლიგის XI ტურში წარმატებით იასპარზეს ლევან კობიაშვილის „შალკემ“ („გლადბახთან“ — 2:0) და „ვერდერმა“ (ნიურნბერგთან — 2:1) სტუმრად, აგრეთვე „შტუტგარტმა“ შინ „ჰამბურგთან“ — 2:0, რითაც წამყვანი პოზიციები შეინარჩუნეს — „ბრემენელ მუსიკოსებს“ 23, შვაბებს 21, ხოლო გელზენკირხენელებს 20 ქულა აქვთ. საპირისპირო სურათია მუდმივი ფავორიტის — მიუნხენის „ბაიერნის“ ბანაკში, რომელიც ამჯერად საკუთარ მინდორზე „ჰანოვერთან“ შერცხვა — 0:1. როგორც ბავარიელთა შტაბიდან გამოჟონილი ინფორმაცია ცხადყოფს, თუ გუნდი ასეთ უსახურ გამოსვლას განაგრძობს, ალბათ მის ზედა ეშელონში საკადრო ცვლილება განხორციელდება.

ინგლისი. „მანჩესტერი“ ლიგის თასის გათამაშებას II დივიზიონის აუტსაიდერ „საუთენდთან“ (!) წაგებით გამოეთიშა — 0:1.

# დაიჯესტი



- მეცნიერულად მტკიცდება, ჰაილმანილით დაავადებულ ცხოველებს შეუძლიათ დააავადონ ადამიანი, ჩვენი ვარაუდით კი გამოიწვიოს კიბოც!..
- მომავალში დედამიწის გარშემო SAX-40-ის ტიპის თვითმფრინავები იფრენენ

## ტექნიკის სიახლენი



# ვიფრინოთ „ღამურებით"

**ბრიტანელმა და ამერიკელმა სპეციალისტებმა მსოფლიო ახალი გამოგონებით გააოგნეს. ეს გახლავთ ბუნების ნებისმიერ მოვლენასთან „მებრძოლი" და უხმო თვითმფრინავი SAX-40. ახალი თაობის ლაინერი, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა, სრულიად განსხვავებულია თავისი წინამორბედებისაგან ფორმითა და კონსტრუქციით. იგი ძალიან წააგავს ღამურას. აღსანიშნავია ისიც, რომ SAX-40 ყველაზე ეკონომიურ თვითმფრინავზე 35 პროცენტით ნაკლებ საწვავს ხარჯავს.**



მომავლის თვითმფრინავის მაკეტი გამოფინეს ლონდონში, აერონავტიკის სამეფო საზოგადოებაში. როგორც ცნობილია, რეაქტიული ერა მსოფლიოში 1957 წელს „ბოინგ 707"-ის გამოცდით დაიწყო. მაშინდელი სიგარისმაგვარი ფორმის თვითმფრინავები უკანგაწეული ფრთებითა და მასზედ მიმაგრებული ძრავებით მართლაც საოცრებას წარმოადგენდა. მაგრამ თანამედროვე გლობალური დათბობის ერაში საჭიროა ავიამშენებლობის რადიკალური ცვლილებები. სწორედ ამის გამო მომავალში დედამიწის გარშემო სწორედ SAX-40-ის ტიპის თვითმფრინავები იფრენენ. სამწუხაროა, რომ ამგვარი თვითმფრინავების გამოშვებას მხოლოდ, თავისი კონსტრუქციისა და სირთულის გამო, 2030 წლისთვის დაიწყებენ.



## ყველაფერი ყველაფერზე

### ცხოველებთან ალერსი სახიფათოა



**მართალია, ყველას გვიყვარს შინაური ცხოველები, მაგრამ მათთან ალერსმა შეიძლება ძალიან მძიმე შედეგამდე მიგვიყვანოს. ცხოველები ადამიანს გადასცემენ კუჭ-ნაწლავის გამაღიზიანებელ ბაქტერიებს. ლუიზიანას უნივერსიტეტის ბაქტერიოლოგებმა გასინჯეს რამდენიმე ათეული პაციენტი, რომლებიც უჩიოდნენ კუჭის ტკივილს და აღმოაჩინეს გასტრიტის გამომწვევი ბაქტერია – ჰაილმანილი, რომლის მატარებელნი ძირითადად ცხოველები არიან, მაგრამ მათ იგი არ ვნებთ.**

– მეცნიერულად მტკიცდება, ჰაილმანილით დაავადებულ ცხოველებს შეუძლიათ დააავადონ ადამიანი, ჩვენი ვარაუდით კი გამოიწვიოს კიბოც!.. – განმარტავს მკვლევარ-ბაქტერიოლოგი აირინ კორტეზე.

გამოკვლევის თანახმად, შინაური ცხოველების პატრონებიდან 15 პროცენტი დაავადებულია ჰაილმანილის ბაქტერიით. ეს მაჩვენებელი გაცილებით მატულობს იმათში, ვისაც შინაური ცხოველი ოთახის პირობებში ჰყავს. ვინაიდან ჰაილმანილთან ბრძოლის ეფექტური საშუალებისთვის მეცნიერებს ჯერაც არ მიუკვლევიათ, საჭიროა თავი შევიკავოთ ცხოველების ალერსისგან.

### ხე იწველის

**სამხრეთ ამერიკაში იზრდება ხე „სორვეირა", რომელიც იწველის. საკმარისია დანა გადაუსვათ ამ ხის ქერქს და მაშინვე თეთრი, სქელი სითხის ნაკადი წამოვა.** სითხე გემოთი ძალიან წააგავს ძროხის რძეს, ოღონდ ოდნავ მწარემომჟავოა. ანალიზების შედეგად ბოტანიკოსებმა დაადგინეს, რომ სითხე შემადგენლობით ძალიან ახლოს დგას ძროხის რძესთან. საკმარისია იგი წყალში გააზავოთ და მოადუღოთ, რომ მომწარო გემო ეკარგება. ხე ერთ ჯერზე 4 ლიტრა რძეს იძლევა.

### სუპერუნიტაზი

**საოცარი ხალხია ეს იაპონელები, რას არ მოიგონებენ? ამ რამდენიმე წლის წინათ მათ უნიტაზი გამოიგონეს! დიახ, დიახ, უნიტაზი. თუმცა ეს უჩვეულო უნიტაზია – იგი 127 სხვადასხვა ოპერაციას ასრულებს, – გათბობს, ზომავს თქვენს წონას, წნევას, მაჯისცემას.** უნიტაზის რეზერვუარში ჩამონტაჟებული ხელსაწყოები შეგიმოწმებენ შარდის შაქრისა და პროტეინის შემცველობას, სისხლში მიკროელემენტების რაოდენობას, განსაზღვრავს მის გამჭვირვალობას. რაც საცხიანობის დადგენაში დაგეხმარებათ. ამ საოცარ უნიტაზს შეუძლია ავადმყოფობაც დაგიდგინოთ... და ა. შ.

...ჯერჯერობით ასეთი უნიტაზი იმდენი არ არის გამოშვებული, რომ მთელს მსოფლიოს ეყოს, მაგრამ იაპონელთა ხასიათი რომ ვიცით, მას დანარჩენი მსოფლიოც მალე მიიღებს.



## ჯანმრთელობა

# გახდი უდიეტოდ

**აუცილებელია თუ არა დიეტის დაცვა. თანაც პრობლემა ისაა, რომ არ ვიცით, რომელი ან როგორი დიეტა დავიცვათ. ამიტომაც გულდასმით წაიკითხეთ ჩვენი რჩევა-დარიგებანი, იქნებ დაგეხმაროთ.**

რათა წონაში არ მოიმატოთ, სულაც არ არის აუცილებელი გამუდმებით დიეტაზე ჯდომა. პირველ რიგში საჭიროა თქვენი კვებითი ქცევის შეცვლა. დასაწყისისათვის აუცილებელია პურ-ფუნთუშეულისა და ტკბილი საკონდიტრო ნაწარმის შეზღუდვა. საჭიროა აგრეთვე, უარი თქვათ, „წალუკმებასა" და „წახემსებაზე", აგრეთვე ყველაფერი ხელში მოხვედრილის ჭამაზე. სასურველია სრულფასოვან სამჯერად კვებაზე გადასვლა, აუცილებელი არაა, ის იყოს უხვი, არამედ მრავალფეროვანი.

ჭამის დროს აუცილებელი არაა ბოლომდე გაძღომა. მაძღრობის გრძნობა ცოტა მოგვიანებით გაჩნდება, რადგან საჭმელი უნდა შეითვისოთ. თუკი მიჩვეული ხართ რაღაცის ღეჭვას ტელევიზორის წინ, სწრაფად გადაეჩვიეთ მას: ტელეგადაცემით გატაცებულმა, შესაძლოა, დაკარგოთ თქვენს მიერ შეჭმულის მოცულობაზე კონტროლი.

გირჩევთ, დაიხსომოთ პროდუქტების შეძენის შემდეგი წესები:



- არასოდეს არ წახვიდეთ მაღაზიაში მშიერი კუჭით, ამ შემთხვევაში აუცილებლად იყიდით იმაზე მეტს, რაც საჭიროა.
- ნუ შეიძენთ პროდუქტებს გადამეტებული რაოდენობით.
- ნუ იყიდით იმ პროდუქტებს, რაც არ უყვართ თქვენი ოჯახის წევრებს – მისი შეჭმა თქვენ მოგიწევთ.
- ეცადეთ დაბალკალორიანი პროდუქტების შეძენა.
- შეიძინეთ ცხიმგამოცლილი ძროხის ხორცი, კურდღლის, ინდაურის ხორცი, ნაკლებცხიმიანი რძის პროდუქტები.
- იყიდეთ, რაც შეიძლება მეტი თევზეული და სხვა ზღვის პროდუქტები, აგრეთვე ბოსტნეული.
- უარი თქვით ძეხვზე, სოსისზე და სარდელზე. მათში ბევრი ცხიმია.
- შეზღუდეთ ბანანის, ყურძნის, ხურმის ჭამა. უპირატესობა მიანიჭეთ ვაშლსა და ციტრუსებს.
- უმჯობესია პური იყიდოთ ჭვავის, ან ქატოიანი.
- ეცადეთ, არ იყიდოთ ტორტები, ტკბილღვეზლები და ნაყინი.

იდეალური წონის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიური ცხოვრების წესს. კვებითი ქცევის შეცვლა უფრო ეფექტური იქნება ფიზიკური აქტივობის ზრდის ფონზე. ამიტომაც სასარგებლოა ფიტნესით, აერობიკაში, ცურვაში ვარჯიში, თუნდაც რეგულარული დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

## მიწაც ვერ ერევა

### სტალინის ცხედარი შესაძლოა, გაუხრწნელი იყოს!

**რუსეთის ფიზიკო-ქიმიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა იური ლოპუხინმა ერთ-ერთ ჟურნალში განაცხადა, რომ ბალზამირების სამამულო მეთოდი იმდენად ეფექტური იყო, რომ სტალინის ცხედარი, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია მიწაშია დამარხული, შესაძლოა, დღეისთვისაც გაუხრწნელი იყოს და, როგორც „ცოცხალი", ისე იწვეს კუბოში.**



## რკინის ფუჩინა

### რძე უძროხოდ, ანუ ძროხა რობოტი

**ინგლისელ მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა მანქანა, რომელიც ძროხის მაგივრობას ეწევა და რძესაც იძლევა. დანადგარი ამუშავებს ბალახს, სტაფილოს, მუხუდოს, ე.ი. ყველაფერს, რაც ძროხის საკვებში შედის, მაგრამ ძროხის რძე საკვები ცილების მხოლოდ 18 პროცენტს შეიცავს, მანქანის რძე კი – 80 პროცენტს (!!!) ამასთანავე „უძროხო" რძეში არ არის ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელიც მავნეა როგორც ბავშვების, ასევე ხანში შესული ადამიანებისთვის.**





## ინფორმაცია

### ეკატერინე კილაძე გათავისუფლებულია

შს სამინისტროს მიერ კორუფციული გარიგების ბრალდებით დაკავებული ბანკ „რესპუბლიკის“ თანამშრომელი ეკატერინე კილაძე გათავისუფლებულია.

როგორც ინტერპრესნიუსს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადეს, მოსამართლე მილერი ხარებავას ბრძანების საფუძველზე, კილაძეს 30 000 ლარის ოდენობით გირაო შეეფარდა. კილაძე სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. მან აღნიშნული თანხა 20 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს.

კილაძეს და მასთან ერთად დაკავებულ პირებს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით წაუყენეს, რაც კომერციულ მოსყიდვას გულისხმობს და სანქციის სახით, ჯარიმას, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

## გახსენება

# გიორგი რობიტაშვილი



100 წელი შეუსრულდებოდა ამა წლის 10 ნოემბერს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ინჟინერს, საქართველოში საგზაო დარგის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ბატონ **გიორგი რობიტაშვილს**

არ შეიძლება ვისაუბროთ საქართველოს საავტომობილო გზების შესახებ და არ გავიხსენოთ ბატონი გიორგი რობიტაშვილი, დიდი ქართველი მოაზროვნე და ქვეყნის პატრიოტი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ცოდნა და გამოცდილება საქართველოს საავტომობილო გზების სრულქმნასა და განვითარებას მოახმარა. მან 45 წლის მანძილზე უხელმძღვანელა საგზაო დარგს, რომელმაც 1939 წელს „ჩაიბარა“ საქართველოს გზები ძირითადად თეთრი საფარით (ღორღოვანი, ხრეშოვანი და გრუნტოვანი საფარებით) და 1984 წლის ბოლოს ქვეყანას „ჩააბარა“ ძირითადად შავსაფარიანი გზები, მრავალი ხიდითა და უნიკალური ხელოვნური ნაგებობებით. დღეს საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება იწონებს საავტომობილო გზების ხელმძღვანელობის ინიციატივას, რომ საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთ ხიდს (სონდის ხევზე) მინიჭებოდა ბატონი გიორგი რობიტაშვილის სახელი, ამ ღვაწლმოსილი ინჟინრისა და სახელმწიფო მოღვაწის ხსოვნის უკვდავსაყოფად.



გიორგი რობიტაშვილის სახელობის ხიდი საქართველოს სამხედრო გზაზე (სონდის ხევი)

ბატონი გიორგი რობიტაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ალბათ, ცალკე ვრცელი სტატია უნდა მიეძღვნას უახლოეს ნომერში.

**თამაზ შილაკაძე,**
**შპს „საქართველოს გზათა“ სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი.**

## გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: რომელი რიცხვიდან არის ძალაში შრომის კანონთა კოდექსი?**

**ვასილ ზარნაძე**

**პასუხი:** ახალი შრომის კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2006 წლის 25 მაისს, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 19 ივნისს და ძალაშია 2006 წლის 4 ივლისიდან.

* * *

**კითხვა: ვინ უნდა აუნაზღაუროს დაქირავებულ პირს დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი ზედიზედ 30 დღემდე, ხოლო 6 თვეში საერთო ჯამით 50 დღემდე, თუ წარმოება (დამქირავებელი) არის 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრება?**

**გივი ტყეშელაშვილი**

**პასუხი:** შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ და №232/ნ ბრძანებებით შეიცვალა, როგორც დეკრეტული შვებულების, ისე სხვა სახის დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის ანაზღაურების ადრე მოქმედი წესი, და 2006 წლის 29 აგვისტოდან შრომისუუნარობის ფურცელს აანაზღაურებს დამსაქმებელი.



აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებითი განმარტება შეგიძლიათ მიიღოთ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ 2006 წლის 29 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ მინისტრის ბრძანების გაცნობით, რომელიც ძალაშია გამოქვეყნების დღიდან.

* * *

**კითხვა: თუ დაქირავებულ პირს მიღებული აქვს საწარმოო ტრამვა, ახალი კოდექსის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, რამდენი დღე უნდა აუნაზღაუროს შრომისუუნარობის ფურცელი იმ საწარმომ, სადაც მას უბედური შემთხვევა მოუვიდა?**

**მამუკა გოგორიშვილი**

**პასუხი:** თუ შრომითი ხელშეკრულებით, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შრომისუუნარობის ფურცელი დასაქმებულს აუნაზღაურდება ზედიზედ 30 კალენდარული დღის, ხოლო 6 თვის განმავლობაში 50 კალენდარული დღის ოდენობით.

ახალი შრომის კოდექსი, სამწუხაროდ, არ მიუთითებს ბიულეტენის ანაზღაურების სხვაგვარ წესზე.

შემდგომში, თუ რამ სიახლე იქნება კანონში ამ მიმართებით, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ ჩვენი გაზეთის მეშვეობით.

* * *

**კითხვა: საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ძალაში შესვლის გამო, საჭიროა თუ არა შეიცვალოს დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის 2006 წლის 1 აპრილს დადებული ხელშეკრულება (კონტრაქტი)?**

**მერი ნიორაძე**

**პასუხი:** ხელშეკრულების შეცვლა ახალი შრომის კოდექსის ძალაში შესვლის გამო აუცილებელი არ არის, მაგრამ საჭიროა, ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ, პირის სამუშაოზე მიღების შემთხვევაში გაითვალისწინოთ ყველა ის სიახლე, რომელსაც 2006 წლის 4 ივლისიდან ძალაში შესული კოდექსი ითვალისწინებს. (მაგ. ბევრი ცვლილებაა ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების ადრე მოქმედ წესში, რომელსაც ითვალისწინებდა ძველი კოდექსის 34-ე მოუხლი და რომლის პირველი პუნქტის ზოგიერთი ქვეპუნქტი მოყვანილია თქვენს შეკითხვებზე, დართულ შრომის ხელშეკრულებაში, რომლის შემოწმებასაც გთხოვთ) და სხვ.

* * *

**კითხვა: ახალი კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, აქვს თუ არა უფლება დამქირავებელს სრულად აუნაზღაუროს დაქირავებულს მივლინების დღეები, თუ იგი აღემატება 45 კალენდარულ დღეს?**

**ალბერტ კოჩარიანი**

**პასუხი:** თუ მუშაკის უფრო ხანგრძლივი დროით მივლინებაში გაგზავნა გამოწვეული იქნება სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე, საწარმოო აუცილებლობით, დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## ხსოვნა

# კოტე ტონია



დიდად დამწუხრდა სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის ექიმი-ვენეროლოგი, პროფესორი **კოტე ტონია.**

ახალგაზრდა პროფესორის წარმატებებით გახარებული იყო მთელი ინსტიტუტი. მან ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში თანამშრომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

კოტე ტონია იყო განათლებული, ფართო ერუდიციის მქონე სპეციალისტი, ჭეშმარიტი მეგობარი, კეთილსინდისიერი, მოსიყვარულე ადამიანი.

სამწუხაროდ, მისი ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. უდროოდ წასვლამ გულისტკივილი და მწუხარება დაგვიტოვა.

მსუბუქი და თბილი ყოფილიყოს კოტესთვის ქართული მიწა.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;**
**სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;**
**საქართველო დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაცია.**

# ნუგზარ ზაქარაშვილი



ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებას უეცრად გამოაკლდა ერთ-ერთი შესანიშნავი მკვლევარი, ღირსეული მოქალაქე და სამაგალითო პიროვნება – **ნუგზარ ზაქარაშვილი**. მისი სამეცნიერო ინტერესები ძირითადად წყლის, ყინულისა და თოვლის სამყაროს სწვდებოდა. განსაკუთრებულ მიღწევებს მან მთის ჰიდროლოგიის სფეროში მიაღწია. იგი მაღალი რანგის პროფესიონალი იყო ვინც ზედმიწევნით ფლობდა მთის მდინარეების გეოგრაფიულ სპეციფიკას და მათი რესურსული პოტენციალის შეფასების მეთოდიკას. მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს თოვლმყინვარული რესურსების ატლასის შედგენაში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მეგობრების მიმართ მისი ერთგულება და განსაკუთრებული თავდადება. ძნელია იმასთან შეგუება, რომ სულიერად და ფიზიკურად ლამაზი ადამიანი ვეღარ შეაღებს ასეთივე ლამაზი ოჯახის კარებს, ვეღარ მოეფერება თავის შესანიშნავ მეუღლეს და მშვენიერ ქალ-ვაჟს. ძალზე სამწუხაროა ეს ყველაფერი, მაგრამ ულმობელი წუთისოფლის წინაშე ყველა უძლურია და მათ შორის ისეთი სპეტაკი ადამიანიც კი, როგორიც ნუგზარ ზაქარაშვილი იყო.

პანაშვიდი 10, 11 XI, 16 სთ. გამოსვენება 12 XI, კვირას 14 სთ. მისამართი ორთაჭალა, კრწანისის ქ. 16, I კორპუსი.

**სსიპ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;**
**ალ. ჯავახიშვილის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.**

---

**ა/წლის 29 ნოემბერს, დღის 14 საათზე, შედგება სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სს „ქართული ფილმის“ ქონების გადაცემისა და გასხვისების საკითხის განხილვა;
2. სხვადასხვა.

**მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, ახმეტელის ქ. №10ა, სს „ქართული ფილმი“.**

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-96-32; 899 328576

მეგობრები და ახლობლები სამძიმარს ვუცხადებთ ციცინო ხალხელაურს დეიდაშვილის

თემურ თეთრაულის

გარდაცვალების გამო.

- 10 ნოემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია წმიდა მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელს იხსენიებს
- პოეტმა და ჟურნალისტმა დავით ახლოურმა კვლავ გააცოცხლა „ყაყაჩო“ – შიდაქართლელ ბავშვებს ძველი, ულალატო მეგობარი დაუბრუნა



№ 221. პარასკევი, 10 ნოემბერი, 2006 წელი.

**სულიერება**

## წმიდა მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი



**10 ნოემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია წმიდა მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელს იხსენიებს. ის წარმოშობით სპარსელი იყო. VII საუკუნეში ამირა მუმნის ბრძანებით, სარდალი აჰმადი დიდძალი სპით საქართველოს შემოესია. აჰმადმა ორი მხედართმთავარი ომარი და ბურული, მცხეთისკენ გაგზავნა. მაგრამ ომარმა შიო-მღვიმის მონასტრის მონაზვნების და ბერების ნახვისას გადაიფიქრა მათი დარბევა და აღთქმა დადო, რომ დატოვებდა ულმრთოებას, მამულს, მთავრობას, სიმდიდრეს და ყოვლადწმიდა სამების სახელით მოინათლებოდა.**

...ნათლისღების შემდეგ ომარს ნეოფიტე ეწოდა, რაც ახალ ნერგს ნიშნავს.

წმიდა ნეოფიტე მღვდელმთავრად იქნა დადგენილი ურბნისის კათედრაზე. ყველას აკვირვებდა მისი სიბრძნე და შემართება. ის თავისი სამწყსოს ნამდვილი მამა იყო: „მოუძლურებული მათი განაძლიერა, სნეული განამრთელა, შემუსვრილი შეჰკრა და ბოროტად მყოფსა, უსხეულსაქმა, ცთომილი მოაქცია და წარწყმედილი მოიძია...“

მტერმა ვერ მოითმინა სპარსის მოციქულებრივი მოღვაწეობა, გამონახა დრო და სალოცავად განმარტოებული ნეოფიტე კლდიდან გამოათრია და ძაღლებისთვის სიკვდილი მიუსაჯა.

წმიდა ნეოფიტე ქვით ჩაქოლეს... წმიდანი ტკბილი ხმით ეუბნებოდა უსჯულოებს: „ტკბილ ჩემდა სიკვდილი, ულმრთონო, ტკბილ ჩემდა, საწადელ ჩემდა განყოფაი კავშირთა უკუდავისა და მოკუდავისა არსებისათა... ამიერითგან სისხლითა ჩემითა დავამტკიცო შრომილი ჩემგან წმიდაი ეკლესიაი, რომელიც შეჰკრიბა ძაღლებისა მიერ ჩემისა ძემან და სიტყუამან ღმრთისამან პატიოსნითა სისხლითა თვისითა, ხოლო რომელნიცა განაგო ჩემთვის ღმერთმან, იყავნ იგი, რამეთუ მომიწოდა მე ულმრთოებისგან ნათლისა მიმართ თვისისა“.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

**ვულოცავთ!**

## იაკობ გოგებაშვილის პრემია მიენიჭათ



**166 წელი შესრულდა იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან. მისი სახელობის პედაგოგთა კავშირში ამ თარიღს მიეძღვნა კონკურსი – „მოზარდი თაობის აღზრდის სფეროში შესრულებული მნიშვნელოვანი ნაშრომებისათვის“. მთელი საქართველოს მასშტაბით ასეთი კონკურსი 3 წელიწადში ერთხელ ტარდება, რომელშიც მონაწილეობენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.**

ასე იყო წლეულსაც. და, აი, გამოვლინდა 10 გამარჯვებული, რომელთა საზეიმო დაჯილდოებაც გაიმართა პედაგოგთა კავშირში. იაკობ გოგებაშვილის პრემიების მინიჭების კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ოლეგ ალავიძემ და პედაგოგთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ აზა ბუაძემ გამარჯვებულებს იაკობ გოგებაშვილის პრემია გადასცა. ესენი არიან: კინორეჟისორი მერაბ გაგუა (დოკუმენტური ფილმისათვის „დედა ღვთისმშობელი“), გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი თამარ გოგოლაშვილი („დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება მე-5, მე-10 კლასებისთვის“), პროფესორი ნათელა ვასაძე (სახელმძღვანელოსათვის „პედაგოგიკა“), იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკის ეროვნული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ვიოლეტა კვირიკაშვილი („დააკვირდით, მოიფიქრეთ, გამოიცანით“. I-II კლასის წიგნები), საქართველოს პედაგოგთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ინსტიტუტის გენერალური დირექტორი თამარ მეიფარიანი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს განათლების პროგრამის ოფიცერი ნინო ბესელია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ექსპერტი ირინა ჯალაღანია, 123-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ლელა მიქიაშვილი (ნაშრომისათვის „გზა უფლებებისაკენ“), გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ლია შალვაშვილი (მე-4 კლასის ისტორია-გეოგრაფიის ინტეგრირებულ სახელმძღვანელოთა კომპლექსი), თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გია ქაჯაია (ნაშრომისათვის „გარემო ჩვენი არსებობისა“ – ეკოლოგია ყმაწვილთათვის).

იმედია, რომ იაკობ გოგებაშვილის პრემიის მინიჭება გამარჯვებულთათვის ახალი სტიმული გახდება.

**ნათელა ფაილოძე**

**მხარე**

## გაცოცხლებული „ყაყაჩო“

**„გაზაფხულზე ყაყაჩო ყვავილია, შემოდგომაზე გასთიბვენ და... თივა“, – ამბობს პოეტი. მაგრამ ის ყაყაჩო, ქვემოთ რომ მოგახსენებთ, წლის ყველა დროს ყვავილობს და წითლად ღუის.**

ცხოვრობდა გორში ჩუმი, უპრეტენზიო პოეტი და ჟურნალისტი ალექსანდრე ტაბატაძე, წერდა ნამუსიან ლექსებს და რედაქტორობდა მისსავე დაარსებულ საყმაწვილო გაზეთს „ყაყაჩოს“. ერთ დღესაც პოეტს გული გაუჩერდა – ქართულ ლექსს ერთგული მუშაკი დააკლდა, გაჩერდა „ყაყაჩოს“ გამოცემაც – ყვავილი დაჭკნა და მოკვდა.

მაგრამ სიკვდილთან ერთად კეთილი საქმე განა კვდება და იკარგება? ალექსანდრე ტაბატაძის ახალგაზრდა მეგობარმა პოეტმა და ჟურნალისტმა დავით ახლოურმა კვლავ გააცოცხლა „ყაყაჩო“ – შიდაქართლელ ბავშვებს ძველი, ულალატო მეგობარი დაუბრუნა.

ამ დღეებში განახლებული „ყაყაჩოს“ პირველი ნომერი გამოვიდა. მხარის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა, განათლებისა და კულტურის მუშაკებმა მიულოცეს მკითხველებს ეს ღირსსახსოვარი მოვლენა. გაზეთის ახალი ნომერი, რა თქმა უნდა, სკოლის ახალგაზრდობაზე, მათს სწავლაზე და საქმიანობაზე მოგვითხრობს.

**გურამ ვაშაკიძე**
„სრ“ საკ. კორ.




**ანეკდოტები**

– „მიხო, ერთი მაინც არ უნდა მკითხო, როგორ ვცხოვრობ?
– მაპატიე, მარო, მართლა, როგორა ცხოვრობ?
– ეჰ, ნუ მკითხავ, ჩემო კარგო!

* * *

პეტკა ისტორიაში გამოცდას აბარებს:
– როდის იყო და, სამოქალაქო ომი იყო 1812 წელს.
– ჰო?! იქნებ დაგვისაბუთოთ?
– რა დასაბუთება ამას უნდა – რუსეთის მოქალაქეები საფრანგეთის მოქალაქეებს ეომებოდნენ.

* * *

სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, გამოკითხულ რუსეთელებს ასიდან ოთხმოცდაათი პროცენტი მთლიანად იწონებს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, ათი პროცენტი კი მუდამ მხარს უჭერს. აი, დანარჩენ 150 მილიონს კი არავინ არასდროს არაფერს ეკითხებოდა.



* * *

მექრთამეობა, კავშირები და ინტრიგა, სიყვარული და სიძულვილი, მოტყუება და მანკიერება, კლანების დაპირისპირება, – უყურეთ ახალ რეალითი შოუს, – მერია!

* * *

დიპლომის მიღების შემდეგ სტუდენტთა ერთი ნაწილი იწყებს იმის შეგრძნებას, რომ საკუთარი პროფესიის შერჩევა მშობლებისთვის არ უნდა მიენდო. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ მშობლები მართალი იყვნენ, მაგრამ დაბეჯითებით არ მოითხოვნდნენ მათთვის დაჯერებას. და მხოლოდ უდედმამონი გრძნობენ, რომ ვერავის დაადანაშაულებენ.

**კადრი**



**ლარის კურსი**

**10 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2940 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7355 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2041 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0650 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9882 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4552 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4380 ლარი. |


**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.